საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

11 სექტემბერი **შაბათი** 2012 **№215 (13 821)** ფასი 80 თეთრი

დღეს საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის [illegible]

11 სექტემბერი, 21:00 დინამო არენა

**საქართველო-ესპანეთი**

# ქეცბაია: არწაგება



2

თემურ ქეცბაია

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

# დელ ბოსკე: სამი ქულა



3

ვისენტე დელ ბოსკე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



12

## გავავსოთ და მადლობა ვუთხრათ...

## ...და რევანში ვთხოვოთ

დღეს ევროშესარჩევის ბოლო მატჩია:

**საქართველო VS ჰოლანდია**

## AS-მა ესპანეთის ნაკრების თბილისში ჩამოსვლა და ჩვენი ფანების აქტიურობა დააფიქსირა







# კალაძე: ესპანეთს იოლი გასეირნება არ ექნება

## ყოფილ კაპიტანს მარკამ დაურეკა



„მილანის“ ყოფილი მოთამაშე, ჩემპიონთა ლიგის ორგზის გამარჯვებული კახა კალაძე ესპანეთის ნაკრებს ფავორიტად მიიჩნევს საქართველოსთან მატჩში, მაგრამ აფრთხილებს ვისენტე დელ ბოსკეს, რომ მის ბიჭებს თბილისში იოლი გასეირნება არ ექნებათ.

*„სასიამოვნოა, რომ ესპანეთის ნაკრები ჩვენს ქვეყანაში სათამაშოდ ჩამოდის“*, - ამბობს 34 წლის კალაძე, რომელიც საქართველოში ბოლო ორი ათწლეულის ყველაზე ცნობილი ფეხბურთელია.

ყოფილი მილანელის თქმით, ესპანეთის წინააღმდეგ თამაში სასარგებლო იქნება ქართველი ფეხბურთელებისთვის. *„ესპანეთის ნაკრები, რომელმაც ბოლო ოთხ წელიწადში ყველაფერი მოიგო, ძალიან ძლიერი მოტივაციაა ნებისმიერი მოთამაშისთვის“*, - დაამატა მან.

ამავდროულად, კალაძემ განაცხადა, რომ *„მოგება ძალიან რთული და საინტერესო იქნება“. „ეს იქნება ურთულესი მატჩი ესპანელებისთვის“*, - ამბობს „მილანის“ ყოფილი მოთამაშე.

11.09. თბილისი. დინამო არენა 21:30
საქართველო–ესპანეთი
Bwin: 19.00 7.50 1.14 Live I არხზე




თემურ ქეცბაია

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

# არწაგება

## ზღაპრები და დაბოლება არ მიყვარს

**გუშინ საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცმა თემურ ქეცბაიამ პრესკონფერენცია გამართა. ეს აუცილებელი ღონისძიება "დინამო არენას" საპრესკონფერენციო დარბაზში ჩატარდა ჩვენი ნაკრების ვარჯიშის დაწყების წინ. ქეცბაია პუნქტუალურად გამოცხადდა პრესკონფერენციაზე და კითხვა-პასუხიც დაიწყო...**

- ესპანეთთან მატჩისთვის მზადება ნორმალურად მიდის. სამწუხაროდ, ჯანო ანანიძე გაცივდა, დანარჩენი ფეხბურთელები კი თავს კარგად გრძნობენ და ყველანაირად ეცდებიან, რომ ქართველ გულშემატკივარს კიდევ ერთი საჩუქარი გაუკეთონ. კარგად მოგეხსენებათ, რა დონის ნაკრებს უნდა ვეთამაშოთ, ესპანეთი ბოლო ექვსი წელი დომინირებს, ორჯერ ევროპის ჩემპიონი გახდა, ერთხელ მსოფლიოსი. ვფიქრობ, ეს გუნდი ყველა დროის საუკეთესო გუნდია. სასიხარულოა, ასეთი გუნდი რომ ჩამოვიდა საქართველოში. ჩვენი გუნდის ფეხბურთელებს ეძლევათ შანსი, გავიდნენ მოედანზე და ყველაფერი გაიღონ. ვიცი, რომ ძალიან ძნელი თამაში გველის, მაგრამ უნდა ვიბრძოლოთ და ერთმანეთს გვერდში დავუდგეთ.

**- რა იქნება თქვენთვის მისაღები შედეგი ამ შეხვედრაში?**

- არწაგება.

**- რამდენად არის გუნდი ფსიქოლოგიურად მზად ასეთ მეტოქესთან სათამაშოდ?**

- ჩვენი გუნდი ფსიქოლოგიურად მზად არის. ამ ეტაპზე ნომერ პირველი ამოცანა ბელარუსთან გამარჯვება იყო და ეს მოვახერხეთ. გამომდინარე იქიდან, თუ რა დონის მოწინააღმდეგეს ვეთამაშებით, ესპანეთთან მატჩში ჩვენს ფეხბურთელებს არანაირი კომპლექსი არ უნდა ჰქონდეთ, ფსიქოლოგიური ზეწოლა არ არსებობს და შესაძლოა, ამან დადებითად იმოქმედოს ჩვენს გუნდზე.

**- ესპანეთთან მატჩშიც ალბათ ის თავდადება საჭირო, რამაც ბელარუსთან გამარჯვება მოგვიტანა...**

- გამარჯვება მხოლოდ თავდადებას არ მოუტანია. ზოგმა სამწუხაროდ ისე ჩათვალა, თითქოს მხოლოდ თავდადების და ბრძოლის ხარჯზე გავიმარჯვეთ ბელარუსთან. ჩვენ მოედანზე საჩხუბრად არ გავდივართ. ბელარუსთან, სადაც საჭირო იყო, ვიბრძოლეთ, სადაც საჭირო იყო ტექნიკა და ოსტატობაც ვაჩვენეთ. ბელარუსის ნაკრები ძალიან თავდაჯერებული იყო ვიცით, რომ საქართველოს ნაკრებს პრობლემები აქვსო, მაგრამ მოხარული ვარ, რომ ჩვენმა ბიჭებმა საპირისპირო დაამტკიცეს და მნიშვნელოვანი სამი ქულა მოვიპოვეთ.

**- რა შეიძლება რომ დავუპირისპიროთ ესპანეთის ნაკრებს?**

- მთელი მსოფლიო ცდილობს რაღაცა დაუპირისპიროს ესპანეთის ნაკრებს, მაგრამ ჯერ ვერაფერს ახერხებს. მჯერა, რომ ჩვენი ფეხბურთელები მაქსიმუმს გააკეთებენ. ზღაპრების მოყოლა არ მიყვარს, მწვრთნელთა უმეტესობა აქ ხალხის დაბოლებაზეა გადასული. არიან ისეთებიც, სულ კბენას და კრიტიკას რომ ცდილობენ. ალბათ დაკვეთებიც არის. მინდა რომ საქართველოს საკალათბურთო ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე გასვლა მივულოცო, იმედია, საფეხბურთო ნაკრებიც ოდესღაც მიაღწევს ასეთ წარმატებას.

**- იკერ კასილიასმა პრესკონფერენციაზე ჩვენი ნაკრებიდან ლორია, ანანიძე და ოქრიაშვილი გამოარჩია...**

- კარგია, რომ გამოარჩია, ესპანეთთან მატჩს მთელი მსოფლიო ნახავს, რაც საკმაოდ კარგი შანსია ჩვენი ფეხბურთელებისთვის, უკეთეს კლუბებში, უფრო მაღალ დონეზე თამაშის პერსპექტივა ჩნდება. რა თქმა უნდა, პირველ რიგში გუნდის ინტერესებია გასათვალისწინებელი.

**- ანანიძე ესპანეთთან ვერ ითამაშებს?**

- მინდა იმ ფეხბურთელებმა ითამაშონ, ასი პროცენტით რომ იქნებიან მზად. ანანიძე ორი დღეა, რაც ლოგინში წევს და სასტარტო შემადგენლობაში ალბათ ვერ ითამაშებს, შეცვლაზე კი ვნახოთ...

**- ხომ არ არის იმის საშიშროება, რომ თავის გამოჩენის მიზნით ზოგმა ფეხბურთელმა ზედმეტად ინდივიდუალურად ითამაშოს?**

- ინდივიდუალური თამაში კარგია, როცა ეს საჭიროა. პერსონალური საქმის საკეთებლად აქ არავინ არის მოსული, მთავარი გუნდის ინტერესებია. რა თქმა უნდა, ინდივიდუალური თამაშიც გვჭირდება, როგორც ეს ოქრიაშვილმა გააკეთა ბელარუსთან.

**- დაკვეთები ახსენეთ – ჟურნალისტებს გულისხმობდით?**

როგორც ჩანს, ზოგიერთ ჟურნალისტს არ უხარია, საქართველოს ნაკრები რომ იმარჯვებს. სამწუხაროა, ეს ალბათ დაკვეთით ხდება...

გვერდი მოამზადა
**დავით თავართქილაძემ**

# თემური და მისი რაზმი ვარჯიშზეც გამოცდისთვის

ჩვენმა ნაკრებმა გუშინდელი ვარჯიში დაახლოებით შვიდის ნახევარზე დაიწყო. გულშემატკივრები დასავლეთ ტრიბუნის მეორე იარუსზე შეგროვდნენ და გუნდს იქიდან ამხნევებდნენ. ბელარუსთან გამარჯვებამ ჩვენი ქომაგი უფრო იმედიანი და აქტიური გახადა – ასე მომეჩვენა და ალბათ, ასეც არის.

ფეხბურთელებსა და მწვრთნელს ვარჯიშზეც რომ გულშემატკივრობენ, ძალიან სასიამოვნოა, ამით გუნდი და ქომაგი ერთმანეთს უფრო უმეგობრდება.

დღეს საქართველო მსოფლიოს საუკეთესო გუნდს ეთამაშება და ჩვენებს გამხნევება ძალიან სჭირდებათ. გულშემატკივარი ყოვლისშემძლე არაა, მაგრამ ძალიან დიდი ფაქტორია.

მატონიზირებული ვარჯიში იყო, მატჩის წინა დღეს სხვანაირად ალბათ არც შეიძლებოდა. ქეცბაიამ ცოტა ხნით ფეხბურთელებთან ერთად ითამაშა "კვადრატი", ჩვენი ნაკრების მწვრთნელი ურიგოდ ნამდვილად არ გამოიყურებოდა ასეთ ამპლუაში. როცა ახალგაზრდა მწვრთნელი კარგ სპორტულ ფორმაშია, ის ძალაუნებურად სამაგალითო ხდება ფეხბურთელებისთვის.

ხანდახან სანაკრებო ვარჯიშებზეც ჩანს, თუ ვინ არის გუნდის ყოჩი. ეს ძნელად შესამჩნევია საქართველოს ამ ნაკრებში და გუშინაც გამიჭირდა ასეთის დანახვა.

სხვა რა გითხრათ, ვარჯიში დღევანდელი თამაშის პრელუდიას ნამდვილად არ ჰგავდა, დღეს სულ სხვა თამაშია, საქართველოს მთელი მსოფლიო უყურებს, წლევანდელი ევროტრიუმფის მერე ესპანეთი პირველ ოფიციალურ შეხვედრას ატარებს...




გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები








# დელ ბოსკე, კასილიასი და ჩავი

## როგორც ყოველთვის, ზომიერები და გამარჯვებისთვის შემართულნი

როგორც მოსალოდნელი იყო, სასტუმრო "რედისონში" ესპანელთა პრესკონფენციას მასმედიის სოლიდური წარმომადგენლობა დაესწრო. ქართველ ჟურნალისტებზე არანაკლები რაოდენობით ესპანელი კოლეგები იყვნენ წარმოდგენილნი.

პრესკონფერენციაზე ვისენტე დელ ბოსკეს მოსვლა წინასწარ იყო დაანონსებული. სავარაუდო იყო, რომ იგი ერთ ფეხბურთელსაც იახლებდა, თუმცა ჩვენს წინაშე ერთბაშად ორი ვარსკვლავი წარსდგა – ესპანეთის ნაკრების კაპიტანი იკერ კასილიასი და ჩავი.

თავდაპირველად მედიის ინტერესი სწორედ მათ დააკმაყოფილეს, დელ ბოსკე კი ისე მორიდებულად და შეუმჩნევლად დაჯდა დარბაზის შორეულ კუთხეში, რომ ბევრმა მისი მოსვლა ვერც შენიშნა.



იკერ კასილიასი

### იკერ კასილიასი:

- თბილისში ძალიან მოტივირებულები ჩამოვედით. დარწმუნებული ვარ, საინტერესო მატჩი გამოვა. ეს ჩვენთვის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველი შეხვედრაა და აქ გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა აქვს. საკმაოდ რთულ ჯგუფში მოვხვდით და ნებისმიერ მეტოქესთან დაპირისპირებას სრული მობილიზაციით უნდა შევხვდეთ.

დღეს დილას თეორიული მეცადინეობა გვქონდა, სადაც საქართველო-ბელარუსის მატჩის ვიდეოჩანაწერი განვიხილეთ. საქართველოს ნაკრებიდან ლორიას, ანანიძესა და ოქრიაშვილს გამოვარჩევდი.

ესპანეთის ნაკრების წარმატებაში ვისენტე დელ ბოსკეს როლი განსაკუთრებულია. ყველა გამარჯვებას მას ვუძღვნით, იგია ჩვენი მამოძრავებელი ძალა.

### ჩავი:

- საქართველოს ნაკრებს სერიოზულ მეტოქედ მივიჩნევთ, თუმცა მიზნად მხოლოდ გამარჯვებას ვისახავთ. გამარჯვებაც არ არის საკმარისი, თამაშის ის ხარისხი უნდა შევინარჩუნოთ, რითიც ბოლო წლებში ესპანეთის ნაკრები სხვებისგან გამოირჩევა.

ჩვენი სტილი ზუსტად იგივე დარჩება, როგორიც ევროპის ჩემპიონატიდან გახსოვთ. მოედანზე უნდა გავიდეთ და ბოლომდე დავიხარჯოთ.



ჩავი

ჩვენი მიზანი მსოფლიოს ჩემპიონობის შენარჩუნებაა და ეს ორი წელიწადი ნაყოფიერად უნდა გამოვიყენოთ, რათა ბრაზილიის მუნდიალზე ტიტულის მოსაპოვებლად ვიბრძოლოთ.

### ვისენტე დელ ბოსკე:

- საქართველოს ნაკრები ბრძოლისუნარიანი და მზარდი გუნდია. არ ვფიქრობ, რომ მისი დამარცხება გაგვიადვილდება, თუმცა აქ მხოლოდ სამი ქულისთვის ვართ ჩამოსულები და იმედი მაქვს, მიზანს მივაღწევთ. ახალ შესარჩევ ტურნირში ეს ჩვენი პირველი მატჩია და აქ გამარჯვებას განსაკუთრებული ფასი და მნიშვნელობა აქვს.

**- დავიდ ვილიასა და ფერნანდო ტორესის დუეტის აღდგენა ხომ არ არის მოსალოდნელი?**

- ყველაფერს თამაშზე ნახავთ. ჩვენ ოპტიმალურ ფორმაში მყოფი 23 ფეხბურთელი გვყავს და მოედანზე ნებისმიერი მათგანი შეიძლება იხილოთ. მოხარული ვარ, რომ ჩემს მოთამაშეებს მოტივაცია არ აკლიათ.

**- ამდენი ტიტულის მოპოვების შემდეგ ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელებს მოტივაცია ხომ არ შეუმცირდათ?**



ვისენტე დელ ბოსკე

- არა, მათთვისაც და ჩემთვისაც ახალი ტიტულებისთვის ბრძოლაც არანაკლები გამოწვევაა.

**- რისი დამსახურებაა, რომ ესპანეთის ნაკრები, რომელიც ადრე ტიტულებს ვერ იგებდა, ბოლო წლებში ყველა დიდ ტურნირზე იმარჯვებს?**

- ესპანურ ფეხბურთს ყოველთვის ჰყავდა ძლიერი თაობები, მაგრამ დიდ გამარჯვებებს ბოლო პერიოდამდე ვერ ვაღწევდით. ყველაფერი ერთიანი სისტემის დახვეწის დამსახურებაა, რაშიც დიდი წვლილი ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციას მიუძღვის.

**- შეგიძლიათ თქვათ, რომ მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატზე იმ ფეხბურთელებს დაეყრდნობით, რომლებიც ესპანეთის ნაკრებში ამჟამად თამაშობენ?**

- 2014 წლამდე ჯერ შორია და იქამდე ბევრი რამ შეიძლება მოხდეს, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე წასაყვანი გუნდის ბირთვი უკვე გამოკვეთილია. ბუნებრივია, ნაკრებში დამკვიდრების შანსი სხვა ფეხბურთელებსაც მიეცემათ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები



ეროვნული ბიბლიოთეკა

# წარმოდგენა ბარაბნის გარეშე

არ ვიცი, წამოიღო თუ არა თავისი ბარაბანი **მანოლომ** თბილისში, მაგრამ გუშინ ესპანეთის ვარჯიშზე კი მობრძანდა "დინამო არენაზე".

მანოლო ესპანეთის ნაკრების კოლორიტია, შეიძლება ითქვას, რომ გუნდის წევრივითაა. 1982 წლიდან ის ყველგან დაჰყვება ესპანეთის ნაკრებს. ამბობენ, მგზავრობის ფულს მას ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია უხდისო, მაგრამ ეს არ უნდა იყოს მთავარი – მას შემდეგ, რაც მანოლომ გულშემატკივრობისთვის თავი გადადო, ყველაფერი დაკარგა, სულ მთლად ყველაფერი ბარაბანის და ფეხბურთის გარდა – აღარც ოჯახი, აღარც ფული და კარიერა.

ესპანეთმა ჩვენი ნაკრების მერე ივარჯიშა "დინამო არენაზე" და გულშემატკივარმაც მოიმატა. მოთელვა და ყველაფერი ის, რასაც ყველა გუნდი აკეთებს ვარჯიშზე – ესპანელების წვრთნაში ჯერ განსაკუთრებული არაფერი ჩანდა, ერთი ეგ იყო, რომ ფეხბურთელებისგან ცალკე მყოფმა **ვისენტე დელ ბოსკემ** ბურთი მოიხელთა და თავით ისე ლაღად და დიდხანს კენწლავდა, ნებისმიერ ჟონგლიორს ტოლს არ დაუდებდა.

ვარჯიშის ბოლოს ესპანელებმა ნახევარ მოედანზე გააჩალეს ორკარა, ფეხბურთელებს ბურთთან ორ შეხებაზე მეტის უფლება არ ჰქონდათ და დაიწყო პატარა წარმოდგენა – მსოფლიოს საუკეთესო ნაკრები ისე ოსტატურად, ლამაზად, სწრაფად და სინქრონულად აკეთებდა ამას, რომ ვარჯიშმა დიდად ესთეტიკური ელფერი შეიძინა.





მოედანზე პატარა ფანიც შევარდა, 10-12 წლის ბიჭი, რომელმაც ვარსკლავებს ჩაუქროლა და მერე ისევ ტრიბუნისკენ გავარდა.

**კასილიასი, ჩაბი ალონსო, ხავი, ინიესტა, სერხიო რამოსი, ვილია, ტორესი...** ბევრს უნდოდა მათი ავტოგრაფი და მათთან სურათის გადაღება, მაგრამ გუშინ ამისთვის არ ეცალათ ესპანელებს – საქართველოსთან თამაში მათთვის ახალი სანაკრებო სეზონის დასაწყისია.

**დავით თავართქილაძე**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

დილა

# ოფიციალურად: დილას დარასელია გაწვრთნის

გორის „დილას" პრესსამსახურმა "ლელოს" ინფორმაცია გუშინ ოფიციალურად დაადასტურა - **გიორგი დარასელია** გუნდის მთავარ მწვრთნელად დაინიშნა.

შეგახსენებთ, რომ გორელთა კლუბის ხელმძღანელობა 7 სექტემბერს ყოფილ მთავარ მწვრთნელს, **თემურ შალამბერიძესა** და მის ორ თანაშემწეს ეროვნულ ჩემპიონატში არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო დაემშვიდობა.

წარსულში ცნობილი ფეხბურთელი გიორგი დარასელია ასევე წარმატებული მწვრთნელი გამოდგა: კარიერის დასრულების შემდეგ 2004 წელს მუშაობდა კვარსავას „აპოელში „, 2006-07 წლებში - „ბენ სახნიმში", 2007-ში – თელ-ავივის „აპოელში", 2008-12 წლებში კი— მაკაბის „ჰაიფაში".

მთავარი მწვრთნელის ასისტენტის რანგში ორჯერ გახდა ისრაელის ჩემპიონი და ვერცხლის მედალოსანი, სამგზის თასის ფინალისტი. მისი მუშაობის პერიოდში ჰაიფას "მაკაბიმ" ჩემპიონთა და ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ითამაშა.

**მერაბ მამულაშვილი**

ახლო ხედი. ესპანეთი

# მრისხანე მეტოქე უნაკლოდ და ბევრი სუპერვარსკვლავით


ალბერტო ბეროკალ კორეა (მარცხნივ) და გელა სანაია

**შარშან გაზაფხულზე "ლელომ" ახალი რუბრიკის პრემიერა შემოგთავაზათ. "ახლო ხედი" – ასე ჰქვია რუბრიკას, რომელიც მიზნად საქართველოს ნაკრებისა და ქართული კლუბების მეტოქეების გაცნობას ისახავს. ფეხბურთის სპეციალისტების დახმარებით შევეცდებით, უფრო სიღრმისეულად დაგანახვოთ ამა თუ იმ მოწინააღმდეგის თამაშის თავისებურებები და ავ-კარგი. გვინდა, მცირე წვლილი შევიტანოთ მკითხველის საფეხბურთო ცოდნის გაღრმავებაში და შესაბამისად, სხვა კუთხით წარმოგიდგინოთ ის გუნდი, რომელიც დღეს მსოფლიოში საუკეთესოა და ბევრის აზრით, არც ფეხბურთის ისტორიაში მოეძებნება ბადალი.**

ესპანეთის ნაკრების წარმატების ფორმულა იმდენად ღრმა და შინაარსიანია, რომ მასზე ტომების დაწერა შეიძლება. ჩვენ ამ ბრწყინვალე გუნდის თამაშის მხოლოდ გარკვეულ საინტერესო ნიუანსებზე შევჩერდებით.

"ლელოს" ექსპერტები დღეს თბილისის "ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელი **გელა სანაია** და ამავე გუნდის ფიზმომზადების ესპანელი მწვრთნელი **ალბერტო ბეროკალ კორეა** არიან.

სანაიას ქართველი გულშემატკივარი კარგად იცნობს, 30 წლის ალბერტო კი, რომელიც "ლოკომოტივში" სამუშაოდ სულ ცოტა ხნის წინ ჩამოვიდა, მადრიდელია. სტაჟირება "რეალში" აქვს გავლილი და სამეფო კლუბის შიდა სამზარეულოს ხუთი თითივით იცნობს. უმუშავია "ხეტაფესა" და "სალამანკას" საკლუბო სისტემასა და აფრიკის სხვადასხვა ქვეყანაში.


ვისენტე დელ ბოსკე


ესპანეთის ეროვნული ნაკრები

## ძირითადი შემადგენლობა და განლაგება

"ესპანელები თბილისურ მატჩს ისეთივე სერიოზულობით მოეკიდებიან, როგორც ევროპის ჩემპიონატის ფინალს", - გვითხრა ალბერტომ. შესაბამისად, თუ ბოლო მომენტში ვინმე არ დაუშავდა, "ფურია როხა" საქართველოს წინააღმდეგ ოპტიმალური სასტარტო შემადგენლობით ითამაშებს, რომელიც დღეისთვის ასეთია: **კასილასი – არბელოა, რამოსი, პიკე, ალბა – ბუსკეტსი, ხაბი ალონსო – სილვა, ჩავი, ინიესტა – ტორესი.**

ევროპის ჩემპიონატზე **ვისენტე დელ ბოსკე** ორ ტაქტიკურ მონახაზს იყენებდა – ზომიერ 4-2-3-1-ს და უფრო აგრესიულ 4-3-3-ს. შედარებით იშვიათად კლასიკურ და ბოლო დროს მოდიდან გადასულ 4-4-2-საც ვხვდებით (იხ. ფოტოები).

ევრო-2012-ზე თერთმეტიდან ათ ფეხბურთელს მყარად ჰქონდა ადგილი გარანტირებული სასტარტო შემადგენლობაში, მეთერთმეტე პოზიციაზე კი ხან **ფერნანდო ტორესს**, ამწესებდნენ, ხანაც – **სესკ ფაბრეგასს**. უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოსთან ესპანელები ნომინალური ცენტრფორვარდის გარეშე არ ითამაშებენ, ასე რომ, ძირითადში, წესით, ტორესი უნდა ვიხილოთ. ნაკლებად მოსალოდნელია ახალგამოჯანმრთელებული **დავიდ ვილიას** სასტარტოში გამოჩენა.

## გუნდი, რომელიც ყველაფერს აკონტროლებს

ესპანელებს მსოფლიოში ყველაზე უკეთ შეუძლიათ ბურთის კონტროლი და თამაშის სადავეების მოკლე გადაცემებით შენარჩუნება – ეს შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს, სპეციალური სტატისტიკურ-ანალიტიკური პროგრამით, "პრო ზონით" მიღებული შედეგები კი გამაოგნებელია – ესპანეთის ნაკრები ნებისმიერ სხვა გუნდზე მთელი თავით მაღლა დგას.

ესპანელებს შეტევის ორგანიზება მოედნის ცენტრიდან უფრო უყვართ, თუმცა იმის მიუხედავად, რომ ძირითად შემადგენლობაში ფრთის გამოკვეთილი ნახევარმცველები არ ჰყავთ, ფლანგებსაც ინტენსიურად ტვირთავენ. ერთი საინტერესო ნიუანსი – შეტევათა დაახლოებით 60 პროცენტს მსოფლიოსა და ევროპის მოქმედი ჩემპიონი მარჯვენა ფლანგიდან ახორციელებს.

"პრო ზონის" კიდევ ერთი მონაცემი – ბურთის დაკარგვის შემდეგ ესპანელები ნებისმიერ სხვა გუნდზე უფრო სწრაფად გადადიან შეტევაში და პირიქით, მეტოქისთვის ბურთის ართმევის შემდეგ ყველაზე სწრაფად გადაეწყობიან საიერიშო პოზიციებზე.

თეორიულად სხვა წამყვანი ევროპული ნაკრებების მწვრთნელებმა და ფეხბურთელებმაც შესანიშნავად იციან, თუ როგორ უნდა ითამაშონ ესპანელთა სტილში, მაგრამ პრაქტიკულად ამის განხორციელება სხვებისთვის ჯერ შეუძლებელია ერთი მარტივი მიზეზის გამო – სხვებს არ ჰყავთ ესპანელებისნაირი ტექნიკური, სწრაფი და ფიზიკურად საუცხოოდ მომზადებული ფეხბურთელები.

რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ესპანეთის ნაკრების წევრებს სხვებისგან საფეხბურთო ინტელექტიც და სერიოზული თეორიული ცოდნაც გამოარჩევს – მათ ძალიან უადვილდებათ სამწვრთნელო შტაბის დავალებების გათავისება და სიტუაციისდა შესაბამისად, მოედანზე უმალ ახერხებენ ერთი ტაქტიკურ-სტრატეგიური მონახაზიდან მეორეზე გადაწყობას.

ავიღოთ ესპანეთის ნაკრების ნებისმიერი მატჩის ვიდეოჩანაწერი და დავაპაუზოთ ნებისმიერ მონაკვეთზე – ათიდან ცხრა შემთხვევაში დავინახავთ, რომ კონკრეტულ ეპიზოდში ესპანელები მოედანზე მეტოქეზე უფრო გონივრულად არიან განლაგებულნი, ჩინებულად ახორციელებენ ინდივიდუალურ და კოლექტიურ პრესინგს, თითქოს რიცხობრივ უმრავლესობასაც ფლობენ და მომართულები არიან, რომ მყისიერად გადავიდნენ დაცვიდან შეტევაში და შეტევიდან დაცვაში.

ესპანეთის ნაკრებს ყველა რგოლში ჰყავს კაშკაშა ვარსკვლავები, მაგრამ ნახევარდაცვა მაინც სულ სხვა განზომილებაა. **ჩავი, ინიესტა, სილვა, ბუსკეტსი, ალონსო** – ასეთია ამ მომენტისთვის ოპტიმალური ხუთეული. გამოკვეთილი ჩამშლელები ალონსო და ბუსკეტსი არიან, სილვა, ჩვეულებრივ, მარჯვნიდან უტევს, ჩავი მარცხნიდან, ინიესტა კი შუიდან. თუმცა ეს განლაგება მაინც პირობითია. ესპანელთა ერთ-ერთი უმთავრესი კოზირი ხომ მათი შუახაზელების უსწრაფესი გადაადგილებები და მეტოქისთვის თავგზის ამგვარად არევაა.

"ლელოს" ესპანელი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ესპანური ნახევარდაცვის ხერხემალი მხოლოდ ჩავი-ინიესტას დუეტი კი არ არის, მათზე არანაკლებ როლს ასრულებს ჩაბი ალონსო, რომლის მარგი ქმედების კოეფიციენტიც შესაშურია. **კასილასი, რამოსი**, ალონსო – მადრიდის "რეალის" ეს სამი ფეხბურთელი იძლევა იმის გარანტიას, რომ ესპანეთის ნაკრები "ბარსელონაზე" უფრო სრულყოფილი გუნდია იმის მიუხედავად, რომ ესპანელებს **ლიონელ მესი** არ ჰყავთ.

## შეუცვლელი არავინაა

არანაკლებ საუცხოო ფეხბურთელები **დელ ბოსკეს** სათადარიგოთა სკამზე უზის. ესპანეთის ნაკრებში ნებისმიერ ძირითად მოთამაშეს მოეძებნება სრულფასოვანი შემცვლელი. ძირითადი ფეხბურთელის ცნებაც საკმაოდ პირობითია – ნებისმიერმა ვარსკვლავმა უცებ შეიძლება დაკარგოს სასტარტოში ადგილი, მისმა შემცვლელმა კი ნაკრებში პოზიციები გაიმყაროს.

მაგალითად **კარლეს პუიოლისა** და **დავიდ ვილიას** მოყვანაც შეიძლება – ორივე მათგანი სულ ცოტა ხნის წინ ნაკრების საკვანძო ფეხბურთელი იყო, მაგრამ ტრავმამ ორივეს გამოატოვებინა ევროპის ჩემპიონატი და ესპანეთის ეროვნულ გუნდს ეს საერთოდ არ დასტყობია. პუიოლსაც და ვილიასაც ძირითადში დასაბრუნებლად დიდი ბრძოლა დასჭირდებათ.

## სხვა თავისებურებები

ესპანეთის ნაკრები ძალიან იშვიათად იყენებს გრძელ გადაცემებს. ხოლო მაშინ, როცა ამგვარად უტევს, როგორც წესი, მიზანს ვერ აღწევს. თუმცა ესპანელებს ჰყავთ **ხესუს ნავასი**, რომელიც გამოკვეთილი ფლანგელია და როცა ფლანგური შეტევის გაძლიერება და ბურთის საჯარიმოში ჩაწოდებაა საჭირო, დელ ბოსკე თამაშში მას რთავს.

შესანიშნავად უტევენ ფლანგის მცველებიც – წინა მუნდიალზე ამას მაღალ დონეზე აკეთებდნენ სერხიო რამოსი და **ხუან კაპდევილა**, ხოლო მას შემდეგ, რაც რამოსი დაცვის ცენტრში გადაიყვანეს, კაპდევილა კი ნაკრებში ველარ ხვდება, ეს როლი **ალვარო არბელოამ** და **ხორდი ალბამ** გადაიბარეს. ორივე მათგანს წინ წასვლა მშვიდად და თამამად შეუძლია – მათ პოზიციებს უმალ აზღვევენ ნახევარმცველები და ცენტრალური მცველები.

ესპანელებს "მეორე სართულზე" თამაში არ უყვართ, თუმცა გოლები კუთხურის შედეგადაც გააქვთ. დელ ბოსკეს გუნდი ერიდება მოედნის ცენტრში საჰაერო ორთაბრძოლებს. იკერ კასილასი თავისუფალი დარტყმისას ბურთის ახლოში გათამაშებას ამჯობინებს, რადგან ესპანეთის ნაკრების ტანდაბალ ნახევარმცველებს ცენტრში მაღალი ბურთის მოგება გაუჭირდებათ.

## ლიდერი

ესპანეთის ნაკრები ლიდერებით სავსე გუნდია, გვარების ჩამოთვლას აზრიც არ აქვს. გადახედეთ გუნდის შემადგენლობას და კიდევ ერთხელ დარწმუნდებით, რომ ამ ტვირთის ზიდვა ძალიან ბევრ ფეხბურთელს შეუძლია. სწორედ ეს არის ესპანელთა უდიდესი კოზირი – მეტოქემ არ იცის, როდის რომელი ფეხბურთელი იფეთქებს და ვისგან უფრო დიდი საფრთხეა მოსალოდნელი.

## დიდი მწვრთნელი და დიდი ადამიანი

"ვისენტე დელ ბოსკე საუკეთესო და სამაგალითოა ფეხბურთშიც და ცხოვრებაშიც. მე არასდროს შემხვედრია ასეთი კეთილშობილი ადამიანი", - ამბობს ალბერტო.

კიდევ ერთი შტრიხი, რომელიც დელ ბოსკეს დიდ ადამიანურ ღირსებაზე მეტყველებს: მისი შვილი დაუნის სინდრომითაა დაავადებული და ესპანეთის ნაკრების თავკაცი შემოსავლის დიდ ნაწილს ამ მძიმე ავადმყოფობით დატანჯულ პაციენტებს ურიცხავს.

ღრმა სამწვრთნელო ცოდნის გარდა, იგი ფეხბურთელებისა და საზოგადოების პატივისცემას პიროვნული თვისებებით იმსახურებს. რბილი ხასიათის მიუხედავად, დელ ბოსკეს გუნდში დისციპლინის დამყარება არ უჭირს. ფეხბურთელებს მისი დიდი სიყვარული და რიდი აქვთ. ბევრი მათგანი ხომ სწორედ მისი აღზრდილია.

დელ ბოსკემ ერთი დელიკატური პრობლემაც მოაგვარა – ნაკრებში საბოლოოდ აღმოიფხვრა ფარული შუღლი მადრიდელებსა და კატალონიელებს შორის, "ბარსელონას" ფეხბურთელები ესპანეთის ნაკრებში ახლა უკვე უდიდესი ენთუზიაზმით თამაშობენ.

დელ ბოსკეს მარჯვენა ხელია **ტონი გრანდე**, რომელთან ერთადაც დონ ვისენტე ჯერ კიდევ 2000-იანი წლების დასაწყისში მუშაობდა მადრიდის "რეალის" ლეგენდარულ თაობასთან ერთად. მთლიანი სამწვრთნელო შტაბი, სადაც ვიდეოანალიზის ჯგუფის ჩათვლით, ათამდე სპეციალისტი მუშაობს, "რეალის" კადრებით არის დაკომპლექტებული.

დელ ბოსკე სამწვრთნელო შტაბის წევრთათვის კოლეგაა და არა – ბოსი, როგორც მაგალითად, **ჟოზე მოურინიო**. იგი ყველა ასისტენტის აზრს ითვალისწინებს და ყველა პრინციპულ გადაწყვეტილებას მათთან კონსულტაციების შედეგად იღებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**









ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები ესპანეთთან მატჩის წინ

## გიორგი ლორია: უმძიმესი მატჩი გველის, მაგრამ...

ესპანეთთან შეხვედრაში მეკარე გიორგი ლორიაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. ბელარუსის ნაკრებთან თბილისის "დინამოს" მეკარემ რამდენჯერმე რთულ ვითარებაში ისე დამაჯერებლად ითამაშა, სიმშვიდე თანაგუნდელებსაც გადასდო. გამოცდილი და საიმედო მეკარე კი გუნდისთვის ბევრს ნიშნავს.

რას ფიქრობს გიორგი ლორია ესპანეთთან შეხვედრაზე, ბელარუსთან გამარჯვებაზე და აქვს თუ არა იმედი, ამის შესახებ ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.

**- ბელარუსთან ხშირად წინ გასვლასა და სარისკო ეპიზოდებში ფეხით თამაშს არ ერიდებოდი. ეს მეტოქეზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მცდელობა იყო?**

- მეტოქე რომ ხედავს, მისი გეშინია, უფრო თამამდება. ამიტომ რისკი და სითამამე ყოველთვის, ნებისმიერ მეტოქესთან არის საჭირო, ოღონდ გონივრულად. "დინამოშიც" ასე ვთამაშობ. არანაირი პრობლემა არ მქონია, ისე ვითამაშე, როგორც კლუბში.

**- შენი აზრით, ბელარუსებთან რის ხარჯზე მოვიგეთ?**

- ერთსულოვნებითა და უკეთესი გუნდური თამაშით. გუნდი შეიკრა და რაც ყველაზე მეტად მახარებს, ბრძოლისუნარიანობა გამოვავლინეთ.

**- შედეგზე გავლენა ჩვენმა ტექნიკურმა უპირატესობამაც იქონია.**

- ცხადია, ბელარუსებზე უფრო ტექნიკური გუნდი ვართ და ეს უპირატესობა უნდა გამოგვეყენებინა და ასეც მოხდა. ბურთი რომ გავუგორეთ, მეორე ტაიმში თამაში ამიტომაც გაუჭირდათ. მომენტი შევქმენით და გავუტანეთ. სხვათა შორის, რატომღაც, მოგებაში თავიდანვე დარწმუნებული ვიყავი.

ესპანეთთან ასე არ გამოვა, კარგად ვიცით, რომ უმძიმესი შეხვედრა გველოდება. მაგრამ ხელები არ უნდა ჩამოვუშვათ და იმედია, ღმერთი გადმოგვხედავს.

**- წლების წინ ესპანეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან საქართველომ არც ისე ცუდად ითამაშა და კარში შენ იდექი. იმ გუნდიდან რომელი ფეხბურთელი დაგიპირისპირდება?**

- როგორც მახსოვს, მაშინ გუნდში პიკე და კრჩიჩი ჰყავდათ. პიკე ჩამოვიდა, კრჩიჩს კი ნაკრებში არ იძახებენ. სხვები აღარ მახსოვს.

## გია გრიგალავა: ჩვენთვის მნიშვნელოვანი საიმედო დაცვაა

**თემურ ქეცბაია** ფრთხილი ტაქტიკით რომ თამაშობს, ეს ბელარუსთანაც გამოჩნდა. ფლანგის მცველები შეტევებში თითქმის არ ერთვებიან და ძირითადად, საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავენ. მხოლოდ იშვიათად ხდება, როდესაც ნაკრების მთავარ მწვრთნელს შეტევის გაძლიერება სურს, ფლანგზე გამოცდილ **დავით კვირკველიას** აყენებს.

"ჩვენი მიზანი ციკლის გამარჯვებით დაწყება იყო. ბელარუსის გუნდი კი საკმაოდ ძლიერი და უხერხული მეტოქე გახლდათ. ამის გამო ვცდილობდი, უკან დავრჩენილიყავი. თემურ ქეცბაიას არ უთქვამს, რომ წინ არ წავსულიყავი, აკრძალვა ნამდვილად არ მქონია. მაგრამ საქართველოს ნაკრებისთვის ამ ეტაპზე უკანა ხაზის სიძლიერე და საიმედოობა ყველაზე მნიშვნელოვანია და მეც ვცდილობდი, არ გამერისკა. ჩემს ფლანგზე ბელარუსთა შემტევ ნახევარმცველს სივრცეს შეგნებულად ვუტოვებდი, ბევრი რომ ერბინა, დაღლილიყო და საჯარიმოს არ გაჰკარებოდა. საკმაოდ სწრაფი და აქტიური მოთამაშე იყო, მაგრამ საბოლოოდ მაინც არაფერი გამოუვიდათ" – ამბობს ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" მცველი გია გრიგალავა.

## ჯაბა კანკავა: უიმედო კაცს ფეხბურთელად არ მივიჩნევ!

**ჯაბა კანკავამ** საქართველოს ნაკრები მოედანზე კაპიტნის სამკლავურით პირველად 7 სექტემბერს გაიყვანა. შეხვედრა მისთვისაც წარმატებული გამოდგა და გუნდისთვისაც.

"მთავარი იყო, რომ ბელარუსთან სამი ქულა მოგვეპოვებინა და ამოცანა შევასრულეთ. ციკლის მოგებით დაწყება კი ძალიან მნიშვნელოვანია. ჩემი აზრით, შეხვედრის ბედი ჩვენმა მონდომებამ და ბრძოლამ გადაწყვიტა, რაშიც მეტოქეს ვაჯობეთ.

პირველ ტაიმში ბელარუსები ოდნავ უკეთ გამოიყურებოდნენ, კონტრშეტევებზე თამაშობდნენ და მეტი სახიფათო მომენტიც შექმნეს. ჩვენ კი პრესინგით ვთამაშობდით, რაც სულაც არ არის ადვილი. ბურთი ისე ვერ დავიჭირეთ, როგორც საჭირო იყო და შეტევის განხორციელება გვიჭირდა. მაგრამ პირველ ტაიმში რა ფეხბურთიც ვაჩვენეთ, ესეც საერთო სტრატეგიის ნაწილი იყო. მეორე ტაიმში უპირატესობა მეტი აქტიურობისა და აგრესიის ხარჯზე მოვიპოვეთ, მერე გავიტანეთ და გოლმა თამაში გახსნა. ბელარუსები შეტევებზე წამოვიდნენ, დაცვა გააშიშვლეს და მომენტები კიდევ შევქმენით. მართალია, ამ შესაძლებლობებით ვეღარ ვისარგებლეთ, მაგრამ მთავარია, რომ სამი ქულა მოვიპოვეთ" – ამბობს კანკავა.

ნაკრების ახალმა კაპიტანმა ესპანეთთან მოახლოებულ შეხვედრაზეც ილაპარაკა: "უნდა ვაღიაროთ, რომ უძლიერესი მეტოქე გვყავს. ესპანეთის დამარცხება საქართველოს კი არა, მსოფლიოს უძლიერეს ნაკრებებს უჭირთ. ხომ ნახეთ, ევროპის ჩემპიონატის ფინალში იტალიის უძლიერესი გუნდი 4:0 დაამარცხა და ფეხი არ გაანძრევინა. რა თქმა უნდა, მოგების უმცირესი შანსი გვაქვს, მაგრამ ფეხბურთელად არ მიმაჩნია ის, ვისაც ასეთ მეტოქესთანაც კი არ აქვს იმედი. მაშინ მოედანზე გასვლას რა აზრი აქვს? წინასწარ შანსების გადაწურვა არ შეიძლება".



ჯაბა კანკავა

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

## დავით თარგამაძე: ამ დონის ნაკრებთან თამაში სტიმულია

**დავით თარგამაძეს** ბელარუსები კარგად იცნობდნენ. მათი მთავარი მწვრთნელი გეორგი კონდრატიევი და ფეხბურთელები ამბობდნენ, რომ მარიუპოლის "ილიჩივეცის" შემტევი ნახევარმცველის წინააღმდეგ თამაშისთვის მზად იყვნენ.

მაგრამ მარტო ცოდნა რას გარგებს: დათომ მეტოქის მცველები ბევრჯერ ჩააგდო უხერხულ მდგომარეობაში.

თარგამაძე "ლელოს" განვლილ და მომავალ სანაკრებო მატჩებზე ელაპარაკა:

- ძალიან რთული შეხვედრა მოვიგეთ და ეს ძალიან მახარებს. ბელარუსი რეალურად საკმაოდ გამართული გუნდია. პირველ ტაიმში შეცდომები გვქონდა და გაგვიჭირდა. მეორე ტაიმში უფრო გუნდურად ვითამაშეთ და მეტოქეს შეცდომები დავაშვებინეთ. შედეგს ასე მივაღწიეთ.

**- მოულოდნელი იყო ქეცბაიას გაანწყვეტილება, როდესაც მჭედლიძე მოხსნა და თავდასხმაში გადაგიყვანა.**

- ეს თამაშიდან გამომდინარეობდა. გოლის შემდეგ სწრაფ კონტრშეტევებზე უნდა გვეთამაშა და წინ ამიტომ დამაყენა. მე მქონდა დავალება, რომ ბურთი თავისუფალ ზონებში მომეთხოვა და დაცვა შემეწუხებინა.

**- სხვათა შორის, თავიდან გვეშინოდა, რომ ტანმაღალ ბელარუს მცველებთან გაგიჭირდებოდათ, მაგრამ მოხდა პირიქით, მათი ტექნიკური სისუსტით ისარგებლეთ.**

- ეს მაღალი მცველებისთვის დამახასიათებელი ნაკლია, დაბალ და სწრაფ ფეხბურთელებთან თამაში უჭირთ. საბედნიეროდ, ამ ნაკლის გამოყენება მოვახერხეთ.

**- პირველი მატჩის მოგება კარგია, მაგრამ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ ესპანეთთან შეხვედრა გველის.**

- გასაგებია, რომ ესპანეთი მსოფლიოში საუკეთესო ნაკრებია, მაგრამ ბელარუსთან მოგებამ კარგ ხასიათზე დაგვაყენა და მატჩისთვის ფსიქოლოგიურად კარგად განვეწყვეთ. ბოლოს და ბოლოს, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონია და მოგება ძალიან რთული იქნება, მაგრამ სტრესი უნდა მოვიხსნათ და თავისუფლად ვითამაშოთ. მგონია, რომ თამაში ჩვენთვის სტიმული უნდა იყოს და არა სტრესი.

**- ბელარუსული მედია თავის ნაკრებზე ხუმრობდა, ესპანეთთან წაგებაზე მეტად იმის გვეშინია, ფეხბურთელებმა მეტოქის ვარსკვლავებს ავტოგრაფი პირდაპირ მოედანზე არ ჩამოართვანო.**

- მოედანზე ავტოგრაფს ნამდვილად არ ჩამოვართმევ, მაგრამ ასეთი ვარსკვლავების წინააღმდეგ თამაში ნამდვილად მესიამოვნება. ჩემთვის ეს თამაში მართლა ოცნება და დიდი სტიმულია, ღირსეულად რომ დავუპირისპირდე.

**- თუმცა, ასეთ მეტოქესთან ბევრს სტიმული კი არ უჩნდება, მუხლების კანკალი ეწყება.**

- ჯერ ამ დონის ნაკრებთან არ მითამაშია და ვერაფერს გეტყვით. 11 სექტემბერიც მალე დადგება და ამის შემდეგ შევაფასოთ, ამიკანკალდა თუ არა მუხლები.



დავით თარგამაძე

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ფუტსალი

## თბილისი ელიტრაუნდს უმასპინძლებს

### მოსკოვის დინამო თბილისში არ ჩამოვა

**გუშინ** უეფამ ჩვენთვის სასურველი და სასიხარულო ამბავი ოფიციალურად გამოაცხადა: ფუტსალის ჩემპიონთა ლიგის ელიტრაუნდის ერთ-ერთი ჯგუფის მატჩებს თბილისი უმასპინძლებს!

სლოვენიაში ჩატარებულ უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე "იბერია სტარმა" მეორე ადგილი დაიკავა და ელიტ რაუნდში თამაშის უფლება მოიპოვა. "იბერია სტარის" ხელმძღვანელობა ჯგუფის წარმატებაში იმდენად იყო დარწმუნებული, რომ უეფაში ელიტრაუნდის მასპინძლობაზე განაცხადი ჯერ კიდევ ივლისში, საგზურის მოპოვებამდე შეიტანა.

აგვისტოს ბოლოს უეფამ კლუბს დამატებითი მოთხოვნები გააცნო, რომელზე პასუხსაც 4 სექტემბრამდე ელოდნენ. როგორც ჩანს, ქართული მხარის პასუხმა ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანიზაცია დააკმაყოფილა, რაც მოულოდნელი არ ყოფილა: ფუტსალის ჯგუფური ეტაპი ერთ დარბაზში ტარდება.

დიდი ფეხბურთისგან განსხვავებით, ფუტსალში ინფრასტრუქტურა სრულ წესრიგში გვაქვს და უმაღლეს მოთხოვნებს აკმაყოფილებს: სპორტის სასახლეში მშვენიერი პარკეტია, განახლებულ-მოწესრიგებულია და 10 ათასამდე მაყურებელს იტევს. ამავე დროს, სპორტის სასახლის წინ მდებარეობს 4-ვარსკვლავიანი სასტუმრო "ჰოლიდეი ინ" (ყოფილი "აჭარა"), სადაც მონაწილეები დაბინავდებიან. სასტუმროში კი არის საცურაო აუზი, ფიტნესდარბაზი და ის კომფორტი, რასაც უეფა ითხოვს.

"იბერია სტარის" გარდა, ელიტრაუნდის მასპინძლობაზე განაცხადი შემდეგმა კლუბებმა შეიტანეს: "ელ პოსომ" (ესპანეთი), "ბენფიკამ" (პორტუგალია) "დინამომ" (მოსკოვი, რუსეთი), "ეკონომაცმა" (სერბეთი), "ლუპარენსემ" (იტალია), "ბარსელონამ" (ესპანეთი), "კაირატმა" (ყაზახეთი), "არაზმა" (აზერბაიჯანი) და "ნიკარსმა" (ლატვია).

უეფამ ელიტრაუნდის მასპინძელი 4 ქალაქი უკვე დაასახელა: თბილისი, მურსია, ბელგრადი და ლუბლიანა. ოთხთა ფინალში მხოლოდ ჯგუფში პირველ ადგილზე გასული კლუბები ითამაშებენ.

"თამაშები თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება. სავარაუდოდ, თამაშებს 10, 11 და 13 ოქტომბერს დავნიშნავთ, რადგან 12 ოქტომბერს საქართველოს ნაკრებს ფინეთთან ოფიციალური მატჩი აქვს და არ გვინდა, ეს ორი მნიშვნელოვანი მოვლენა ერთმანეთს დავამთხვიოთ.

ელიტრაუნდის წილისყრა ნიონში 13 სექტემბერს გაიმართება, რომელსაც "იბერიას" პრეზიდენტი ვატო წერეთელი დაესწრება და მეტოქეებიც გვეცოდინება. ვიცით, რომ თბილისში აუცილებლად გვესტუმრება ერთ-ერთი გრანდი – ლისაბონის "ბენფიკა", "ბარსელონა" ან ფუტსალში ერთ-ერთი უძლიერესი ალმაატის "კაირატი". უეფამ გამოაცხადა, რომ თბილისში მოსკოვის "დინამო" არ ჩამოვა" - გვითხრა "იბერიას" მენეჯერმა **გიორგი დარჯანიამ.**

წლევანდელი გათამაშება საინტერესოდ უნდა წარიმართოს, რადგან თითქმის ყველა კლუბი გაძლიერდა. მაგალითად, ლატვიის ჩემპიონმა "ნიკარსმა" პორტუგალიის ნაკრების ფეხბურთელები, **არნალდუ** და **ზე მარია** დაიმატა. უნგრეთის ჩემპიონს კი საკმაოდ ძლიერი ესპანელი მოთამაშეები და მწვრთნელი ჰყავთ. სლოვაკურმა "სლოვმატიკმა" ერთგვარი სენსაცია მოახდინა და უეფა-ს თასის მფლობელ იტალიურ გრანდს "ლუპარენსეს" დაუზავდა 0:0.

ელიტ რაუნდის მასპინძლობა "იბერია სტარს" ფინალურ ოთხეულში მოხვედრის მშვენიერ შანსს აძლევს და იმედია, ჩვენი ჩემპიონი ამით ისარგებლებს.

ნებისმიერ შემთხვევაში, თბილისის სპორტის სასახლეში უშელავათო ბრძოლის მონაწილენი გავხდებით და გულშემატკივარი ფუტსალის ვარსკვლავებს იხილავს.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

ბრაზილია. სერია A. XXIII ტური

# ფლუმინენსე და ატლეტიკო დაწინაურდნენ

## ფლამენგო და სანტოსი ისევ ვერ იგებენ

**პონტე პრეტა–ფიგეირენსე 2:2**

გოლები: 1:0 ჯანკარლო (9), 1:1 ალოიზიო (16), 1:2 კაიო (45), 2:2 მარსინიო (79).

**კორიტიბა–ფლამენგო 3:0**

გოლები: 1:0 ლინკოლნი (17), 2:0 რაფინია (57), 3:0 ევერტონ რიბეირო (72).

**კორინთიანსი–გრემიო 3:1**

გოლები: 1:0 რალფი (6), 2:0 გილერმე (11), 2:1 ლეანდრო (58), 3:1 ჯოვანი (90).

**ბოტაფოგო–ნაუტიკო 3:1**

გოლები: 1:0 ელკესონი (1), 2:0 ელკესონი (34), 2:1 არაუჯო (55-პენ), 3:1 ანდრეზინიო (90).

**ინტერნასიონალი–ფლუმინენსე 0:1**

გოლი: 0:1 ფრედი (29).

**ვასკო და გამა–ბაია 0:4**

გოლები: 0:1 სოუზა (41), 0:2 ჯოუნს კარიოკა (49), 0:3 ჯოუნს კარიოკა (56), 0:4 სოუზა (70).

**ატლ. მინეირო–პალმეირასი 3:0**

გოლები: 1:0 ლეონარდო სილვა (53), 2:0 ბერნარდი (84), 3:0 ბერნარდი (90).

**სპორტი–კრუზეირო 2:1**

გოლები: 0:1 ვალისონი (9), 1:1 რიტიელი (31), 2:1 ჟილბერტო (62).

**ატლ. გოიანიენსე–პორტუგეზა 1:1**

გოლები: 1:0 მარკოსი (38), 1:1 ვალდომირო (54).

**სანტოსი-სან პაულო 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფლუმინენსე | 23 | 14 | 8 | 1 | 38-15 | 50 |
| 2. ატლ. მინეირო | 22 | 14 | 6 | 2 | 38-16 | 48 |
| 3. გრემიო | 23 | 14 | 2 | 7 | 34-20 | 44 |
| 4. ვასკო და გამა | 23 | 11 | 6 | 6 | 28-24 | 39 |
| 5. ბოტაფოგო | 23 | 11 | 4 | 8 | 38-30 | 37 |
| 6. სან პაულო | 23 | 11 | 3 | 9 | 34-26 | 36 |
| 7. ინტერნასიონ. | 23 | 9 | 8 | 6 | 27-19 | 35 |
| 8. კრუზეირო | 23 | 10 | 4 | 9 | 31-32 | 34 |
| 9. კორინთიანსი | 23 | 8 | 7 | 8 | 25-23 | 31 |
| 10. პონტე პრეტა | 23 | 8 | 7 | 8 | 29-31 | 31 |
| 11. პორტუგეზა | 23 | 7 | 8 | 8 | 24-24 | 29 |
| 12. ნაუტიკო | 23 | 8 | 4 | 11 | 29-38 | 28 |
| 13. ფლამენგო | 22 | 7 | 6 | 9 | 23-31 | 27 |
| 14. ბაია | 23 | 6 | 9 | 8 | 23-25 | 27 |
| 15. სანტოსი | 23 | 6 | 9 | 8 | 26-31 | 27 |
| 16. კორიტიბა | 23 | 7 | 4 | 12 | 35-42 | 25 |
| 17. სპორტი | 23 | 5 | 7 | 11 | 19-32 | 22 |
| 18. პალმეირასი | 23 | 5 | 5 | 13 | 21-30 | 20 |
| 19. ფიგეირენსე | 23 | 4 | 7 | 12 | 25-40 | 19 |
| 20. ატლ. გოიანიენ. | 23 | 3 | 8 | 12 | 23-41 | 17 |

**ბომბარდირები:** 11 – ფრედი (ფლუმინენსე); 10 - ლუიშ ფაბიანო (სან პაულო), ვაგნერ ლავი (ფლამენგო); 9 – ალექსანდრო (ვასკო და გამა), ველინგტო პაულისტა (კრუზეირო); 8 – ბრუნო მინეირო (პორტუგეზა), კაიო (ფიგეირენსე), ელკესონი (ბოტაფოგო), ანდრეზინიო (ბოტაფოგო).

**სერია A-ს პირველობის 23-ე ტური ღარიბი იყო როგორც საინტერესო მოვლენებით, ასევე ფეხბურთელებით, რადგან ძალიან ბევრი მოთამაშე ეროვნულ ნაკრებში იყო გამოძახებული. განსაკუთრებით იზარალეს "ვასკო და გამამ", "ინტერნასიონალმა" და "სანტოსმა". ეს ყველაფერი მათ შედეგებზეც აისახა...**

### შერცხვენილები

"ვასკო და გამას" 23-ე ტურში გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, ცენტრალური მცველი **დედე** ვერ ეხმარებოდა, რომელიც ეროვნულ გუნდში იყო გამოძახებული. **კრისტოვაო ბორჟესმა** დედეს ღირსეული შემცვლელი ვერ მოძებნა და მისი გუნდიც განადგურდა. "ვასკომ" ბოლო 8 შეხვედრაში მე-5 მარცხი განიცადა და მის ქომაგებს შეუძლიათ ჩემპიონობაზე აღარც იოცნებონ. სალვადორის "ბაია" გრანდი არ გახლავთ, მაგრამ როგორც წესი, ძლიერ გუნდებს უფრო კარგად ეთამაშება, ვიდრე სუსტებს. ბრაზილიის ორგზის ჩემპიონმა (1959, 1988) შესანიშნავად ითამაშა "სან ჟანუარიოზე" და ოთხი უპასუხო გოლი გაუტანა მეტოქეს. მატჩის გმირები **სოუზა** და **ჯოუნს კარიოკა** გახდნენ, რომლებმაც არა მარტო 2-2 გოლი გაიტანეს, არამედ თითო საგოლე პასიც ჩაიწერეს აქტივში. "ბაიას" ასეთი ანგარიშით აქამდე "ვასკო და გამა" არ დაემარცხებინა, ასე რომ, ეს შეხვედრა, ისტორიული გამოდგა ამ გუნდისთვის.

თამაშის შემდეგ მასპინძელთა ქომაგებმა მწვრთნელის გათავისუფლება მოითხოვეს, რაზეც ბორჟესმა განაცხადა: *"ჩვენ, რა თქმა უნდა, ძალიან იმედგაცრუებულნი ვართ. ჩემი მწვრთნელობის ჟამს, ეს ყველაზე ცუდი მატჩი იყო, რომელიც ჩაგვიტარებია. თამაშის შემდეგ დირექტორატის წევრებთან არ მისაუბრია, რადგან ჩემს ასისტენტებთან ერთად გასახდელში ვიყავი. ბოლო სამი წელია "ვასკო და გამა" ძალიან კარგად და სტაბილურად თამაშობს, ასე რომ ჩემს გათავისუფლებაზე საუბარი მთლად ლოგიკური არ არის".*

შერცხვა რიოს მეორე გრანდი "ფლამენგოც", რომელმაც "კორიტიბასგან" სამი გოლი გაუშვა. მასპინძლებს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავდათ: 33 წლის **მარკინიოს სანტოსი.** ასევე "კორიტიბას" რიგებში დებიუტი ჰქონდა **დეივიდს**, რომელიც ამ გუნდში სწორედ "ფლამენგოდან" გადავიდა. შეგახსენებთ, რომ შარშან დეივიდმა სერია A-ში 15 გოლი გაიტანა და ბომბარდირთა დავაში მესამე ადგილი დაიკავა. მიუხედავად ამისა, "ფენერბაჰჩეს" ყოფილმა თავდამსხმელმა **ვაგნერ ლავთან** კონკურენციას ვერ გაუძლო და ბრაზილიის ყველაზე პოპულარული გუნდის დატოვება გადაწყვიტა.

მატჩის მე-17 წუთზე, "შალკეს" და "გალათასარაის" ყოფილმა გამთამაშებელმა **ლინკოლნმა** კარგად ისარგებლა მცველთა შეცდომით და ანგარიში გახსნა. "ფლა" უპირატესობას ფლობდა, ბევრსაც უტევდა, მაგრამ გოლები მათ კარში გადიოდა. 57-ე წუთზე **რაფინიამ,** ხოლო 72-ეზე **ევერტონმა** საბოლოო ანგარიში დააფიქსირეს. მასპინძლებისთვის ამ ქულებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ახლა პარანას შტატის გუნდი 3 ქულით უსწრებს გასავარდნ ზონაში მყოფ "სპორტ რესიფეს" და მხოლოდ 2-ით ჩამორჩება "ფლამენგოს", რომელმაც ზედიზედ მესამე მატჩი წააგო.



კუკას გუნდი პოტენციური ლიდერია

### ლიდერებმა მეტოქეთა დანაკლისით ისარგებლეს

ჩემპიონატის ლიდერი "ფლუმინენსე" პორტუ ალეგრიში ჩავიდა და სახლში სამი ქულით დაბრუნდა. "ინტერნასიონალს" ამ შეხვედრის წინ უდიდესი დანაკლისი ჰქონდა. სხვადასხვა მიზეზის გამო, მასპინძლებს არ ჰყავდათ: **ანდრეს დალესანდრო, პაბლო გინიასუ, დიეგო ფორლანი, რაფაელ მოურა** და **ლეანდრო დამიაო.** მატჩი საკმაოდ დაძაბული გამოდგა და შეხვედრის არბიტრმა **ვილტონ პერეირა სამპაიომ** ფეხბურთელებს 10 ყვითელი და 3 წითელი ბარათი აჩვენა. შეხვედრის ერთადერთი გოლი მატჩის 29-ე წუთზე **ფრედმა** გაიტანა. "ლიონის" ყოფილი ფორვარდისთვის ეს ჩემპიონატში მე-11 გოლი იყო და ის ბომბარდირთა დავაში ერთპიროვნულად დაწინაურდა. ასევე ერთპიროვნულ ლიდერია "ფლუც", თუმცა მდევარ "ატლეტიკო მინეიროს" ერთი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული.

**რონალდინიოს** გუნდი "ბრაზილეიროს" ერთ-ერთ აუტსაიდერ "პალმეირასს" მასპინძლობდა. **ლუიშ ფელიპე სკოლარისაც** ძალიან დიდი დანაკლისი ჰქონდა. ტრავმების, დისკვალიფიკაციის, თუ ნაკრებში გამოძახების გამო, "ფელიპაოს" განკარგულებაში შემდეგი მოთამაშეები არ იყვნენ: **ენრიკე, ერნან ბარკოსი, დანიელ კარვალიო, ვესლი** და **მარკოს ასუნსაო.** ერთადერთი სასიამოვნო ამბავი სკოლარისთვის იყო ის, რომ ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ მოედანს **ხორხე ვალდივია** დაუბრუნდა. წინა ტურში გამარჯვების შემდეგ "დიდმა ფილმა" განაცხადა, რომ მის გუნდს იღბალი დაუბრუნდა. სამწუხაროდ, სკოლარი აშკარად შეცდა, რადგან პოტენციურ ლიდერთან მატჩში მისი გუნდი საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა და რომ არა მასპინძელთა მეკარე **ვიქტორი,** ანგარიშს უკვე პირველ ტაიმში გახსნიდა.

მეორე ტაიმი "პალესტრა.იტალიასთვის" ძალიან ცუდად დაიწყო. 53-ე წუთზე **რონალდინიომ** კუთხური მოაწოდა, რომელიც **ლეო სილვას** გოლით დასრულდა. "ატლეტიკოს" ცენტრალური მცველისთვის ეს უკვე მეხუთე გოლი იყო ჩემპიონატში, ვერაფერს იტყვი, შთამბეჭდავი შედეგია. გაშვებულმა გოლმა სტუმრები ვერ გატეხა და ისინი უპირატესობას ისევ ფლობდნენ, **კუკამ** კი მასპინძელთა თამაში კონტრშეტევაზე გადააწყო. რამდენიმე გამოუყენებელი მომენტის შემდეგ, 84-ე წუთზე "პალმეირასი" დაისაჯა. გოლი **ბერნარდმა** გაიტანა, ხოლო 90-ე წუთზე 19 წლის ფეხბურთელმა, რომელიც ამ ჩემპიონატის ერთ-ერთი აღმოჩენაა, დუბლიც გაიფორმა.

საბოლოოდ აშკარად ალოგიკური 3:0 და "ატლეტიკო" ისევ პოტენციური ლიდერია, ხოლო "პალმეირასი" "სპორტ რესიფეს" გამარჯვების გამო, უკვე 18-ე ადგილზეა.

თამაშის შემდეგ სკოლარი ისევ უიღბლობას უჩიოდა: *"ფეხბურთელებმა რაც შეეძლოთ ყველაფერი გააკეთეს. პირველ ტაიმში რამდენიმე შანსი გვქონდა და რომ გაგვეტანა, დღეს მინიმუმ ქულას ავიღებდით. საკმაოდ სულელური გოლი გავუშვით, რადგან კუთხურის დროს, მეტოქის რიგებში ყველაზე მაღალ მოთამაშეს არავინ მეურვეობდა. ერთადერთი, რაც ჩემს გუნდს აკლია, არის იღბალი. დღესაც არ გაგვიმართლა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბიჭები ზუსტად ისე ითამაშებენ და იბრძოლებენ "ვასკოსთან", როგორც ეს დღეს გააკეთეს".*

### ნეიმარის და განსოს გარეშე ძნელია

"ვილა ბელმიროზე" სან პაულოს დერბი გაიმართა: "სანტოსი" "სან პაულოს" წინააღმდეგ. გულშემატკივარი ამ მატჩისგან ბევრს ელოდა, მაგრამ **არუკას, ნეიმარის, განსოს** და **ლუკასის** არყოფნა მატჩის სანახაობრივ მხარეზე აშკარად აისახა. ულიმლამო სანახაობა გატანილი გოლების გარეშე დასრულდა. "სან პაულო" მე-6 ადგილზე ჩამოქვეითდა და მეოთხეზე მყოფ "ვასკოს" 3 ქულით ჩამორჩება, "სანტოსმა" კი 27 ქულას მოუყარა თავი და თუ შედეგები დროულად არ გამოასწორა, გავარდნის საფრთხე რეალურად დაემუქრება.

ამ ტურში წააგო "გრემიომ" და ლიდერთა დუეტს ჩამორჩა. **რალფის** და **გილერმეს** გოლების წყალობით მოქმედი ჩემპიონი უკვე 11-ე წუთისთვის იგებდა. საბოლოოდ "კორინთიანსმა" 3:1 მოიგო და სატურნირო მდგომარეობა ოდნავ გამოასწორა.

ასევე აღსანიშნავია "ბოტაფოგოს" მორიგი, ზედიზედ მესამე გამარჯვება – 3:1 "ნაუტიკოსთან". ამ მატჩში დუბლი შეასრულა **ელკესონმა,** ერთი გოლი კი **ანდრეზინიომ** გაიტანა. ახლა ამ ფეხბურთელებს 8-8 გოლი აქვთ გატანილი. "ბოტაფოგო" მართლაც უნიკალური გუნდია, რადგან პრაქტიკულად უფორვარდოდ თამაშობს, მიუხედავად ამისა, საკმაოდ ბევრი გოლი გააქვს და ამ გამარჯვების შემდეგ უკვე მეხუთე ადგილზეა. თუ მხედველობაში გუნდების ფორმას მივიღებთ, შორს არ არის ის დრო, როდესაც "ვასკო" მეოთხე ადგილს დათმობს და მას სწორედ **კლარენს ზეედორფის** გუნდი დაიკავებს.




მწვრთნელი

### რაფაელ ბენიტესი ლივერპულის ხელმძღვანელებზე ნაწყენია

ესპანელმა მწვრთნელმა განაცხადა, რომ ის გაოცებული იყო, როდესაც "ლივერპულმა", **კენი დალგლიშის** გათავისუფლების შემდეგ არ სცადა მასთან დალაპარაკება. შეგახსენებთ, რომ კენის კარისკენ მაისში მიუთითეს. ამის შემდეგ "წითლების" ამერიკელმა მფლობელებმა მწვრთნელობა ჯერ **ფაბიო კაპელოს,** შემდეგ კი **რობერტო მარტინესს** შესთავაზეს. ორივესგან უარის მიღების შემდეგ კი მთავარ მწვრთნელად **ბრენდან როჯერსი** დანიშნეს.

53 წლის **ბენიტესს,** რომელმაც მერსისაიდულ კლუბს ჩემპიონთა ლიგა და ასოციაციის თასი მოაგებინა, მიაჩნია, რომ მინიმუმ შეთავაზებას მაინც იმსახურებდა: *"ძალიან უცნაური იყო, რომ წინადადებით არ მომმართეს. მე და ჩემი შტაბის წევრები ძალიან კარგად ვიცნობთ კლუბს, მოთამაშეებს, აკადემიას და თან ახლა უფრო გამოცდილები ვართ. ქომაგებს ჩემი დაბრუნება სურდათ, მაგრამ როგორც ხედავთ, დირექტორატში ეს აზრი თავში არავის მოსვლის".*

შეგახსენებთ, რომ როჯერსის ხელმძღვანელობით ინგლისის 18-გზის ჩემპიონმა სამ ტურში მხოლოდ 1 ქულა აიღო და ამ მომენტისთვის სატურნირო ცხრილში მე-18 პოზიციას იკავებს.



გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

● ბრაზილია 2014. ევროპა და სამხრეთი ამერიკა. შესარჩევი ეტაპი

# შეტევა, შეტევა, მხოლოდ შეტევა: ბლოხინის დევიზი „უემბლიზე“

## დღეს, თბილისსა და ევროპის 23 ქალაქში


გერმანელი ვარსკვლავები ავსტრიისთვის ემზადებიან

| A ჯგუფი | |
|---|---|
| დღეს | |
| სერბეთი-უელსი | 22:30 |
| ბელგია-ხორვატია | 22:45 |
| შოტლანდია-მაკედონია | 23:00 |

| B ჯგუფი | |
|---|---|
| დღეს | |
| ბულგარეთი-სომხეთი | 22:00 |
| იტალია-მალტა | 22:45 |

| C ჯგუფი | |
|---|---|
| დღეს | |
| ავსტრია-გერმანია | 22:30 |
| შვედეთი-ყაზახეთი | 22:30 |

| D ჯგუფი | |
|---|---|
| დღეს | |
| რუმინეთი-ანდორა | 21:30 |
| უნგრეთი-ჰოლანდია | 22:30 |
| თურქეთი-ესტონეთი | 23:00 |

| E ჯგუფი | |
|---|---|
| დღეს | |
| ნორვეგია-სლოვენია | 22:00 |
| კვიპროსი-ისლანდია | 22:00 |
| შვეიცარია-ალბანეთი | 22:30 |

| F ჯგუფი | |
|---|---|
| დღეს | |
| ისრაელი-რუსეთი | 22:00 |
| ჩრდ. ირლანდია-ლუქსემბურგი | 22:45 |
| პორტუგალია-აზერბაიჯანი | 23:15 |

| G ჯგუფი | |
|---|---|
| დღეს | |
| სლოვაკეთი-ლიხტენშტაინი | 22:15 |
| საბერძნეთი-ლიტვა | 22:45 |
| ბოსნია-ლატვია | 23:00 |

| H ჯგუფი | |
|---|---|
| დღეს | |
| სან მარინო-ჩერნოგორია | 22:30 |
| პოლონეთი-მოლდოვა | 22:45 |
| ინგლისი-უკრაინა | 23:00 |

| სამხრეთი ამერიკა | |
|---|---|
| დღეს | |
| ჩილე-კოლუმბია | 23:30 |
| ურუგვაი-ეკვადორი | 01:30 |
| პარაგვაი-ვენესუელა | 03:25 |
| პერუ-არგენტინა | 05:25 |

დღეს ევროპის მრავალ ქვეყანაში მუნდიალის შესარჩევი მატჩები გაიმართება. ბუნებრივია, საქართველოში ყველა ესპანელებთან მომავალ მატჩზე ფიქრობს, თუმცა არც სხვა ბატალიებია უინტერესო. ჩვენი ჯგუფის გარდა „ბებერ კონტინენტზე“ 22 დაპირისპირებაა. თქმა არ უნდა, დღის უმთავრესი მატჩი „უემბლიზე“ გაიმართება, სადაც როი ჰოჯსონის ინგლისი ოლეგ ბლოხინის უკრაინას უმასპინძლებს. ინგლისელებმა მოლდოვა ტრიუმფით მოიარეს, 5:0 აჯობეს სუსტ მეტოქეს, ხოლო სლავებისთვის მუნდიალი მხოლოდ ახლა იწყება.

### უკრაინული ოპტიმიზმი

თუ გახსოვთ, ივნისში, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ეს გუნდები ერთმანეთს ჯგუფში გადაეყარნენ და უეინ რუნის გოლით ინგლისელებმა იმარჯვეს. დონეცკური განბილებისთვის ბლოხინის გუნდი შურისძიებას ლონდონში აპირებს. დიახ, არ მოგესმათ - მწვრთნელი ზეოპტიმისტურად არის განწყობილი. „რა ნიუანსიც გინდათ გავიხსენოთ, სტატისტიკა, ტაქტიკა, ტექნიკა - ყველაფერში ვაჯობეთ მაშინ მეტოქეს, თანაც ვაჯობეთ, მაგრამ მაინც 0:1 დავმარცხდით. უნდა მოგვეგო, რადგან ტოტალური უპირატესობა გვქონდა. მაგრამ რას გააწყობ, ხდება ხოლმე, ეს უკვე წარსულია, ახლო და მწარე, მაგრამ უკვე ჩავლილი ფაქტი. ახლა ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად ბრძოლას ვიწყებთ. საკვალიფიკაციო თამაშებს თავისი სტრატეგია და რიტმი აქვს, ჩვენ კი ამ მხრივ ცუდად გვაქვს საქმე - 2009-წლიდან საკვალიფიკაციო ბატალიებში მონაწილეობა არ მიგვიღია, გარკვეულწილად გამოუცდელებიც კი ვართ ამ საქმეში“, - აცხადებს ბლოხინი, მაშ რისი იმედი აქვს წარსულში ცნობილ ფორვარდს? დიახ, სწორედ თავისი ნაკრების შეტევის ხაზის, რომელიც, მისი თქმით, გადახალისებულია: „სტარტი ძალიან მნიშვნელოვანია, თანაც თამაში სადღაც კი არ არის, არამედ „უემბლიზე“, სადაც სტუმრის მოპოვებული ნებისმიერი ქულა ბონუსია. ჩვენი გუნდი შეიცვალა, ახლა უკრაინა უფრო შემტევი გუნდია. ეს კი ბიჭებს სისხლში აქვთ, შეტევა და მხოლოდ შეტევა, მათ ვერ შევზღუდავ, თავისუფლება უნდა მივანიჭო“.

მართლაც, უკრაინა განსხვავებული გუნდი უნდა იყოს, **ანდრი შევჩენკო, ოლექსანდრ შოვკოვსკი, ანდრი ვორონინი** აღარ არიან გუნდში, მათ საერთაშორისო კარიერა დაასრულეს, ხოლო **ოლექსანდრ ალიევი** და **არტიომ მილევსკი** თავად მწვრთნელმა აღარ ისურვა ნაკრებში. ახლა ახლებისა და ახალგაზრდების დროა: **იევჰენ კონოპლიანკას, იაროსლავ რაკიცკის, დენის გარმაშს** ის ფეხბურთელები ამოუდგებიან მხარში, რომელთაც 2011 წლის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ითამაშეს დანიაში.

„ასაკი არაფერია, ისინი უკვე ჩამოყალიბებული ფეხბურთელები არიან, ზოგიერთს კი ნაკრების ლიდერობაც მოუწევს უახლოეს ხანებში“, - ამბობს უკრაინელთა დამრიგებელი. ბლოხინის მთავარი სადარდებელი დაცვის ცენტრია, ტარას მიხალიკი და ოლექსანდრ კუჩერი ვერ ითამაშებენ. მწვრთნელი მათ რაკიცკისა და იევჰენ ხაჩერიდის დუეტით ჩაანაცვლებს. „მეტოქე კარგად გვყავს შესწავლილი. ინგლისის დამარცხება ძნელია, მაგრამ განა უკრაინისაა ადვილი?“ - კითხულობს ბლოხინი.

### ტერის გარეშე

კიშინიოვში ინგლისელებს ყველაზე ცუდი, რაც შეემთხვათ, ეს მატჩის ბოლოსკენ **ჯონ ტერის** ნატკენი კოჭია. ამის გამო ცენტრალური მცველი „უემბლის“ მატჩს დააკლდება, ხოლო ჰოჯსონი მის ნაცვლად **გარი კეჰილს** შეუწყვილებს **ჯოლეონ ლესკოტს**. სხვა მხრივ, მწვრთნელი ალბათ არ შეცვლის „სამი ლომის“ შემადგენლობას, რომელმაც მოლდოვას მასტერკლასი ჩაუტარა. **სტივენ ჯერარდს** სამი მატჩიღა რჩება „ცენტურიონთა“ (ასიანთა კლუბი) სიაში მოხვედრამდე.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ინგლისი:** *ჰარტი - გ. ჯონსონი, კეჰილი, ლესკოტი, ბეინესი - ლემპარდი, ჯერარდი - მილნერი, კლევერლი, ოქსლეიდ-ჩემბერლენი - დეფო.*

**უკრაინა:** *პიატოვი - ჰუსეინოვი, რაკიცკი, ხაჩერიდი, სელინი - ტიმოშჩუკი - იარმოლენკო, გარმაში, კონოპლიანკა - დევიჩი, ზოზულია.*

### პირველი გამარჯვებისთვის

იტალიის ნაკრები პირველ გამარჯვებას ელის, ბულგარული ფრის შემდეგ „სკუადრა აძურას“ მარტივი ამოცანა აქვს შესასრულებელი - მეტოქე მალტაა. *„ჩვენ ისე ვერ ვითამაშეთ, როგორც გვინდოდა, ჩემი ორწლიანი მოღვაწეობის პერიოდში ასეთი რამ იშვიათად ყოფილა, მეტოქემ თამაშით დაგვჩაგრა. ბურთი მეტად უნდა შეგვენარჩუნებინა, მეტი გვემოძრავა“*, - იხსენებს **ჩეზარე პრანდელი.**

გერმანელებს კი საწინააღმდეგო სიტუაცია აქვთ - პირველი ტური იოლი იყო, ფარერის კუნძულების ნაკრები ბუნდესგუნდმა ულაპარაკოდ დაამარცხა - 3:0. დღეს კი ვენაში ავსტრიასთან ძნელი მატჩი ელის **იოაჰიმ ლიოვის** გუნდს. ამავე ჯგუფში შვედეთი მასპინძლობს ყაზახეთის ნაკრებს.

**ლუის ვან გაალმა** უცნაური შემადგენლობით, მაგრამ დამაჯერებელი გამარჯვებით დაიწყო საკვალიფიკაციო ეტაპი, თუმცა „ფორთოხლისფერებს“ უნგრეთშიც დიდი ბრძოლა ელით. ვან გაალმა პირველი ტურის მერე ტრავმის გამო მეკარე **ტიმ კრული** და ნახევარმცველი **ლეროი ფერი** დაკარგა. დღეს ჩვენი აზრით, ძალიან საინტერესო მატჩი გველის - ახალგაზრდული და ძალიან საინტერესო ბელგიის ნაკრები ხორვატიას მასპინძლობს...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ოლეგ ბლოხინი ირწმუნება, რომ „უემბლის“ „აფეთქებს“

---

● ბარსელონა

## მომავალ სეზონში კატალონიის დროშის ფერებით


ასეთი იქნება ბარსას ახალი ფორმა

კატალონიური გაზეთი „სპორტი“ ექსკლუზიურ ინფორმაციას ავრცელებს, თუ როგორი შეიძლება იყოს „ბარსელონას“ 2013/14 წლების სეზონის სათამაშო ფორმა - ის სენიერას ანუ კატალონიის დროშის ფერებში იქნება, უფრო ზუსტად დროშის ანალოგიური იქნება. ადრე სენიერას „ბარსელონას“ ფორმის დეტალები თუ ეთმობოდა, ახლა მთლიანად წითელ-ყვითელ ფერებში იქნება გუნდის მომავალი ფორმა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

---

● ამბები

## ფელაინიმ ევერტონიდან წასვლის სურვილი უარყო

ცოტა ხნის წინ ბელგიელმა **მარუან ფელაინიმ** მშობლიურ პრესასთან ინტერვიუში მერსისაიდიდან წასვლის სურვილი გამოთქვა. 24 წლის ფეხბურთელმა განაცხადა, რომ მან "ევერტონში" ყველაფერი ნახა და გამოსცადა: *"აქ უკვე მეხუთე სეზონს ვიწყებ და ვფიქრობ, ეს ჩემთვის ბოლო სეზონი იქნება. იანვარში ან მომდევნო წლის ზაფხულში გუნდს აუცილებლად დავტოვებ, რადგან, ჩემი აზრით, აქ თავი ამოვწურე"*.

ბელგიელის ამ განცხადებამ, რა თქმა უნდა, "ევერტონის" ფანები ააფორიაქა, რადგან ნახევარმცველი ამ გუნდის ქომაგთა ერთ-ერთი საყვარელი ფეხბურთელია. გუშინ ფელაინიმ ეს განცხადება უარყო და "ფეისბუქის" საკუთარ გვერდზე შემდეგი რამ დაწერა: *"გაოცებული ვიყავი, როდესაც ბელგიურ გაზეთში ჩემი განცხადება წავიკითხე, თითქოს ევერტონის დატოვებას იანვარში ვაპირებდე. შეგახსენებთ ყველას, რომ მე ლივერპულში ცხოვრებით და გუნდის ასპარეზობით ძალიან ბედნიერი ვარ. კევინ მირალიასი და რამდენიმე კარგი მოთამაშე დავიმატეთ. ახლა ევერტონი გაცილებით ძლიერი გუნდია. ეს სეზონი ძალიან კარგად დავიწყეთ და დიდი მიზნებიც გვაქვს დასახული"*.

როგორც ხედავთ ფელაინიმ გუნდიდან იანვარში წასვლის სურვილი უარყო, თუმცა არაფერი უთქვამს "ევერტონიდან" მომავალ ზაფხულში წასვლაზე.

## ლორისი ვილაშ-ბოაშს დაელაპარაკება



"ლიონის" ყოფილი მეკარე **უგო ლორისი**, "ტოტენჰემში" საკუთარი მდგომარეობით უკმაყოფილოა და ეს არც არის გასაკვირი. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის ნაკრების მეკარე, 31 აგვისტოს 10 მილიონად შეიძინეს, **ანდრე ვილაშ-ბოაში** კარში მაინც **ბრედ ფრიდელს** აყენებს.

ლორისმა, რომელიც საფრანგეთის ნაკრებთან ერთად შეკრებაზეა, ლონდონში ჩასვლისთანავე პორტუგალიელ სპეციალისტთან გასაუბრება გადაწყვიტა: *"მე ახლა მხოლოდ საფრანგეთის ნაკრებზე ვარ კონცენტრირებული, მაგრამ როგორც კი ლონდონში დავბრუნდები, მწვრთნელს აუცილებლად გავესაუბრები. სამწუხარო იქნება, თუ ძირითადში ის კვლავ სხვას დააყენებს, მაგრამ მე საკუთარი თავის იმედი მაქვს. ახლა ამ საკითხზე ბევრს ვერ ვიფიქრებ, რადგან საფრანგეთის ნაკრებს წინ მნიშვნელოვანი მატჩი აქვს"*.

შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის ნაკრები 11 სექტემბერს, საქართველოსთან დამარცხებულ ბელორუსს უმასპინძლებს. შესარჩევის პირველ შეხვედრაში ფრანგებმა სტუმრად 1:0 დაამარცხეს ფინეთი. ლორისი ძირითად შემადგენლობაში იყო და 90 წუთი ითამაშა.

**ტატო ბაციკაძე**

● ინტერი

# ძანეტი ახალ ამპლუაში

**ბოლო** ორი დღის განმავლობაში, "ინტერის" ბანაკიდან არაერთი საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა, რომელთა შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი. ყველაზე რეზონანსული ამბავი მაინც ხავიერ ძანეტის ეხება, რომელმაც დიდია შანსი, მიმდინარე სეზონთან ერთად, კარიერა დაასრულოს; თუმცა, ჯობია, რომ მივყვეთ თანამიმდევრობით...



ამბობენ, რომ მასიმო მორატი ხავიერ ძანეტის "ინტერის" ვიცე-პრეზიდენტად დანიშნავს

## ძანეტი ახალ ამპლუაში

ხავიერ ძანეტი 39 წლისაა, თუმცა აქამდე არასდროს გაჟღერებულა, რომ უახლოეს პერიოდში კარიერის დასრულებას აპირებს. პირიქით, რამდენჯერაც ვეტერან არგენტინელს ამის შესახებ ჩამოუგდეს სიტყვა, იმდენჯერ უპასუხა, რომ მინიმუმ სამი-ოთხი წელი ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდებას არ აპირებს; მეტიც, ყოველ ასეთ შეკითხვაზე ხავიერს გამზადებული ფრაზები ჰქონდა იმის შესახებ, რომ თავს ისე გრძნობს, როგორც 20 წლის ასაკში და ა.შ. მოკლედ, ძანეტის კარიერის დასრულებაზე სიტყვის გაგონებაც არ სურდა, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად, "რაი სპორტთან" საუბარში სწორედ ამ თემაზე ჩამოაგდო სიტყვა – მოვუსმინოთ კაპიტანს:

*"მეორე ტურში, "რომასთან" მწარე მარცხი ვიწვნიეთ, მაგრამ ამის გამო, ყურების ჩამოყრა არ ღირს. მთელი სეზონი წინაა და დარწმუნებული ვარ, რომ მდგომარეობას მალე გამოვასწორებთ. გუნდში არაერთი ახალი ფეხბურთელია, რომლებსაც ადაპტაციისთვის გარკვეული დრო სჭირდებათ; თანაც, ძირითადად ახალგაზრდები არიან, რომლებმაც ვეტერანები უნდა ჩაანაცვლონ. დიახ, ყველაფერს აქვს დასასრული და მოვა დღე, როდესაც მეც და სხვა ვეტერანებსაც ადგილის ახალგაზრდებისთვის დათმობა მოგვიწევს – ეს დღე, შესაძლოა ბევრად უფრო მალე დადგეს, ვიდრე ეს ბევრს ჰგონია".*

როდესაც 39 წლის ფეხბურთელზეა ლაპარაკი, ეს დღე შეიძლებოდა გაცილებით ადრეც დამდგარიყო, მაგრამ ძანეტი ამ შემთხვევაში მართალს ამბობს – თუ მის თამაშს რეგულარულად ადევნებთ თვალს, დაგვეთანხმებით, რომ ვეტერანობის არაფერი ეტყობა. "კორიერე დელო სპორტში" გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ხავიერს აღნიშნული კომენტარი შემთხვევით არ გაუკეთებია და მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე, ბუცებს ლურსმანზე ჩამოკიდებს; საქმე ის არის, რომ თურმე ძანეტიმ "ინტერის" პრეზიდენტისგან შეთავაზება მიიღო, რომლის თანახმადაც, 2013 წლის 1-ელ სექტემბრიდან კლუბის ვიცე-პრეზიდენტი გახდება. დიახ, არა დირექტორთა საბჭოს წევრი, კონსულტანტი ან მენეჯერი, ერთბაშად ვიცე-პრეზიდენტი... ეს ინფორმაცია ძანეტიმ არც უარყო და არც დაადასტურა, თუმცა ხშირ შემთხვევაში რომ დუმილი თანხმობის ნიშანია, ესეც ფაქტია.

## ინტერის ერთგული სნეიდერი

**ვესლი სნეიდერის** "ინტერიდან" შესაძლო აზარგების შესახებ ყოველ ზაფხულს საუბრობენ და ასე იყო გასული სატრანსფერო ფანჯრის პერიოდშიც... ჰოლანდიელი ნახევარმცველის გადაბირება მანჩესტერულ გუნდებს, "სიტის" და "იუნაიდეტს" სურდათ, რაც თავად ფეხბურთელმაც არაერთგზის დაადასტურა. იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელებული ცნობის თანახმად, ვესლის ძალიან უნდოდა ბრიტანეთში გადაბარგება და "ნერაძურის" მესვეურებზე დღემდე ნაწყენია, რომ ამის საშუალება არ მისცეს; ითქვა ისიც, რომ ჰოლანდიელი ამ შეცდომის გამოსწორებას ზამთრის სატრანსფერო პერიოდში აპირებს. ამ ამბებმა თავად ფეხბურთელამდეც მიაღწია და იძულებული გახდა, რომ კომენტარი გაეკეთებინა:

*"პრესაში გავრცელებულ ჭორებს ხშირად ყურადღებას არ ვაქცევ, მაგრამ ბოლო დღეებში იმდენი სისულელე წავიკითხე, რომ იძულებული ვარ, ჩემი პოზიცია დავაფიქსირო. "ინტერში" თავს შესანიშნავად ვგრძნობ, რადგან კლუბის მესვეურებთანაც ბრწყინვალე დამოკიდებულება მაქვს, მწვრთნელებთანაც და თანაგუნდელებთანაც; შესაბამისად, არსად წასვლის სურვილი არ მაქვს და სავარაუდოდ, კარიერასაც "ინტერში" დავასრულებ. მილანურ გრანდთან სამწლიანი ხელშეკრულება მაკავშირებს, რომლის დარღვევასაც არ ვაპირებ და თუ გავახანგრძლივე, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ექნება".*

## ჰანდანოვიჩის პირველი ინტერვიუ

ზაფხულში, **სამირ ჰანდანოვიჩის** გადაბირება ევროპული ფეხბურთის არაერთ გრანდს სურდა, მაგრამ საბოლოოდ, კიპერი "ინტერს" დარჩა. ერთი ხანობა, სამირი გაურბოდა ჟურნალისტებთან ურთიერთობას, რამაც ჭორები ააგორა, რომ მილანში თავს ცუდად გრძობს; ეს ამბავი თავად კიპერმა უარყო და უმჯობესია, რომ სიტყვა მას გადავცეთ – მაშ ასე, ჰანდანოვიჩის პირველი კომენტარი "ინტერის" ნომერი პირველი მეკარის რანგში:

*"როდესაც გავიგე, რომ კარიერა "ინტერში" უნდა გამეგრძელებინა, ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა. ერთი ხანობა, ვშიშობდი, რომ ახალ გუნდთან ადაპტაცია გამიჭირდებოდა, მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად მოხდა – "ნერაძურის" შესანიშნავად შევეწყვე და ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ წლებია აქ ვთამაშობ. ვიცი, რომ "ინტერში" ჩემზე დიდ იმედებს ამყარებენ და ყველაფერს გავაკეთებ, რომ გაცემული ავანსები სრულად გავამართლო. მილანში მინიმუმ ათი წლით ჩამოვედი, დანარჩენზე კი შემდეგ ვილაპარაკოთ".*

## მადლიერი პალასიო

**როდრიგო პალასიო** არგენტინის ეროვნულ ნაკრებში გამოიძახეს, რამაც "ინტერის" 30 წლის ფორვარდი უზომოდ გაახარა; მისი თქმით, ეროვნულ გუნდში დაბრუნება მთლიანად "ინტერის" დამსახურებაა და ამიტომ, დღეს კიდევ უფრო კარგად აცნობიერებს, თუ რამხელა ნაბიჯი გადადგა წინ მილანურ გრანდში გადაბარგებით. პალასიო შორეულ მომავალსაც გადასწვდა და განაცხადა, რომ კარიერის უკანასკნელ სეზონს მშობლიურ "ბოკა ხუნიორსში" გაატარებს, რა თქმა უნდა, თუ ამის საშუალება მიეცა – მოვუსმინოთ როდრიგოს:

*"როდესაც ეროვნული ნაკრებიდან მოწვევა მივიღე, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. "ალბისელესტეში" დაბრუნებამ კიდევ უფრო დამარწმუნა იმაში, რომ "ინტერში" გადასვლა ჩემს მიერ გადადგმული ყველაზე სწორი ნაბიჯი იყო. "ჯენოასადმი" ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ამ გუნდში დარჩენით ასეთ ბედნიერებას ვერასდროს განვიცდიდი. დიდი იმედი მაქვს, რომ არგენტინის უმთავრეს გუნდში კიდევ ბევრჯერ ვითამაშებ და მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატზე გავემგზავრები. ეს ის მიზანია, რომელმაც ფეხბურთის თამაშის სურვილი გამიათმაგა. აქვე აღვნიშნავ, რომ ფეხბურთის თამაშს კიდევ დიდხანს ვაპირებ, კარიერის უკანასკნელი სეზონი კი "ბოკა ხუნიორსში" მინდა გავატარო – მშობლიურ გუნდში ასპარეზობა დღემდე მენატრება და მინდა, რომ ეს ბედნიერება კიდევ ერთხელ განვიცადო - იმედი მაქვს, ამის საშუალება მომეცემა".*

● ლაციო

# პეტკოვიჩმა მედია ტარესთან გადაამისამართა



ვლადიმირ პეტკოვიჩი და იგლი ტარე

"ლაციოს" გულშემატკივრებმა უკმაყოფილება გამოხატეს იმით, რომ კლუბის მესვეურებმა სატრანსფერო პერიოდი პასიურად გაატარეს და შედეგად, "ბიანკოჩელესტე" პრაქტიკულად არ გაძლიერებულა. თანაც, ეს ყველაფერი ტრავმების ფონზე მოხდა – მაგალითად, "ინტერიდან" დაბრუნებული **მაურო სარატე** დაშავდა და თუ როდის დაუბრუნდება მოედანს, ჯერჯერობით უცნობია. იგივე შეიძლება ითქვას **ტომაზო როკიზე**, რომელიც ისედაც ვეტერანია და გუნდის ლიდერის ჭაპანს ნამდვილად ველარ გასწევს. გამოდის, რომ "ლაციოს" შეტევა დიდწილად **მიროსლავ კლოზეს** თამაშზეა დამოკიდებული და ამ უკანასკნელსაც რომ რამე დაემართოს, მართლაც რომ კატასტროფულ სურათს მივიღებთ. სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით ესაუბრნენ ჟურნალისტები გუნდის მთავარ მწვრთნელს, **ვლადიმირ პეტკოვიჩს** და მისგან შემდეგი კომენტარი მოისმინეს:

*"სატრანსფერო საკითხებით კლუბის სპორტული დირექტორი, იგლი ტარე გახლდათ დაკავებული და ამ საკითხზე უმჯობესია, მას გაესაუბროთ, მაგრამ ორიოდე სიტყვას ნამდვილად არ დავზარდებით. მე ვუთხარი ტარესს, რომელი რგოლების გაძლიერება იყო საჭირო და დანარჩენზე თავად უნდა ეზრუნა. მართალია, ბევრად უფრო ნაკლები დავხარჯეთ, ვიდრე სხვა გუნდებმა, მაგრამ ეს ნამდვილად არ მაღელვებს – ფულით შედეგსა და კარგ თამაშს ვერ იყიდი. სიმართლე გითხრათ, არც მომითხოვია ფეხბურთელების შეძენა, რადგან ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ წარმატების მიღწევა არსებული რესურსითაც ხელგვეწიფება".*

● უდინეზე



ფრანჩესკო გვიდოლინი

# გვიდოლინს დიდი ნდობა აქვს

**პირველი**, ვის გათავისუფლებასაც იტალიელი ჟურნალისტები ელოდებიან, **ფრანჩესკო გვიდოლინია**. მისმა დამოძღვრილმა „უდინეზემ" ორი მარცხი განიცადა და სატურნირო ცხრილის ფსკერზეა; ამასთან, გუნდი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის მიღმა დარჩა. მართალია, ფრიულელებს საწყის ტურებში ერთობ რთული კალენდარი ჰქონდათ, „იუვენტუსთან" და „ფიორენტინასთან" ჰქონდათ თამაშები, მაგრამ ასეთ შედეგებს გამართლება მაინც არ აქვს. მიუხედავად ამისა, უდინური კლუბის მესვეურები გვიდოლინის გათავისუფლებას ჯერ მაინც არ ჩქარობენ. აი, რას ამბობს ფრიულელთა ტექნიკური დირექტორი **ანდრეა კარნევალე**:

*„შედეგებით ძალიან უკმაყოფილო ვარ, რაც ბუნებრივია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მთავარი მწვრთნელის გათავისუფლების საკითხი დგას დღის წესრიგში. კლუბში არის გარკვეული პრობლემები და არ შეიძლება, რომ ჯოხი მხოლოდ ერთ კაცზე გადატყდეს – გარწმუნებთ, ფრანჩესკოს ნდობის საკმაოდ დიდი მანდატი აქვს. ასე რომ, გვიდოლინმა მშვიდად უნდა განაგრძოს მუშაობა და დარწმუნებული ვარ, ჩვენ ერთად გადავჭრით პრობლემებს. ნამდვილად შეგვწევს იმის რესურსი, რომ კრიზისს თავი მალე დავაღწიოთ და ქულების მოგროვება დავიწყოთ. დღეს, ჩვენი ამოცანა ცხრილის ფსკერიდან ამოსვლაა და იმედი მაქვს, მიზნებს ძალიან მალე კიდევ ერთხელ გადავხედავთ. შესაძლოა, დღეს უტოპიურად ჟღერს, მაგრამ მე ჯერ კიდევ მჯერა, რომ ევროტურნირის საგზურის მოპოვება შეგვიძლია".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

ინტერვიუ. მარკო როისი

# დორტმუნდს რეალის დამარცხება შეუძლია!

## როისი გიოტცეს იდეალურად უგებს და მისი არ შურს


მარკო როისი გერმანული ფეხბურთის ერთ-ერთი უმთავრესი იმედია

**ბუნდესლიგის** გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი მარკო როისი „გლადბახიდან“ ჩემპიონ „დორტმუნდში“ გადავიდა და გერმანიის ნაკრებსაც უშინაურდება. ევროპის ჩემპიონატზე ბუნდესმწვრთნელი იოახიმ ლიოვი არ ენდობოდა და მხოლოდ შეცვლაზე ათამაშებდა, რის გამოც გააკრიტიკეს კიდეც და იოგიმაც პოზიცია შეცვალა და როისს ნდობას უცხადებს. დღეს გერმანიის ნაკრები ავსტრიას სტუმრობს და მარკოსაც მორიგი გამოცდა ელის.

**- ჰერ როის, ევროპის ჩემპიონატზე იოახიმ ლიოვი ძირითად შემადგენლობაში არ გათამაშებდათ, ახლა კი ამბობს, რომ სასტარტოს წევრი ხართ. როგორ ფიქრობთ, გაართმევთ თავს ამ პასუხისმგებლობას?**

- პასუხისმგებლობის მხრივ ჩემთვის არაფერი შეცვლილა. უბრალოდ, მიხარია, რომ მწვრთნელი უფრო მეტად მენდობა. ვფიქრობ, ევროპის ჩემპიონატზეც დავამტკიცე, რომ მზად ვარ, ძირითადში ვითამაშო. ვიცი, რომ ნაკრებში მხოლოდ საუკეთესოები თამაშობენ და ამ ადგილის შენარჩუნებისთვის ვიბრძოლებ. ისეთ ასაკში და სიტუაციაში ვარ, რომ თამამად ვიტყვი: თამაში მინდა!

**- ამას წინათ თქვით, ჯერ არ ვარ სრულყოფილი ფეხბურთელიო. კიდევ რა უნდა გააუმჯობესოს მარკო როისმა?**

- ვხვდები, რომ შესაძლებლობების მაქსიმუმი ჯერ არ გამომივლენია. მაქსიმუმის საზომი არ არსებობს - ფაქტია, რომ პროგრესი ყოველდღიურად უნდა განვიცადო როგორც კლუბში, ისე ნაკრებშიც. დარწმუნებული ვარ, რომ იურგენ კლოპის ხელში დღითიდღე გავიზრდები. დორტმუნდის ვარჯიშებზე ისეთი რალაცები აღმოვაჩინე, რაც მანამდე არასდროს გამიკეთებია.

**- მაგალითად?**

- „გლადბახში“ ამდენ სირბილს არ მთხოვდნენ...

**- ფაქტია, რომ წნეხის ქვეშ ხართ მოქცეული, რადგან თქვენგან არა მარტო დორტმუნდი, არამედ მთელი საფეხბურთო გერმანია სასწაულებს ელის და ითხოვს.**

- ჰო, ამაზე ბევრს წერენ და ლაპარაკობენ, მაგრამ ჩემთვის ყველაზე მთავარი ფეხბურთის თამაშისგან სიამოვნების მიღებაა. დარწმუნებული ვარ, რომ მოლოდინს გავამართლებ, რადგან ზუსტად ვიცი, ზეწოლა ვერაფერს დამაკლებს. ნერვიულობა არ მჩვევია და ძალიან მიყვარს ისეთ სიტუაციაში ყოფნა, როცა ჩემგან ბევრს ელიან.

**- „დორტმუნდის“ ფორმით პირველივე ოფიციალურ მატჩში გოლი გაიტანეთ...**

- გერმანიის თასზე გატანილი უმნიშვნელოვანესი იყო. შეიძლება ითქვას, რომ დორტმუნდული კარიერა იდეალურად დავიწყე. ამ გოლმა წნეხი შემიმსუბუქა და ასე ვთქვათ, გამათავისუფლა.

**- „დორტმუნდში“ ნომერ პირველი ვარსკვლავი აქამდე მარიო გიოტცე იყო...**

- გერმანიის ჩემპიონი ერთ ან ორ ფეხბურთელზე დამოკიდებული არ იყო, არ არის და არც იქნება. ვიცი, რატომაც დამისვით ეს კითხვა და თამამად შემიძლია იმის თქმა, რომ გიოტცესა და ჩემ შორის შური არასდროს იქნება. მე და მარიო ერთმანეთს შესანიშნავად ვუგებთ და მიხარია, რომ მასთან ერთად თამაშის საშუალება მომეცა. იმედია, ჩვენ მართლაც ბრწყინვალე დუეტი ვიქნებით, რომელიც „დორტმუნდს“ ტიტულებს მოაგებინებს.

**- დორტმუნდი შარშან ჩემპიონთა ლიგაში შერცხვა და წელსაც ასეთი საფრთხე ემუქრება...**

- ჰო, წილისყრაზე არ გაგვიმართლა, ჯგუფში „რეალთან“, „მანჩესტერ სიტისთან“ და „აიაქსთან“ ერთად მოვხვდით, რაც იმას ნიშნავს, რომ მერვედფინალში გასვლა ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ ყველაფერს პოზიტიურად უნდა შევხედოთ. ფაქტია, რომ ჩემპიონთა ლიგაში ვთამაშობთ და საუკეთესო გუნდებთან მოგვიწევს თამაში. პირველ ტურს მოუთმენლად ველი.

**- არის თუ არა „დორტმუნდი“ ვალდებული, რომ ამჯერად მაინც გავიდეს ჯგუფიდან?**

- აბა რა!.. ხუმრობა იქით იყოს და ასეთი ჯგუფიდან გასვლა ძალიან ძნელია. ვიცი, ყველა ფიქრობს, რომ შანსი არ გვაქვს, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. ფეხბურთში ყველაფერი შესაძლებელია და ფაქტია, რომ ძალიან კარგი გუნდი გვყავს, რომელსაც „სიტის“ დამარცხებაც შეუძლია და „რეალისაც“. ჩვენ გვჯერა, რომ მერვედფინალში გასვლა შეგვიძლია.

**- რაც შეეხება გერმანიის ნაკრებს: 2014 წლისთვის მსოფლიოს ჩემპიონობა, თქვენი აზრით, ოცნებაა თუ რეალური მიზანი?**

- მიზნად მხოლოდ ჩემპიონობა უნდა დავისახოთ. მოვიგებთ, თუ არა მუნდიალს, ამას 2014 წლამდე ვერ გავიგებთ. მთავარია, ნაკრებმა პროგრესი არ შეწყვიტოს.

მოსაზრება

# რუმენიგეს გერმანიის არ სჯერა

## კალეს აზრით, ბუნდესგუნდი მსოფლიოს ჩემპიონი ვერ გახდება



**მიუნხენის** „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** გერმანიის ნაკრებს მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის ფავორიტად არ მიიჩნევს.

*„არ ვიზიარებ იმ მოსაზრებას, რომ ბუნდესგუნდი 2014 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდება. ვიცი, რომ ასე ბევრი ფიქრობს, „ბაიერნის“ ფეხბურთელების აზრსაც პატივს ვცემ, მაგრამ პირადად მე ვფიქრობ, რომ მსოფლიოს ჩემპიონები ვერ გავხდებით. გამოცდილება და ალღო მკარნახობს, რომ მომდევნო მუნდიალს ან მასპინძელი ბრაზილია მოიგებს, ანაც მეორე სამხრეთამერიკული გრანდი არგენტინა,“* - აცხადებს რუმენიგე „შპორტ ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

57 წლის რუმენიგეს ასეთი მოსაზრების უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ევროპულ ნაკრებს ამერიკის კონტინენტზე მსოფლიოს ჩემპიონობა არასდროს უზეიმია და კალე ფიქრობს, რომ ტრადიცია არც ამჯერად დაირღვევა.

*„ბოლო ორი მუნდიალი ევროპულმა გუნდებმა მოიგეს. 2014 წელს მსოფლიოს ჩემპიონატი სამხრეთ ამერიკაში ტარდება და არა მგონია, რომ ბრაზილიამ ან არგენტინამ რომელიმე ევროპულ გუნდს მსოფლიო თასი გამოატანოს. მუნდიალის უპირველეს ფავორიტებად სწორედ ბრაზილია და არგენტინა მიმაჩნია,“* - ამბობს რუმენიგე.

ჰამბურგი

# იხსნის ვან დერ ვაარტი ჰამბურგს?

## გუნდში სრული ქაოსია, მაგრამ რაფაელის დაბრუნებამ ოპტიმისტური გარემო შექმნა


რაფაელ ვან დერ ვაარტმა ჯერ მხოლოდ ტესტ-მატჩებში ითამაშა

**„ჰამბურგი“ უმძიმეს მდგომარეობაშია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ 2012 წლის სექტემბერი ამ უდიდესი ტრადიციების მქონე კლუბისთვის ერთ-ერთი ურთულესია. ხელმძღვანელები დღენიადაგ ჩხუბობენ, გუნდმა სეზონი ძალიან ცუდად დაიწყო (ასეთი სტარტი „ჰამბურგს“ 40 წელია არ ჰქონია), ხოლო ფინანსებში 9-მილიონიანი გარღვევაა...**

„ჰამბურგისთვის“ ასეთი სურათი სიახლეს არ წარმოადგენს - წლებია, კლუბში არსებული ქაოსი ვერა და ვერ ჩაცხრა. შექმნილ ვითარებას არც ხელმძღვანელობის შეცვლამ უშველა - აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ HSV მწვრთნელებს წინდებივით იცვლის. მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, გულშემატკივრები მომავალს მაინც ოპტიმისტურად უყურებენ, რაც იმ „მფარველი ანგელოზის“ დამსახურებაა, რომელიც „ჰამბურგმა“ აგვისტოს მიწურულს დაიბრუნა.

ფანები ამ დღეებში პრობლემებზე აღარ ფიქრობენ და ამის მიზეზი **რაფაელ ვან დერ ვაარტია** - 29 წლის ჰოლანდიელი ნახევარმცველი, რომელიც „ჰამბურგმა“ „ტოტენჰემიდან“ იყიდა და რომელიც ჰამბურგში ყველას ძალიან უყვარს. არადა, ჩრდილოგერმანულ კლუბს პრობლემები არ ელევა.

გერმანიის თასის პირველ ეტაპზე HSV-მ სამარცხვინო კრახი (2:4 მესამელიგელთან) განიცადა, პირველ ტურში „ნიურნბერგთან“ 0:1 წააგო, მეორე ტურში კი ბრემენში 0:2 დამარცხდა. შესაბამისად, ორი ტურის შემდეგ „ჰამბურგი“ ბუნდესლიგაში უქულოდ და უგოლოდ ერთ-ერთი აუტსაიდერია.

მიუხედავად სერიოზული ფინანსური პრობლემებისა, ინვესტორ **კლაუს-მიხაელ კიუნეს** დახმარებით, ჩრდილოელებმა ტრანსფერებში 25 მილიონი ევრო დახარჯეს (ვან დერ ვაარტი, **ირაჩეკი, ბადელი, რუდნევსი**). რაკი გაყიდული ფეხბურთელებიდან (**გერერო, ტიორე**) გუნდს მხოლოდ 7 მილიონი ევრო შეუვიდა, ტრანსფერებმა „ჰამბურგს“ სერიოზული მინუსი მოუტანა. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **კარლ იარხოვი** ამიტომაც ამბობს, შექმნილი ვითარება მაფიქრებს. თუ შედეგებს სასწრაფოდ არ გამოვასწორებთ, სეზონის ბოლოს შეიძლება სერიოზული ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოვჩნდეთო.

ქაოსია ხელმძღვანელობაშიც: „ბილდის“ ინფორმაციით, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები და სპორტული დირექტორი **ფრანკ არნესენი** ერთმანეთში მხოლოდ ადვოკატების (?!) მეშვეობით ურთიერთობენ. ცნობილია, რომ არნესენს სხვა ბოსებთან ურთიერთობა უკიდურესად დაეძაბა. ექსპერტები ამბობენ, **ჰოფმანისა** და **ბაიერსდორფერის** ერა დღევანდელ ვითარებასთან მონაგონიაო.

### მწვრთნელიც ოპტიმისტურადაა განწყობილი

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვან დერ ვაარტის ტრანსფერმა „ჰამბურგს“ დროულად მიუსწრო - კლუბში ახლა ყველა რაფაელზე ლაპარაკობს, ყველას მისი იმედი აქვს. ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა, რომელსაც „პატარა ანგელოზს“ უწოდებენ, ორ ტესტ-მატჩში (შვარცენბეკთან 12:0 და ნინდორფთან 11:2) მიიღო მონაწილეობა და ორივე შეხვედრამ სრული ანშლაგით ჩაიარა, „ჰამბურგის“ ისტორიას კი ასეთი რამ დიდი ხანია, არ ახსოვს.

ოპტიმისტურადაა განწყობილი მთავარი მწვრთნელი **ტორსტენ ფინკიც**: *„ახლა უკვე თამამად შემიძლია იმის თქმა, რომ კარგი გუნდი მყავს და წესით, ეს შედეგებზეც ძალიან მალე უნდა აისახოს.“*

ბუნდესლიგის მომდევნო ტურში „ჰამბურგი“ ფრანკფურტის „აინტრახტს“ ხვდება - გუნდს, რომელმაც ორივე თამაში მოიგო და კანონზომიერ ეიფორიაშია. ამ შეხვედრაში ვან დერ ვაარტის დებიუტიც შედგება და გამოჩნდება, რამდენად ლოგიკურია სრულიად ჰამბურგის იმედები ვან დერ ვაარტთან დაკავშირებით. ფაქტია, რომ „აინტრახტთან“ მატჩის შემდეგ „ჰამბურგს“ ურთულესი მატჩები ელის „დორტმუნთან“, „გლადბახთან“ და „ჰანოვერთან“...

ამბები

### გლადბახის კაპიტულაცია

**მიონხენგლადბახის** „ბორუსიამ“ სეზონი კარგად დაიწყო: შარშანდელ მეოთხეადგილოსანს ორი ტურის შემდეგ 4 ქულა აქვს, რაც საკმაოდ კარგი შედეგია. მიუხედავად ამისა, გუნდის მთავარი მწვრთნელი **ლუსიენ ფავრი** პესიმისტურადაა განწყობილი - მისი აზრით, „გლადბახი“ წინა სეზონის სენსაციურ მიღწევას ველარ გაიმეორებს და საუკეთესო ოთხეულში ვერ მოხვდება.

*„უკვე ვხვდები, რომ ამ სეზონში ველარ ვითამაშებთ ისე კარგად, როგორც წინა სეზონში ვიასპარეზეთ. თითქმის დარწმუნებული ვარ იმაში, რომ საუკეთესო ოთხეულში ველარ მოვხვდებით. ვშიშობ, ექვსეულის მიღმაც არ დავრჩეთ და ვერც ევროპალიგაში ვიასპარეზოთ,“* - უთხრა შვეიცარიელმა სპეციალისტმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს. მისი აზრით, მთავარი მიზეზი ლიდერების დაკარგვაა - ზაფხულში „გლადბახიდან“ **მარკო როისი, რომან ნოიშტედტერი** და დაცვის ბრაზილიელი ბურჯი **დანტე** წავიდნენ. მართალია, „გლადბახმა“ საკმაოდ საინტერესო ფეხბურთელებიც შეიძინა, მაგრამ ფავრის აზრით, როისის, ნოიშტედტერისა და დანტეს სრულფასოვნად შეცვლა, თანაც, ასე სწრაფად, შეუძლებელია. ფაქტია, რომ ახალწვეულებს, **დომინგესს, ჯაკას, დე იონგს** და **ჰრგოტას** ბუნდესლიგასთან ადაპტაციის პერიოდი გაუგრძელდათ.

### ჰინკელმა კარიერა დაასრულა

**გერმანიის** ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა, მარჯვენა მცველმა **ანდრეას ჰინკელმა** კარიერა 30 წლის ასაკში დაასრულა.

*„ვიცი, რომ ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდება ნაადრევად მომიხდა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ დღესდღეობით ამ ასაკის ფეხბურთელებს ხანგრძლივი და კარგი კონტრაქტების გაფორმება ძალიან უჭირთ. რამდენიმე შემოთავაზება მქონდა, მაგრამ ყველა კლუბი ერთწლიან კონტრაქტს მთავაზობდა, მე კი ოჯახი და ორი შვილი მყავს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათზე უნდა ვიფიქრო და საცხოვრებელი ადგილი ყოველ ზაფხულს არ უნდა ვიცვალო. ამიტომაც გადავწყვიტე, რომ კარიერა დამემთავრებინა,“* - უთხრა ჰინკელმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

ანდრეასი გასულ სეზონში „ფრაიბურგის“ ღირსებას იცავდა, მაგრამ მხოლოდ 7 მატჩში ათამაშეს. ჰინკელის თქმით, მას ჩინეთში, ყატარსა და აშშ-შიც ეპატიჟებოდნენ, მაგრამ თავგადასავლების საძიებლად წასვლას ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდება ამჯობინა.

გვერდი მოამზადა **გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

თავისუფალი ჭიდაობა. მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობა

# კვლავაც უგვირგვინო წარმატება

მსოფლიოს პირველობაზე ახალგაზრდა „თავისუფლებიც" ოქროს გარეშე დარჩნენ. როგორც გუშინ გაცნობეთ, ჩვენმა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა 2-2 ვერცხლი და ბრინჯაო მოიპოვა ტაილანდურ პატაიაში დასრულებულ 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატში. პლანეტის ვიცე-ჩემპიონები ხაშურელი **ლაშა ტალახაძე** (55) და გორელი **კონსტანტინე ხაბალაშვილი** (66) გახდნენ, ბრინჯაოს მედლები კი ასევე გორელებმა - **ჯუმბერ ყველაშვილმა** (74) და **გენო პეტრიაშვილმა** (120) მოიპოვეს.

სამწუხაროდ, ბერძენ-რომაელთა ამავე ასაკობრივი ნაკრების დანყებული უჩემპიონო წარმატების ტრადიცია ვერც ამათ დაარღვიეს, მათ გამოსვლასაც მთავარი გვირგვინი აკლია - ოქროს მედალი. შეგახსენებთ, რომ ტაილანდში ორი ვერცხლი და ერთი ბრინჯაო მოიპოვეს. ამ გამოსვლას, როცა გუნდის ნახევარი შინ მედლით ბრუნდება, თან ორ ფინალს ჭიდაობს, ვერც წარუმატებელს დაარქმევ, მაგრამ ოქროს გარეშე დარჩენასაც როგორ გინდა წარმატება უწოდო. ვილაცისთვის იქნებ ესეც წარმატება იყოს, მაგრამ არა საქართველოს დარი ქვეყნისთვის.

ტაილანდში „თავისუფალთა" ნაკრებისთვის უფრო წარმატებული კვირა დღე აღმოჩნდა, თორემ შაბათს მოასპარეზე კვარტეტიდან მხოლოდ ყველაშვილმა გაგვახარა. ეს ბიჭი ევროპის წლევანდელი პირველობის ბრინჯაოს მედალოსანიცაა (იმ შეჯიბრებაში ეს ერთადერთი მედალი გვქონდა) და ახლაც იგივე წარმატება გაიმეორა, თუმცა მსოფლიოს ჩემპიონატი ევროპისაზე შეუდარებლად ძლიერი ტურნირია. ამდენად, ახლანდელი მედალი უფრო ფასეულია.

ჩვენებურმა პირველ შეხვედრაში იოლად დაამარცხა უნგრელი **ზომბორ იშტვან გულიასი** - 3:1; 2:0. უფრო დაძაბული გამოდგა ეგვიპტელ **მოჰამედ ალი ზაგლოულთან** პაექრობა, თუმცა გორელს რაიმე არსებითი პრობლემა ვერც აფრიკელმა შეუქმნა - 3:2; 5:3 ყველაშვილის სასარგებლოდ. სამწუხაროდ, მეოთხედფინალი მისთვის გადაულახავი ბარიერი აღმოჩნდა, საც ნაცნობ მეტოქესთან, გერმანელ **აჰმედ დუდაროვთან** დამარცხდა - ჩვენებურმა ის წლეულს ევროპის პირველობაზე დაამარცხა. გვარ-სახელიდან გამომდინარე იოლად მიხვდებით, რომ დუდაროვი ჩრდილოკავკასიელია და, სავარაუდოდ, ჩემპიონატისთვისაც სამშობლოში ემზადებოდა. თან არ გამოვრიცხავთ, ასაკიც გადაკეთებული ჰქონდეს, თუმცა ამას ნამდვილად არ ვამბობთ ყველაშვილის ნაგების გასამართლებლად - ჩვენებს არაერთხელ მოუგიათ ყალბასაკიანებთან, ხოლო ქართველს ის დამარცხებულიც ჰყავდა. უბრალოდ, იქაურებს ასაკით მანიპულირება ჩვევად ექცათ და ახლა ლეგიონერების ხარჯზე ამ მავნე ტენდენციის ექსპორტს ეწევიან ევროპაში. ეჭვის ვარაუდს შეხვედრის ანგარიშიც გვაძლევს - გერმანელმა 4:2; 8:4 მოიგო ანუ ისე ჩანს, რომ ყველაშვილსაც უომია, უჭიდავია და იოლად არაფერი დაუთმია. ყოველ შემთხვევაში, ყრუ დაცვაში არ მდგარა და ვერც მეტოქეს დაუჩაგრავს პირწმინდად - წინააღმდეგ შემთხვევაში 6 ქულას ვერ აართმევდა. სამწუხაროდ, ტურნირის პირდაპირი ტრანსლირება არ ხდებოდა და ვერ გეტყვით, რის ხარჯზე მიაღწია ამხელა უპირატესობას დუდაროვმა. თუმცა მეტოქის ასაკზე და მსაჯებზე ეჭვის მიტანას აჯობებს, ნაგების მიზეზი ჩვენშივე ვეძებოთ და ნურც იმას გამოვრიცხავთ, რომ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ მეტოქემ ჩვენებური გაშიფრა.

საბოლოოდ გერმანელი ფინალში გავიდა (მან საბოლოოდ ვერცხლი მოიპოვა) და ჩვენებურიც სანუგეშოში გადავიდა. იქ ჯერ იოლად, ძირითად დროში დაამარცხა ჩინელი **ზილინგ იანი** - 2:0; 6:0, დამამშვიდებლის ფინალში კი დაძაბული ბრძოლა გადახდა ბრინჯაოს მოსაპოვებლად. მეტოქეც სერიოზული ჰყავდა - აზერბაიჯანელი **ელჯან უსუბზადა**, რომელიც მასავით ევროპის წლევანდელი ბრინჯაოს მედალოსანია. პირველი პერიოდი ჩვენებურმა შედარებით იოლად მოიგო - 2:0, მეორე კი მხოლოდ ანგარიშის გათანაბრების გამო მიითვალა ანუ ბოლო ქულის წესით - 1:1.

ამ გუნდში ტალახაძე ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილია - უკვე მესამე სეზონს ატარებს და ზურგს 2010 წელს ახალგაზრდებში მოპოვებული ევროპული ბრინჯაო და მსოფლიოს ვერცხლი უმაგრებს. მან წონა შეიცვალა და მცირეხნიანი ადაპტაციის შემდეგ 55-შიც წარმატებით ჩაერთო. 4 მოგებული შეხვედრიდან ტალახაძემ სამში ძირითად დროში იმარჯვა - ამერიკელ **ჯო დანთან**, ესტონელ **ალექსეი ბასკაკოვთან** და სომეხ **არტაკ ჰოვანისიანთან**. ამათგან ყველაზე იოლად ბასკაკოვს მოუგო - 6:2; 7:0, თუმცა დიდი პრობლემა არც სხვებთან შეჰქმნია. ევროპელთაგან განსხვავებით, ჩვენებურს აზიელებთან უფრო გაუჭირდა - ნახევარფინალში იაპონელ **ფუმიტაკა მორიშიტასთან** დამატებითი დრო დასჭირდა, ფინალი კი მონღოლ **ბეკბაიარ ერდენებატთან** სულაც წააგო. იაპონელთან შეხვედრა მოგებით დაიწყო - 5:3, მაგრამ მეორე პერიოდში უპირატესობა ვერ შეინარჩუნა - 4:7 და აზიელმა პერიოდების ანგარიში გაათანაბრა. საბედნიეროდ, დამატებითში ტალახაძემ შეძლო მობილიზება და ისევ 5:3 მოიგო. სამწუხაროდ, ფინალი მთლიანად მონღოლის უპირატესობით წარიმართა. ჩვენებურმა მას ჯეროვანი წინააღმდეგობა მხოლოდ პირველ პერიოდში გაუწია, რომელიც 0:1 დათმო, აი, მეორეში კი მეტოქემ 5:0 იმარჯვა და ტალახაძე კარიერაში მეორედ გახდა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი.

ხაბალაშვილი ნაკრებში პირველ სეზონს ატარებს, მსოფლიოზე კი დებიუტი ჰქონდა. ტაილანდში ის პირველ წრეში ისვენებდა, მერე კი ფინალამდე სამი შეხვედრა მოიგო ძირითად დროში - ავსტრიელ **გეორგ მარჩლთან**, ყიტგიზ **ულუკმან მამატოვთან** და სომეხ **დავიდ აროიანთან**. ამათგან ევროპელები პირწმინდად დაჯაბნა და მშვენიერი სტატისტიკა დადო - ავსტრიელს ორი პერიოდის ჯამში 14:0 მოუგო, სომეხს - 10:2. ყირგიზთან მთლად ასე ვერ გაილაღა და შედარებით მოკრძალებულად, 3:0 იმარჯვა.

გენო პეტრიაშვილი ამ ნაკრების ლიდერია და იქნებ მისგან ცოტა მეტსაც ველოდით, მინიმუმ - ფინალს მაინც, მაგრამ ნახევარფინალში მომავალ ჩემპიონთან, რუს **მაგომედგაჯი ნურასილოვთან** წააგო. ეს დაღესტნელი შარშან 96-ში გახდა მსოფლიოს პრიზიორი, წლეულს კი წარმატებით გადაინაცვლა მძიმე წონაში. ეჭვის შეტანა ამ რუსის ასაკშიც შეიძლება, მით უფრო, პეტრიაშვილი ჯერ 18-საც არაა, მაგრამ მომავალ ჩემპიონს ყველაზე დიდი წინააღმდეგობა ქართველმა გაუწია - პირველი პერიოდი მხოლოდ ბოლო ქულის გამო დათმო 4:4-ზე, მეორე კი მინიმალური სხვაობით - 2:3 წააგო! დასანანია, რადგან გამარჯვება ასე ახლოს ყოფილა. თუმცა ეს ყველაფერი ნახევარფინალში იყო, მანამდე კი გორელმა ახალგაზრდამ ქულათა დიდი უპირატესობით, ძირითად დროში მოიგო ორი შეხვედრა - მონღოლი **ოიუნბოლდ ენკტუგსი** 6:3; 6:0 დაამარცხა, ეგვიპტელი **კამალ გოუდა დიალდინი** - 2:0; 6:0. ბრინჯაოსთვის შეხვედრაში გორელმა კანადელი **სან დნისა** ასევე იოლად, ორ პერიოდში 6:2 დაჯაბნა.

ტაილანდში მოასპარეზე კიდევ ოთხი ქართველი სანუგეშო წრეშიც ვერ გადავიდა, ისე გავარდა. იმათგან სამმა სულაც პირველივე შეხვედრა წააგო - **ბექა ბუჯიაშვილი** (50) თურქ **მუამერ სანცაკთან** დამარცხდა, **ლევან გოგრიჭიანი** (84) - აზერბაიჯანელ **მაგანედგაჯი ხატიერთან**, **გიორგი მეშვილდიშვილი** (96) - რუს **მაგომედგაჯი ნუროვთან**. ამ კვარტეტიდან პირველი წრე მხოლოდ **ლაშა ბიტარაშვილმა** (60) გაიარა - იაპონელ **მასაკაცუ კამოის** დიდი უპირატესობით აჯობა - 11:1 ორ პერიოდში, მაგრამ მსოფლიოს შარშანდელ მოლდოველ პრიზიორ **ანდრეი პერპელიტასთან** ვერაფერს გახდა და ქულების საერთო ჯამით 2:5 წააგო.



ფინალში ხაბალაშვილი რუსეთის წარმომადგენელ **მაგომედ ყურბანალიევს** შეხვდა და პირველივე პერიოდში ახლოს იყო მიზანთან - 1:0 დაწინაურდა. სამწუხაროდ, ანგარიშის შენარჩუნება ვერ შეძლო და რუსმა გამთანაბრებელი ქულით პერიოდიც მოიგო. ქართველმა პერიოდებში ანგარიში სწრაფად გაათანაბრა, როცა მეორეში 2:0 იმარჯვა, მაგრამ დამატებითი რუსმა მინიმალური ანგარიშით მოიგო - 1:0 და ჩემპიონიც გახდა.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი




# ტატიშვილის სარეკორდო თამაშა

ბოლო დროს 22 წლის ქართველი ჩოგბურთელი **ანა ტატიშვილი** საერთაშორისო სარბიელზე უფრო მყარად გრძნობს თავს და, შესაბამისად, მონაგარმაც საგრძნობლად იმატა. განსაკუთრებით მან ამერიკის ღია პირველობაზე იყოჩაღა, სადაც სამი წრე წარმატებით განვლო და მერვედფინალში მსოფლიოს პირველ ჩოგანს, ბელარუს ვიქტორია აზარენკასაც მედგარი წინააღმდეგობა გაუწია - ორივე სეტში მეტოქის მოწოდებისას თითო გეიმი მოიგო. ანამ ნიუ იორკში 280 ქულა დაიმსახურა, საერთო მონაგარი კი 1170 ქულამდე გაზარდა, რამაც ის WTA-ს რეიტინგში 21 საფეხურით დააწინაურა და მისთვის სარეკორდო 52-ე საფეხურამდე აღზევდა. ანა ტატიშვილი ამჟამად კანადაშია და კვებეკის „ბელ ჩელენჯში" (საპრიზო ფონდი 220. 000 დოლარი) ითამაშებს. ძირითადი ბადის პირველ წრეში იგი ყაზახეთის სახელით მოასპარეზე ბულგარელს - სესილ კარატანჩევას (90-ე) დაუპირისპირდება. წარმატების შემთხვევაში მე-7 ნომრად განთესილ ხორვატ პეტრა მარტიჩსა (76-ე) და საკვალიფიკაციო ეტაპის ერთ-ერთ გამარჯვებულს შორის უძლიერესს შეხვდება. საგულისხმოა, რომ ჩვენებურმა შარშანაც იასპარეზა კვებეკში, მაგრამ პირველსავე წრეში დამარცხდა ფრანგ ჯული კოინთან (7:5, 4:6, 4:6), ამდენად, იქ ქულები არა აქვს დასაცავი და „ბელ ჩელენჯის" თითოეულ წრეში მოპოვებული ქულები საკუთარი სარეკორდო თამასის აწევაში დაეხმარება.

აქვე გეუწყებთ, რომ საერთაშორისო რეიტინგის ათასეულში, ტატიშვილის გარდა, კიდევ რვა ჩვენებურია: 298 (293). **სოფიო შაფათავა** (173 ქულა), 307 (244). **მაკა ჩახნაშვილი** (165), 388 (395). **სოფიო ქვაცაბაია** (103), 471 (517). **ეკატერინე გორგოძე** (67), 611 (613). **ნათია გეგია** (41), 622 (624). **თათია მიქაძე** (39), 674 (672). **ოქსანა კალაშნიკოვა** (32), 957 (964). **ანი გოგვაძე** (11).

ქართველ ჩოგბურთელთაგან ანი გოგვაძემ და **თამარ ჭალაგანიძემ** ანტალიის ქალთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) საკვალიფიკაციო ეტაპზე მოსინჯეს ძალები. გოგვაძე სტარტზევე დამარცხდა გერმანელ ტერეზა კლეინშტეუბერთან - 3:6, 4:6. ჭალაგანიძემ ორი ბარიერი დაძლია - ჯერ რუმინელ ანდრეა-მარია ნიტესკუს აჯობა - 6:3, 6:2, შემდეგ კი კოლუმბიელი პატრიცია კორტესი დაჯაბნა - 6:2, 6:3. ძირითად ბადეში მოსახვედრად ლიტველ აკვილე პარაზინსკაიტეს დაუპირისპირდება.

საფრანგეთში მონტ-დე-მარსანის 25.000-იან ტურნირში გამოვა მაკა ჩახნაშვილი, პირველ წრეში მას უკრაინელი მარინა ზანევსკა გაუწევს მეტოქეობას.

**ვაჟა დანელია**

ღირსახსოვარი მოვლენები


1982 წ. თეიმურაზ აფხაზავა (მარცხნივ) მსოფლიოს ჩემპიონია!

# 30 წლის წინათ...

მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს ქუთაისელი **თეიმურაზ აფხაზავა** ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში პირველად 1982 წლის 11 სექტემბერს დაეუფლა. დღეს ზუსტად 30 წელი შესრულდა ამ ღირსახსოვარი თარიღიდან. მეორედ ძომდევნო, 1983 წელს მეორედ გახდა პლანეტის უძლიერესი ფალავანი 82 კგ წონით კატეგორიაში. 1983 და 1984 წლებში ზედიზედ მოიგო ევროპის ჩემპიონატი. 1985 წელს კი მსოფლიოს თასს და მსოფლიოს სუპერთასს დაეუფლა. აღარაფერს ვამბობთ მის შთამბეჭდავ სპორტულ კარიერაში სხვადასხვა ტურნირებში მიღწეულ წარმატებებზე.

1982 წლის 11 სექტემბერზე უკვე ვთქვით. ის ჩემპიონატი მეორე დღეს 12 სექტემბერს დასრულდა და ქართველი ფალავნის სპორტულ ბიოგრაფიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა კიდევ ერთი მიღწევა - თემურ აფხაზავა მსოფლიოში 1982 წლის საუკეთესო მოჭიდავედ აღიარეს. ეს იყო მისი მაღალი ოსტატობისა და გამორჩეული სტილით ასპარეზობის მსოფლიო აღიარება.

სახელოვანი ფალავანი 1955 წელსაა დაბადებული. პირველად მსოფლიოს ჩემპიონი კი 27 წლის ასაკში გახდა.

**გურამ სალარაძე**
*მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში.*

ჭიდაობა ჩვენი, ქართული...

# გმირების ხსოვნის ტურნირი

2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომის პირველ დღეებში, შიდა ქართლში ქართული ჭიდაობის დიდი ტურნირი იყო დაგეგმილი, მაგრამ ზურნისა და დოლის ჰანგების ნაცვლად ჩვენს მიწაწყალზე ბომბებისა და ქვემეხების ხმა გაისმა...

ქარელის რაიონის სოფელ აგარაში ფეხბურთის სტადიონზე გამართული ტურნირი ქართულ ჭიდაობაში სწორედ 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაღუპულ ქართველ ვაჟკაცებს მიეძღვნა. მაყურებლები მეზობელი სოფლებიდან და რაიონებიდანაც მოვიდნენ. ასპარეზობა საქართველოს ჩემპიონატსაც არ ჩამოუვარდებოდა მონაწილეთა კლასით და ორთაბრძოლების სიმწვავით. წარჩინებულებისთვის ფულადი ჯილდოც იყო დაწესებული.

გორელებმა, რომლებიც დღეს ლიდერები არიან ეროვნულ ჭიდაობაში, სარბიელზე საუკეთესო მოჭიდავეები გამოიყვანეს. ოლიმპიური ჩემპიონის **ლაშა შავდათუაშვილის** ძმამ **ბექა შავდათუაშვილმაც** კარგი შთაბეჭდილება დატოვა მას ძალიან ცოტა დააკლდა პირველ ადგილამდე 60კგ-ში.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს: **ლაშა გიუნაშვილი** (60კგ; ძლევისჯვარი); **პაატა მერებაშვილი** (66); **გიორგი პაპუნაშვილი** (73); **ზვიად ბაზანდარაშვილი** (81); **იოსებ ბუზიტაშვილი** (90) და **დავით ჭაბუკაშვილი** (აბსოლუტური; ყველა — გორი).

**გაბრიელ ბარჯაძე**

ჩოგბურთი

# 15-ათასიანი, ისევ თბილისში

გასულ კვირას ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე დამთავრდა ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 15.000 დოლარი). მთავარი პრიზი ფრანგმა ლორენ რეკოუდერსმა მოიპოვა. ფინალში მან იტალიელი მატეო მარაი დაამარცხა - 6:1, 7:5.

გუშინ ამავე კორტებზე ვაჟებისთვის, ასევე, 15-ათასიანი საერთაშორისო ტურნირი დაიწყო. საკვალიფიკაციო ეტაპზე შვიდი ჩვენებური ჩაება. მათგან ძირითად ბადეში მხოლოდ **ნოდარ ითონიშვილმა** გააღწია: ჯერ თანამემამულე **დემურ დავითაძეს** სძლია - 6:4, 6:1, შემდეგ ერევნელი არშაკ კაზარიანი ჩამოიშორა გზიდან - 6:3, 6:1. **შოთა მეფარიძეს** სტარტზე **ლაშა რამაზაშვილი** არ გამოუცხადდა, მეორე წრეში კი რუსეთის სახელით მოასპარეზე **თეიმურაზ მეტრეველს** დანებდა - 1:6, 2:6. **გიორგი რევაზიშვილმა** რუსი ეგორ კუპრინი კი დაჯაბნა - 6:0, 6:0, მაგრამ იტალიელ ლორენცო პაპასიდეროს ვერ გასცდა - 0:6, 2:6. თბილისელი **კარენ სარქისიანი** და **დავით კვერნაძე** სტარტზევე დამარცხდნენ, შესაბამისად, პოლონელ პატრიკ იანიკსა (0:6, 1:6) და უკრაინელ ოლექსეი აროვინთან (2:6, 3:6).

გუშინ ძირითადი ბადის პირველი წრის ხუთი შეხვედრა გაიმართა. **გიორგი ჯავახიშვილმა** უკრაინელ ალექსანდრ კუშაკოვს მოუგო - 7:6, 6:3. პოლონელმა პიოტრ გადომსკიმ უკრაინელ ვლადისლავ მანაფოვს აჯობა - 6:4, 6:1. დანარჩენი სამი შეხვედრა კი ასე დამთავრდა: პეტერ გოლდშტეინერი (ავსტრია) - ლოიჩ პერეტი (კალედონია) - 6:1, 6:3, ორესტ ტერეშჩუკი (უკრაინა) - ილია შატსკი (რუსეთი) - 6:3, 7:5, არკადიუშ კოსილა (პოლონეთი) - იარასლაუ შილა (ბელარუსი) - 7:5, 6:3.

ქართველთაგან ძირითად ბადეში, ჯავახიშვილის გარდა, ხუთი ჩოგბურთელი ითამაშებს. ისინი ასე დაწყვილდნენ: **ნიკოლოზ ბასილაშვილი - გიორგი ცივაძე,** ნოდარ ითონიშვილი - მატეო მარაი (იტალია), **ალექსანდრე მეტრეველი** - ნიკოლაი იედრუშაკი (პოლონეთი), **მიხეილ ხმიადაშვილი** - ჰანს პოდლიპნიკ-კასტილო (ჩილე).

**ვაჟა დანელია**

სუმო. სექტემბრის ბაშო. 9-23. 09

# ისევ ყველა დამარცხდა

შემოდგომის ბაშო ძალზე უიღბლოდ დაიწყო ქართველი სუმოისტებისთვის - სამივე ჩვენებურმა ასპარეზობის მეორე დღესაც წააგო. **ლევან გორგაძეს (ტოჩინოშინი)** ამჯერადაც (მეოთხედ კარიერაში) გაუჭირდება კომუსუბის ტიტულის შენარჩუნება. გუშინ მან ჩემპიონ **კოტოშოგიკუსთან** წააგო. ელიტის უმძიმესმა ფალავანმა **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)** კი ბულგარელ ჩემპიონ **კოტოოშუსთან** დათმო ორთაბრძოლა. ძურიოს დივიზიონში **ლევან ცაგურია (კოკაი)** სრულიად უცნობ **ტანზოსთან** დამარცხდა.

## II დღე

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-შოჰოზანი (კოტენაგე), კისენოსატო-კაისეი (იორიკირი), კოტოშოგიკუ-**ტოჩინოშინი** (იორიკირი), ბარუტო-აოიამა (კოტენაგე), კოტოოშუ-**გაგამარუ** (შიტატენაგე), კაკურიუ-გოეიდო (ჰატაკიკომი), ჰარუმაფუჯი-არანი (იორიკირი), მიოგირიუ-ჰომაშო (იორიკირი), ტოიოჰიბიკი-ტოიონოშიმა (კოტენაგე), ამინიშიკი-ტოჩიოძანი (უვატედაშინაგე). **ძურიო:** ტანზო-**კოკაი** (იორიკირი).

## III დღე

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-კაისეი, კოტოშოგიკუ-ჰომაშო, ბარუტო-**გაგამარუ,** კოტოოშუ-გოეიდო, **ტოჩინოშინი**-კაკურიუ, ჰარუმაფუჯი-შოჰოზანი, კისენოსატო-არანი, აოიამა-მიოგირიუ, ტოიონოშიმა-ტაკეკაძე, ამინიშიკი-ტოკიტენკუ. **ძურიო: კოკაი**-არავაში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ადამიანი დროში




ავტორის ფოტო

# მე მაინც ვიტყვი...

## ამ ეტაპზე საქართველოს ნაკრებს ისეთი პროფესიონალი სჭირდება, როგორიც კოკოშკოვია

### ხომ გითხარით......

ის იყო, ლატვიისა და საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა გუნდების განმეორებითი შეხვედრის საფინალო სირენის ხმა გაისმა, რომ ტელეფონმა დარეკა.

- ხომ გითხარით...

ყურმილთან ცნობილი ქართველი კალათბურთელი **გია სანაძე** იყო. ჩვენი ნაკრების გამარჯვებით აღფრთოვანებული სიხარულს ვერ ფარავდა.

მე და გია შაბათს რიგაში პაექრობის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე შევხვდით ერთმანეთს. ინტერვიუ საღამოს გასამართავ მატჩზე საუბრით დავიწყეთ.

- სტუმრად ჰოლანდია სათანადოდ ვერ შევაფასეთ და დავისაჯეთ, - მითხრა მან - ლატვიაც ამ სტილით თამაშობს. ბალტიისპირელებს ნიჭიერი კალათბურთელებით დაკომპლექტებული ახალგაზრდული გუნდი ჰყავთ, თუმცა გამოცდილება აკლიათ, ამიტომ ფონს გასვლას, უმთავრესად, სამქულიანებით შეეცდებიან, რადგან იციან, რომ მეტოქის ფარქვეშ ფაჩულიასთან და სანიკიძესთან პაექრობაში ვერაფერს გახდებიან. ჰოლანდიასთან გასვლით მატჩში ლატვიელებმა 35 სამქულიანი ტყორცნეს და 13 ჩააგდეს. ბაგაცკისის შეგირდებს პერიმეტრს თუ გადავუკეტავთ, აუცილებლად გავიმარჯვებთ (რიგაში ქართველმა კალათბურთელებმა დაცვაში, ფაქტობრივად, უშეცდომოდ ითამაშეს, მეტოქეს სივრცე შეუზღუდეს და წარმატებასაც მიაღწიეს).

- ტელეტოვიჩმაც ხომ სული ამოგვართვა სამქულიანებით... განზრახ ვაკეთებ აქცენტს სამქულიანებზე, რადგან გია სანაძე შორიდან ტყორცნების დიდი ოსტატი გახლდათ და, როცა ის მოედანზე იდგა, ბევრჯერ მსმენია აგუგუნებული დარბაზის ომახიანი შეძახილი: სა-მა-ძე... სა-მა-ძე... სა-მა-ძე...

### მამის, დედის და დეიდის კვალში

გია სანაძე ხონში დაიბადა და გაიზარდა. 11 წლისამ პირველად შეაღო კალათბურთის დარბაზის კარი. არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა - ოჯახური ტრადიციის გაგრძელება მოინდომა: დედა, მამა და დეიდა კალათბურთელები იყვნენ და ხშირად უთამაშიათ საქართველოს ჩემპიონატებში. ვარჯიშის დაწყებიდან ოთხი წლის შემდეგ ნიჭიერი მწვრთნელის - **თამაზ შველიძის** აღზრდილი საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში მიიწვიეს. 1981 წელს კი უკვე პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველკურსელი თბილისის „დინამოში" ჩაირიცხა.

- მაშინ გუნდის მთავარი მწვრთნელი ლევან მოსეშვილი იყო. - გაიხსენა ორი ათეული წლის წინანდელი ამბავი გია სანაძემ. - ძირითად შემადგენლობაში ადგილი 1983 წლის ზაფხულში მანდო: სოციალისტური ქვეყნების დინამიადაზე რუმინელებს მოვუგეთ. შესანიშნავი კალათბურთელების - ნიკოლოზ დერიუგინის, გელა დარსაძის, გივი ბიჭიაშვილის, პაატა გურასპაულისა და სხვათა გვერდით მომინია თამაშმა და ბედნიერი ვიყავი...

ახალგაზრდა კალათბურთელისთვის დიდ გუნდში კარიერის დასაწყისი უიღბლო აღმოჩნდა - იმავე წლის სექტემბერში ვარჯიშისას მძიმე ტრავმა მიიღო და მთელი სეზონი გაუცდა. ერთი წლის შემდეგ დაუბრუნდა „დინამოს" და ისევ დუბლებიდან გაიკაფა გზა ძირითადი შემადგენლობისკენ. ცეცხლოვანი თამაშითა და უზადო სამქულიანი ტყორცნებით მალე გულშემატკივართა გულიც მოინადირა...

ამ მცირე გადახვევის შემდეგ, მოდით, შეწყვეტილ ინტერვიუს დავუბრუნდეთ.

### ნუ გაამტყუნებთ პულენს!

- ბოსნიის ნაკრები ლატვია-ჰოლანდიის ეროვნულ გუნდებთან შედარებით ბევრად ძლიერია. შესანიშნავი ინდივიდუალისტები ჰყავს. ტელეტოვიჩი კი მართლაც შეუდარებელია. ბოლო წამებზე ჩვენ რომ სამქულიანი ჩაგვიგდო, ისეთ ავანტიურისტულ ტყორცნას, მირზას გარდა, ალბათ, სხვა ვერავინ გაბედავდა: სტუმრები ქულას აგებდნენ, საფინალო სასტვენამდე კი 28 წამი იყო დარჩენილი, ამიტომ ბოსნიელებს, წესით, ბურთი ბოლომდე უნდა გაეთამაშებინათ და მერე შეეტიათ. ტელეტოვიჩმა კი უხერხული მდგომარეობიდან მე-8 წამზე ტყორცნა სამქულიანი. ფაქტობრივად, იგივე გააკეთა პულენმაც. გეთანხმებით, დრო იყო და ცოტა რომ დაეხანებინა ან გამოთავისუფლებული მარკოიშვილისთვის მიეცა პასი, ალბათ, უმჯობესი იქნებოდა, მაგრამ იმ სიტუაციაში მისი გამტყუნება არ შეიძლება: თავად კარგი მსროლელია, გამოთავისუფლებულ სივრცეში აღმოჩნდა და ნაჯაფი ბურთი თვითონ გაგზავნა მეტოქის ფარისკენ. ტელეტოვიჩს იმ მომენტში, პირდაპირ ვთქვათ, აშკარად გაუმართლა, პულენს კი ფორტუნამ, ლატვიასთან თბილისური მატჩისგან განსხვავებით, ზურგი აქცია.

**- 1995 წელს თქვენი თაობის კალათბურთელებსაც გითამაშიათ ბოსნიის წინააღმდეგ. მახსოვს, იმ პაექრობაში მატჩის გმირიც გახდით. სტუმართა მაშინდელი და ახლანდელი გუნდების შედარება თუ შეიძლება?**

- ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველი მატჩი ბოსნიასთან შინ ჩავატარეთ. მოგეხსენებათ, იუგოსლავია მაშინ ახალი დაშლილი იყო. ქვეყანა საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა. კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ყოფილ იუგებს განმეორებითი ორთაბრძოლის შინ გამართვის ნება არ დართო უსაფრთხოების მიზნით და გერმანიაში ვითამაშეთ. საქართველოს ნაკრების კაპიტანი ვიყავი და ჩემმა ბოსნიელმა კოლეგამ, მარკოვიჩმა, სუვენირად ტანკის უზარმაზარი გილზი გადმოგვცა წარწერით. იუგოსლაველი კალათბურთელები მსოფლიოში ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდნენ. ტონის მიმცემი კი ბოსნიელებიც იყვნენ. მათთან თბილისური მატჩი დაძაბულად წარიმართა - ასე ვთქვათ, თამაში ქულაქულაზე მიდიოდა. თუ არ ვცდები, რამდენიმე სამქულიანი ჩავაგდე, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ბოლო წუთებზე სტუმრებმა ზედიზედ სამჯერ ტექნიკური ჯარიმა მიიღეს და ექვსივე ცდა უშეცდომოდ გამოვიყენე. საბოლოოდ შეხვედრა 11 ქულით (77:66) მოვიგეთ, ბერლინში კი 9 ქულით (71:80) დავმარცხდით. ბოსნიელებს მაშინაც ძლიერი ინდივიდუალისტები ჰყავდათ და ახლაც ასეა. ამჟამად დალაგებული ქვეყანა აქვთ და მოტივირებული გუნდი ჰყავთ. ამ შესარჩევ ტურნირზე საუკეთესო მატჩი მათ თბილისში ითამაშეს.

**- იმ პერიოდიდან კიდევ რომელ პაექრობას გაიხსენებდით?**

- მგონი, 1996 წელს კორაჩის თასზე, „ვიტა" უნგრეთის „კიორმენდს" ეთამაშა თბილისში. საფინალო სასტვენამდე 72 წამით ადრე 10 ქულას ვაგებდით. დროის ამ მცირე მონაკვეთში ქომაგების მხარდაჭერით ნამდვილი სასწაული მოხდა მოედანზე. მატჩის მიწურულს ზედიზედ ორი სამქულიანი ჩავაგდე და ანგარიში გავათანაბრე. სირენამდე სამიოდე წამით ადრე კი გაოგნებულმა სტუმრებმა შეტევისას ბურთი დაკარგეს და ლევან ქარაბაკმა გამარჯვების მომტანი ორი ქულა მიითვალა.

**- სამქულიანების დიდოსტატს აღფრთოვანებული გულშემატკივრები სამაძესაც გეძახდნენ. საიდან ტყორცნის ამგვარი სტილი - ვის ბაძავდით?**

- ჯერ კიდევ „დინამოში", რომლის შემადგენლობაშიც პირველი ეროვნული ჩემპიონატი მოვიგე, შემდეგ „თბილისსა" და „ვიტაშიც" იყვნენ ისეთი კალათბურთელები, რომლებიც შორიდან ზუსტად ტყორცნიდნენ, თუმცა ჩემი კერპი სერგეი ბელოვი გახლდათ. ყოველთვის მომწონდა მისი თამაშის მანერა და შორეული ტყორცნები. 1987-1989 წლებში, როცა ენდენთან, კურტინაიტისთან, პოპოვთან, სუხარევთან, გრიშაევთან და სხვა ცნობილ კალათბურთელთან ერთად გამოვდიოდი საბჭოთა კავშირის მეორე ნაკრების შემადგენლობაში, საწვრთნელი შეკრებებისას ბელოვის ვარჯიშს ვაკვირდებოდი. მის მანერებს ვსწავლობდი, თბილისში დაბრუნებული გვიანობამდე ვრჩებოდი დარბაზში და სხვადასხვა ადგილიდან სამქულიან ტყორცნებს ვამულამებდი. პროცენტული მაჩვენებლებისთვის ყურადღება არასდროს მიმიქცევია - მეტოქის კალათისკენ მაშინვე ვგზავნიდი ბურთს, როგორც საამისო საშუალება მეძლეოდა. საქართველოს ნაკრებში ახლაც გვყავს ისეთი კალათბურთელები, რომლებსაც შორიდან ტყორცნა ეხერხებათ. მეტი უნდა გაბედონ. ურისკოდ შედეგს ვერ მიაღწევ. ხომ ნახეთ, ტელეტოვიჩს პირველ ტაიმში არაფერი გამოუვიდა, მეორეში კი "გაიხსნა" და თავის გუნდს გამარჯვებაც მოაპოვებინა...

**- ნაკრების მთავარ მწვრთნელ იგორ კოკოშკოვზე ბევრი დაიწერა - დადებითიც, უარყოფითიც. თქვენ რას იტყვით?**

- პატიოსანი, ალალი და თავისი საქმის კარგი მცოდნე სპეციალისტია. შეიძლება ვინმეს არ მოეწონოს ჩემი ნათქვამი, მაგრამ მაინც ვიტყვი - ამ ეტაპზე საქართველოს ნაკრებს ისეთი პროფესიონალი სჭირდება, როგორიც კოკოშკოვია. შორიდან იოლია მწვრთნელის კომპეტენციებში შეჭრა. წუთშესვენება ამ დროს რატომ არ აიღოო, ამბობენ. კარგი ხელმძღვანელი ბოლო ტაიმაუტს სწორედ მატჩის მიწურულისთვის ინახავს, მით უმეტეს ახლა, როცა ბურთი გასათამაშებლად მეტოქის მოედნიდან შემოგაქვს და ფარამდე მანძილი საგრძნობლად მცირდება. სხვა ფსიქოლოგიური მომენტებიცაა გასათვალისწინებელი. 1972 წელს კონდრაშინს ფინალური მატჩის მიწურულამდე რომ არ შემოენახა წუთშესვენება, საბჭოთა ნაკრები ბოლო 3 წამში ოლიმპიურ ჩემპიონობას ვერ მოიპოვებდა.

**- გულშემატკივრებმა იციან, რომ გია სანაძის ბიჭები მამის გზას მიჰყვებიან, ანუ ოჯახური ტრადიცია გრძელდება...**

- უფროსი ვაჟი დუდა „დინამოს" შემადგენლობაში გამოდიოდა. რამდენიმე დღის წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა. სან-დიეგოს უნივერსიტეტში ისწავლის და სტუდენტური ლიგის პირველი დივიზიონის გუნდში ითამაშებს. იქაურ პრესაში კარგი გამოხმაურება აქვს. ეტყობა, ამერიკელებს თავი მოაწონა, თორემ, სათანადო დონის მოთამაშე თუ არ ხარ და პერსპექტივა არ გაგაჩნია, უნივერსიტეტში სწავლის წლიურ საფასურს - 57 ათას დოლარს არავინ გადაგიხდის. ვიმედოვნებ, რომ მაღალი დონის კალათბურთს ითამაშებს და ეროვნულ ნაკრებსაც გამოადგება. რაც შეეხება შუათანა სანდროს, 16 წლისაა, მესამე წელიწადია, კალათბურთს თამაშობს, ამიტომ მის პერსპექტივებზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია...

*"ჩვენს ბიჭებს, მათს მწვრთნელებს 2013 წლის ევრობასკეტის ფინალურ ეტაპზე ვადამდე გასვლას ვულოცავ. ისინი ამგვარ წარმატებას ნამდვილად იმსახურებენ, თუნდაც იმიტომ, რომ პატრიოტები არიან: ფაჩულია ფეხმტკივანი ჩამოვიდა ამერიკიდან, შენგელიას მძიმე სეზონი ჰქონდა კლუბში, მერე ამერიკელებს მოაწონა თავი და დასვენებაც ვერ მოასწრო, ისე ჩაერთო შესარჩევ ტურნირში, ნაოპერაციევი შერმადინი სამთვიანი იძულებითი უქმობის შემდეგ დაუბრუნდა ნაკრებს... ანუ იმის თქმა მინდა, რომ ყველა კალათბურთელმა პირადული განზე გადადო და ეროვნული გუნდის წარმატებისთვის ბოლომდე დაიხარჯა. ალბათ, ეს ქართული სისხლის ყივილია, თორემ ჰოლანდიას, მაკედონიას, ასევე, სხვა ქვეყნებსაც, ჰყავთ უცხოეთში, მათ შორის ამერიკის სტუდენტურ ლიგაში მოთამაშე მაღალი კლასის კალათბურთელები, მაგრამ ისინი ეროვნული გუნდისთვის თავს არ იწუხებენ. იმედია, ჩვენი ბიჭები სამშაბათს შინ ჰოლანდიასთან რევანშს აიღებენ და კიდევ ერთი გამარჯვებით გაგვახარებენ"*, - ეს უკვე ტელეფონით მითხრა გია სანაძემ და მომავალ მატჩამდე დამემშვიდობა.

**ვაჟა დანელია**




ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

კალათბურთი

ევრობასკეტი 2013. საქართველო-ჰოლანდია, 17:30.

# გავავსოთ დარბაზი, გადავუხადოთ მადლობა კალათბურთელებს



- მივულოცავ საქართველოს ევროპის ჩემპიონატზე ზედიზედ მეორედ გასვლას. ეს მეტად მნიშვნელოვანი ამბავია როგორც ქვეყნისთვის, ასევე ქართული კალათბურთისთვის. ნაკრების თითოეულ მოთამაშეს თვენახევრის განმავლობაში თავი არ დაუზოგავს და სასიამოვნოა, რომ შრომა დაგვიფასდა, - განაცხადა კაპიტანმა **ზაზა ფაჩულიამ** გუშინდელი ვარჯიშის დასრულების შემდეგ.

იგი წვრთნას თვალს გვერდიდან ადევნებდა, მოედანზე მხოლოდ ბოლოს შევიდა...

- ყველას კარგად მოეხსენება ჩემი კუნთის ამბავი. ლატვიასა და ბოსნიასთან ფაქტობრივად ცალი ფეხით ვითამაშე. ექიმებთან კონსულტაციის შემდეგ გადაწყდა, რომ ჰოლანდიის ნაკრების წინააღმდეგ ვერ ვითამაშებ. ეს შეხვედრა სატურნირო თვალსაზრისით არაფერს წყვეტს, მხოლოდ ერთი დატვირთვა აქვს - ჰოლანდიასთან პირველ წრეში წაგების გამო რევანში უნდა ავიღოთ. ალმერეში ჩატარებული თამაში დღესაც მწარედ გვახსოვს. იმედი მაქვს, ბიჭები შეძლებენ დასახული მიზნის მიღწევას, - დასძინა ფაჩულიამ.

■ ■ ■

ასე და ამგვარად, ჩვენი ნაკრები დღეს ნიდერლანდელებს ზაზას გარეშე დაუპირისპირდება, რაც შესარჩევში მეორე შემთხვევა იქნება. შეგახსენებთ, რომ „ატლანტას" ცენტრმა კუნთის დაჭიმულობის გამო პირველი შეხვედრაც გამოტოვა (რუმინეთთან).

საქართველოს ნაკრების ყველა დანარჩენი კალათბურთელი მწყობრშია და სეზონის ეფექტურად დასასრულებლად სერიოზულად ემზადება.

იმედიანადაა ფორვარდი **ვიქტორ სანიკიძე**, რომელმაც მხრის ტრავმის გამო ჰოლანდიასთან პირველ შეხვედრაში მონაწილეობა ვერ მიიღო:

- სასიხარულოა, რომ ევროპის ჩემპიონატის საგზური მოვიპოვეთ და გაისად სლოვენიაში ვითამაშებთ. თუმცა ამით შესარჩევი ეტაპი არ დასრულებულა, ყველას კარგად გვახსოვს ჰოლანდიური მარცხი და ჩვენი გულშემატკივრის წინაშე რეაბილიტაციის კარგი შანსი გვეძლევა. ეს შესარჩევის ბოლო თამაშია და ყველა ღონეს ვიხმართ, რომ 2012 წელი მაჟორულ ნოტაზე დავასრულოთ. მჯერა, ამ საქმეში ჩვენი ქომაგიც სათანადოდ დაგვეხმარება.

■ ■ ■

ლატვიასთან შეხვედრა გაიხსენა ახალგაზრდა **თორნიკე შენგელიამ**:

- ლატვიასთან დაძაბული თამაში იყო. ამას ველოდით კიდეც, თუმცა მატჩი სტაბილურად ჩავატარეთ და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ჩემპიონატზე გასულები ვართ, მოტივაცია დიდი გვაქვს, რადგან კარგად გვახსოვს ჰოლანდიური მარცხი...





■ ■ ■

ჩვენს ჯგუფში ზედა სამივე ადგილი განაწილებულია. ბოსნიას პირველობას ვერავინ შეეცილება, საქართველოს ლატვია მეორე ადგილს ვერ წაართმევს, ხოლო ევროპის ჩემპიონატის საგზურის გარეშე დარჩნენ ჰოლანდია და რუმინეთი. ლატვიელებს ევრობასკეტზე თამაშის უფლება ოფიციალურად ჯერ არ მოუპოვებიათ, თუმცა რუმინეთში გამარჯვების შემთხვევაში ისინიც მიაღწევენ მიზანს (საუკეთესო მაჩვენებლის მქონე ოთხ მესამეადგილოსანს შორის მოხვდებიან). ბალტიისპირელებს ბურთების შეფარდების იმდენად კარგი ბალანსი აქვთ, რომ რუმინეთში წაგების შემთხვევაშიც დიდია მათი ევრობასკეტზე გასვლის ალბათობა.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოსნია | 8 | 6 | 2 | 736/672 | 14 |
| 2. საქართველო | 7 | 5 | 2 | 610/577 | 12 |
| 3. ლატვია | 7 | 4 | 3 | 570/507 | 11 |
| 4. ჰოლანდია | 7 | 2 | 5 | 578/629 | 9 |
| 5. რუმინეთი | 7 | 1 | 6 | 492/601 | 8 |

ბოლო ტური

| | |
|---|---|
| 17:30 | საქართველო-ჰოლანდია |
| 19:00 | რუმინეთი-ლატვია |

საქართველოს მეტოქე. ჰოლანდია



ეროვნული ბიბლიოთეკა

# უელსონოდ

## იან იანსენი: დიდი მნიშვნელობა აქვს კალენდარს

10 სექტემბერს ჩვენმა ნაკრებმა ვარჯიში 20 საათისთვის დაასრულა. ქართველების შემდეგ სპორტის სასახლის პარკეტზე ჰოლანდიელები გამოჩნდნენ. ველოდით ტანმაღალი **ფრანსისკო ელსონის** გამოჩენასაც, რომელიც ამერიკის საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონიცაა და ნიკა ცქიტიშვილის გვერდითაც უთამაშია („დენვერში"), მაგრამ გუნდი სავარჯიშოდ მის გარეშე რომ გავიდა, მაშინღა მივხვდით - ელსონი თბილისში არ ჩამოსულა. ამის მიზეზის გასარკვევად მთავარ მწვრთნელ **იან იანსენს** მივაკითხეთ.



- ფრანსისკოს მუხლის ტრავმა აქვს და ჰოლანდიაში დავტოვეთ. ამავე მიზეზით არ ჩამოფრენილა კოენისი. სეზონის დასკვნით მონაკვეთში ყოველთვის ძნელია სათანადო კონდიციების შენარჩუნება და 12-კაციანი განაცხადის შევსება. საქართველოს ნაკრებთან შეხვედრაში 10 კალათბურთელით გამოვალთ, თუმცა მათ შორისაც გვყავს ისეთები, რომლების თამაშიც სათუოა - იანსენი და სლაგთერი.

**- ჰოლანდიის ნაკრებს მხოლოდ 2 მოგება აქვს, რა არის ამის მიზეზი?**

- მომავლის გუნდს ვაშენებთ. შემადგენლობა გავაახალგაზრდავეთ. მიუხედავად იმისა, რომ ელსონი 35 წლისაა, ჩვენი საშუალო ასაკი 22 წელია. გათვლას მომავალ შესარჩევზე ვაკეთებთ. შესაძლოა, სწორედ ახალგაზრდული ასაკის ბრალია, რომ ყველა წაგებულ მატჩში ბოლო წუთებზე დავთმეთ. არადა, ფავორიტებსაც თანაბრად ვეპაექრებოდით.

**- საქართველოს ნაკრებზე რისი თქმა შეგიძლიათ?**

- ძალიან ძლიერი გუნდია. შემადგენლობა მაღალი დონის პროფესიონალებითაა დაკომპლექტებული და ევროპის ჩემპიონატის საგზური დამსახურებულად მოიპოვა.

**- ორიდან ერთი წაგება სწორედ თქვენს გუნდთან გვაქვს...**

- ჩემი აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს შესარჩევი ეტაპის კალენდარს. გუნდებს ყოველ მესამე დღეს თამაშის ჩატარება უწევთ, რაც დიდ ენერგიასთანაა დაკავშირებული. ასეთ პირობებში სხვებთან შედარებით მცირე დასვენებაც დიდ უპირატესობას იძლევა. მაგალითად, საქართველოსთან ჰოლანდიაში გამართული თამაშის წინ ხუთი დღე დავისვენეთ და მეტი ენერგიაც აღმოგვაჩნდა.

იან იანსენმა ერთი ამბავიც გაგვანდო, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრილ გუნდებზე მეტად ჯგუფში ჩარჩენილებს დააინტერესებს: 2013 წელს, მაშინ, როცა 24 ნაკრები ევრობასკეტის პერიპეტიებში ჩაეფლობა, ფინალურ ეტაპს მიღმა დარჩენილი გუნდები ხუთგუნდიან სამ ჯგუფად გაიყოფიან და ევრო-2015-ის ერთ საგზურს გაითამაშებენ. მათ შორის იქნებიან ჰოლანდია და რუმინეთი.

სატრანსფერო სიახლე

# ათუაშვილი ლიტვაში დაბრუნდა

222 სმ სიმაღლის ქართველი კალათბურთელი **სერგო ათუაშვილი** ამჟამად ლიტვაშია და „პალანგასთან" ერთად ახალი სეზონისთვის ემზადება. იგი გუნდში მთავარმა მწვრთნელმა **რიმვიდას სამულენასმა** მიიწვია, რომელიც შარშანდელ სეზონში „სოხუმს" ხელმძღვანელობდა. სერგო 2011-12 წლებში სწორედ სოხუმელთა ღირსებას იცავდა.



როგორც შევიტყვეთ, ქართველი კალათბურთელის პალანგაში დარჩენის საკითხი გადაწყვეტილია. სერგოს კონტრაქტზე ვკითხეთ.

- ახალ გუნდთან ხელშეკრულებას მალე გავაფორმებ და მომავალ სეზონშიც „პალანგაში" ვითამაშებ. წლეულს გუნდში კარგი შემადგენლობაა თავმოყრილი და შარშანდელთან შედარებით მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ, - გვითხრა სერგო ათუაშვილმა.

როგორც აღვნიშნეთ, იგი შარშან „სოხუმის" ღირსებას იცავდა, მანამდე „არმიასთან" ერთად საქართველოს ჩემპიონი გახდა, თამაშობდა „ავიამშენში", „ნტდ დევონში". ახალგაზრდულ ასაკში სერგომ უცხოეთის არაერთი ქვეყანაში მოსინჯა ძალები. ჯერ ფრანგულ „შალონში" თამაშობდა, შემდეგ პორტუგალიურ „ოვარენსეში", ლიტვურ „ნეპტუნასსა" და ესტონურ ტტუ-ში. ნეპტუნასელებთან ერთად ათუაშვილმა ლიტვის ჩემპიონატში ბრინჯაოს მედალი მოიგო.

გვერდი მოამზადა
ვაჟა **სიმონიშვილმა**

ლეგიონერები

# ორის დებიუტი, ორი ჯერაც დაუმარცხებელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში ოთხი ტურის შემდეგ დაუმარცხებელი ისევ ორი გუნდია, ბასკური „ბიარიცი“ და დავით ქუბრიაშვილის, ლევან ჩილაჩავასა და კონსტანტინე მიქაუტაძის „ტულონი“.**

ტულონელებმა ყველაზე მეტი, 18 ქულა დააგროვეს და სატურნირო ცხრილს ჩაუდგნენ სათავეში. ეს პირველი შემთხვევაა, როცა „ტულონი“ სეზონის დასაწყისშივე გალიდერდა. ძნელი სათქმელია, როგორ განვითარდება მოვლენები, თუმცა ერთის თქმა თამამად შეიძლება. კლუბის პრეზიდენტმა, **მურად ბურჯელალმა** მაინც შეძლო საოცნებო გუნდის შექმნა.

მე-4 ტურში „ტულონი“ შინ დაუპირისპირდა „ბორდოს“ და დიდი ანგარიშით 42:12 სძლია. ანგარიშიდანაც კარგად ჩანს, რომ მასპინძლები სათამაშო უპირატესობას მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ. ტულონელებმა მეტოქეს ხუთი ლელო გაუტანეს და ერთი პრემიალური ქულაც ირგუნეს.

„ბორდოსთან“ მატჩში შედგა სამხრეთ აფრიკიდან დაბრუნებული მგეზავის **ფრედერიკ მიშალაკის** დებიუტი. მან ინგლისელი ჯონი ვილკინსონი მე-19 წუთზე შეცვალა და გუნდს 18 ქულა მოუტანა (3 საჯარიმო და 3 გარდასახვა). ქუბრიაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და მე-16 წუთზე შეცვალეს. მან მუხლი დაიზიანა და უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი, რამდენად სერიოზულია ტრავმა.

საფრანგეთის ჩემპიონ „ტულუზის“ რიგებში **ვასილ კაკოვინის** დებიუტი შედგა. საქართველოს ნაკრების შერკინების ბურჯი ამ გუნდში „ბრივიდან“ გადაბარგდა და ტრავმის გამო სეზონის დასაწყისი გაუცდა. ტულუზელებმა შინ „აჟენი“ მიიღეს და 62:13 გაანადგურეს.

კაკოვინმა პირველ ტაიმში ითამაშა და მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო



ბურთით ვასილ კაკოვინი

იყო. „ტულუზმა“ მეტოქეს რვა ლელო გაუტანა. აქედან ახალზელანდიელმა მგეზავმა **ლუკ მაკალისტერმა** შვიდი გარდასახა და ზედ ორი საჯარიმოც მიაყოლა (20 ქულა). **ჯაბა ბრეგვაძე** ტრავმირებულია და არ უთამაშია.

ძალიან უჭირს სტარტზე გათამაშების აღიარებულ ფავორიტს **დავით ზირაქაშვილისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონს“. „ვულკანებმა“, მართალია, ოთხიდან სამი შეხვედრა მოიგეს, მაგრამ სამივე მატჩში უდიდესი ძალისხმევის გაღება დასჭირდათ.

„კლერმონმა“ მეოთხე ტურში პარიზულ „მეტრო რასინგს“ უმასპინძლა და მინიმალური სხვაობით 13:12 დაამარცხა. აღსანიშნავია, რომ სტუმრები 58-ე წუთამდე 12:7 იგებდნენ. თამაშის დასრულებამდე დარჩენილ დროში „ვულკანების“ ცხრა ნომერმა **მორგან პარამ** ორი საჯარიმოს გატანა მოახერხა და თავისიანებს გამარჯვება მოუტანა.

ზირაქაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 48-ე წუთზე შეცვალეს, კოლელიშვილს არ უთამაშია.

**მამუკა გორგოძის, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გიორგი ჟღენტის** „მონპელიემ“ სტუმრად წააგო ჯერაც დაუმარცხებელ ბასკურ „ბიარიცთან“ - 8:27. ჩვენებურთა გუნდს ექვსი არგენტინელი მორაგბე აკლია, რომლებიც ოთხი ერის გათამაშებაში თავიანთი ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ასპარეზობენ.

მონპელიელთა რიგებში არ იყო შერკინების ქართველი ბურჯი **გიორგი ჟღენტი**. მისი არყოფნა გუნდს საგრძნობლად დაეტყო. გორგოძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, ნარიაშვილი თამაშში 37-ე წუთიდან ჩაერთო.

კიდევ ერთხელ გამოაჩინა ბასრი კლანჭები **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრამ“, რომელმაც სტუმრად **ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსესთან“ ფრეს მიაღწია - 20:20. კასტრელები 58-ე წუთამდე 20:12 იგებდნენ. პარიზელებმა წაგებისაგან თავის გადარჩენა მატჩის მიწურულსღა მოახერხეს.

ჟვანიას და ფეიქრიშვილს არ უთამაშიათ.



დავით ზირაქაშვილი რაკში ბრძოლისას

## I დივიზიონი

### IV ტური

**ბიარიცი-მონპელიე 27:8, გრენობლი-მონ დე მარსანი 52:7, პერპინიანი-ბაიონი 18:13, ტულუზი-აჟენი 62:13, სტად ფრანსე-კასტრი 20:20, ტულონი-ბორდო 42:12, კლერმონი-მეტრო რასინგი 13:12.**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. ტულონი - 18 ქულა, 2. ბიარიცი - 17, 3. ტულუზი - 15, 4. კლერმონი - 14, 5. გრენობლი - 13, 6. კასტრი - 11, 7. მეტრო რასინგი - 10, 8. მონპელიე - 9, 9. სტად ფრანსე - 6, 10. ბაიონი - 6, 11. პერპინიანი - 6, 12. ბორდო - 5, 13. აჟენი - 2, 14. მონ დე მარსანი - 0.**

### V ტური

**მონპელიე-ტულონი, პერპიანი-ტულუზი, ბაიონი-მეტრო რასინგი, მონ დე მარსანი-კლერმონი, კასტრი-ბიარიცი, აჟენი-გრენობლი, ბორდო-სტად ფრანსე.**

■ ■ ■

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, მეორე დივიზიონში სამი ტურის შემდეგ დაუმარცხებელი სამია, აქედან ორი „ორიაკი“ და „ლიონი“ ქართველ მორაგბეთა გუნდებია.

**ლევან დათუნაშვილის, კარლენ ასეიშვილისა** და **გიორგი ნაცარაშვილის** „ორიაკმა“ ყველაზე მეტი 12 ქულა დააგროვა და სატურნირო ცხრილში ამჟამად პირველ ადგილზეა. ჩვენებურთა ამ გუნდმა გათამაშების სტარტზე სამივე შეხვედრა შესანიშნავად წარმართა და დაამტკიცა, რომ წლეულს სერიოზულად აქვს განზრახული ელიტურ, პირველ დივიზიონში აღზევდეს.

„ორიაკმა“ მესამე ტურში სტუმრად ითამაშა „კოლომიესთან“ და 29:22 მოიგო. სამივე ქართველმა ძირითად შემადგენლობაში ითამაშა, ასეიშვილი დაშავდა და 23-ე წუთზე შეცვალეს, ნაცარაშვილმა მოედანზე 17 წუთით მეტი დაჰყო, დათუნაშვილმა კი 43 წუთი ითამაშა.

„ორიაკს“ ერთი ქულით ჩამორჩება **გურამ კავთიძის** „ლიონი“, რომელმაც სტუმრად ფრედ ითამაშა **დავით ხინჩაგიშვილის, ირაკლი ნატრიაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „ბრივთან“ - 19:19. მასპინძლები 52-ე წუთისთვის 16:3 იგებდნენ, თუმცა გამარჯვების შენარჩუნება ვერაფრით შეძლეს. ლიონელებმა, რომლებიც გათამაშების ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტები არიან, მატჩის გადარჩენა დასკვნით ოც წუთში მოახერხეს.

ხინჩაგიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და მე-60 წუთზე შველიძემ შეცვალა, იმავდროულად თამაშში ჩაერთო ნატრიაშვილიც, კავთიძე განაცხადში იყო, თუმცა არ უთამაშია.

ფრეს დასჯერდა საკუთარ მოედანზე „ოიონაქსთან“ მატჩში **გიორგი ჩხაიძის, ირაკლი მირცხულავას, დავით დადუნაშვილისა** და **გიორგი ნემსაძის** „ტარბი“ - 25:25. თამაში ძალიან დაძაბული გამოდგა და ბოლო წუთებამდე ქულა-ქულაში მიდიოდა. საბოლოოდ გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება ვერც ერთმა ვერ მოახერხა. შედეგად ტარბელებს სამ ტურში თითო მოგება-წაგება და ფრე დაუგროვდათ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი **გიორგი ჩხაიძე** „ტარბის“ ხელმძღვანელებმა კაპიტნად დანიშნეს. ის მეორე ქართველი მორაგბეა **გია ლაბაძის** შემდეგ, რომელიც საფრანგეთის ელიტურ გუნდს უკაპიტნებს. შეგახსენებთ, რომ ლაბაძე წლების განმავლობაში „ტულონის“ კაპიტანი გახლდათ.

„ოიონაქსთან“ მატჩში ოთხივე ქართველი ძირითად შემადგენლობაში იყო. ჩხაიძე მე-40 წუთზე შეცვალეს, დადუნაშვილმა და მირცხულავამ მოედანი ოთხი წუთის შემდეგ დატოვეს, ნემსაძემ მათზე 21 წუთით მეტი ითამაშა.

**კახაბერ კობერიძის, ვახტანგ მაისურაძის, ალექსანდრე თოდუას, გიორგი თეთრაშვილისა** და **ვახტანგ ახობაძის** „ალბი“ სტუმრად დამარცხდა „პოსთან“ - 19:22. ალბელებმა პირველი ნახევარი პირწმინდად დათმეს და მხოლოდ მატჩის დასკვნით 20 წუთში გამოილეს ხელი. მარცხისგან თავის დასახსნელად კი დრო აღარ ეყოთ.

„პოსთან“ მატჩში შერკინების ბურჯის, გიორგი თეთრაშვილის დებიუტი შედგა. ის ძირითად შემადგენლობაში იყო და 46-ე წუთზე შეცვალეს, თოდუამ და მაისურაძემ სრულად ითამაშეს, კობერიძე და ახობაძე განაცხადში არ იყვნენ.

**შალვა სუთიაშვილისა** და **დავით აშვეთიას** „მასიმ“ სტუმრად წააგო „კარკასონთან“ - 23:44. პარიზელებს, რომლებიც მეორე დივიზიონის დებიუტანტები არიან სამი თამაშიდან მხოლოდ ერთი მოგება აქვთ და ბოლოსწინა, მე-15 ადგილზე იმყოფებიან.

სუთიაშვილი თადარიგში იყო და მოედანზე 48-ე წუთიდან გამოჩნდა, აშვეთიას არ უთამაშია.

სამი მატჩიდან სამივე წააგო და ბოლო ადგილზეა **ტარიელ რატიანიძის** „დაქსი“. მესამე ტურში ეს გუნდი სტუმრად ვერას გახდა **ბექა შეყლაშვილის** „ბეზიესთან“ - 9:22. ლანგედოკელებისთვის ეს პირველი გამარჯვება იყო და ახლა ისინი ხუთი ქულით მე-14 ადგილზე არიან.

შეყლაშვილმა ძირითად შემადგენლობაში ითამაშა და 48-ე წუთზე შეცვალეს, რატიანიძე მოედანზე სამი წუთით ადრე გამოჩნდა.

## II დივიზიონი

### III ტური

**კარკასონი-მასი 44:23, ნარბონი-ლა როშელი 18:13, ტარბი-ოიონაქსი 25:25, ბეზიე-დაქსი 22:9, ექსი-ოში 33:9, კოლომიე-ორიაკი 22:29, პო-ალბი 22:19, ბრივი-ლიონი 19:19.**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. ორიაკი - 12 ქულა, 2. ლიონი - 11, 3. ოიონაქსი - 11, 4. კარკასონი - 10, 5. პო - 8, 6. ოში - 8, 7. ლა როშელი - 6, 8. ექსი - 6, 9. ნარბონი - 6, 10. კოლომიე - 6, 11. ტარბი - 6, 12. ბრივი - 6, 13. ალბი - 5, 14. ბეზიე - 5, 15. მასი - 4, 16. დაქსი - 0.**

### IV ტური

**ბრივი-ნარბონი, ლა როშელი-ოში, დაქსი-კოლომიე, ექსი-ოიონაქსი, მასი-ბეზიე, ორიაკი-ტარბი, პო-კარკასონი, ალბი-ლიონი.**

■ ■ ■

საინტერესო გამოდგა მეორე ტური „კელტთა ლიგაში“, სადაც საქართველოს ნაკრების მესამეხაზელ **დიმიტრი ბასილაიას** „ედინბურგი“ ასპარეზობს. აქ ექვსი მატჩიდან ოთხში გამარჯვება სტუმართა გუნდებს დარჩათ.

სტუმრად მოიგო „ედინბურგმაც“. ჩვენებურის გუნდმა პირველ ტურში შინ განცდილი მარცხის შემდეგ, სტუმრად სენსაციური გამარჯვება მოიპოვა უელსურ „კარდიფთან“ - 21:19.

მატჩის პირველი ნახავარი მასპინძლებმა მინიმალური სხვაობით 9:8 მოიგეს, თუმცა მეორე ნახევარში ზეწოლა კიდევ უფრო გააძლიერეს და 57-ე წუთისთვის უკვე რვა ქულის სხვაობით 19:11 იგებდნენ. ამ დროიდან მოყოლებული კარდიფელების თამაშში რაღაც მოიშალა, რაც შესანიშნავად გამოიყენეს ედინბურგელებმა და გათამაშებაში პირველი გამარჯვება მოიპოვეს. ბასილაია განაცხადში არ იყო.

შეგახსენებთ, რომ „კლეტთა ლიგაში“ ორი შოტლანდიური, ორი იტალიური, ოთხი ირალანდიური და ამდენივე უელსური გუნდი ასპარეზობს. მომდევნო შეხვედრას „ედინბურგი“ შინ გამართავს იტალიურ „ზებრესთან“.

## კელტთა ლიგა

### II ტური

**ზებრე-ქონოთი 17:30, კარდიფი-ედინბურგი 19:21, გლაზგო-ჰლანეჰლი 13:18, მანსტერი-ბენეტონი 19:6, ლენსტერი-ნიუპორტი 45:25, ოსფრიზი-ალსტერი 13:16.**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. ჰლანეჰლი - 9 ქულა, 2. მანსტერი - 8, 3. ალსტერი - 8, 4. ნიუპორტი - 5, 5. ქონოთი - 5, 6. კარდიფი - 5, 7. ედინბურგი - 5, 8. ლენსტერი - 5, 9. ბენეტონი - 4, 10. ოსფრიზი - 2, 11. გლაზგო - 1, 12. ზებრე - 0.**

### III ტური

**ალსტერი-მანსტერი, ოსფრიზი-გლაზგო, ედინბურგი-ზებრე, ქონოთი-ჰლანეჰლი, ბენეტონი-ლენსტერი, ნიუპორტი-კარდიფი.**

**ბესიკ ჯანგავაძე**



დავით ქუბრიაშვილი (შუაში)

## უცხოური სპორტი

### რაგბი. ოთხი ერი



ხუან მარტინ ერნანდესი და კონრად სმითი

# არგენტინა უმაღლესში სწავლას განაგრძობს

**ოთხი ერის გათამაშების მესამე ტური ლოგიკურად დასრულდა. მასპინძლებმა, ახალი ზელანდიისა და ავსტრალიის ნაკრებებმა საშინაო მატჩებში, როგორც მოსალოდნელი იყო, გამარჯვებას მიაღწიეს.**

ველინგტონში, მსოფლის თასის მფლობელმა „ოლ ბლექსმა" არგენტინის ეროვნულ გუნდს უმასპინძლა. „პუმებმა" მეორე ტურში ჩადენილი გმირობის გამეორება ვერ შეძლეს და 5:21 დამარცხდნენ. თუმცა, დასაწყისში ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ არგენტინელებს მრისხანე მასპინძლების ძლევაც შეეძლოთ.

ანგარიში საჯარიმოდან მე-8 წუთზე ახალი ზელანდიის ნაკრების მეეზავმა **აარონ კრადენმა** გახსნა, რომელიც ტრავმირებული **დენ კარტერის** ნაცვლად თამაშობდა. ამაზე „პუმებმა" ტრადიციული, მორკინალების დარტყმებით განხორციელებული იერიშის შემდეგ გატანილი ლელოთი უპასუხეს. თავი არგენტინელთა შერკინების ვეტერანმა ბურჯმა **როდრიგო რონსერომ** გამოიჩინა, რომელიც ოთხი ერის გათამაშების დასრულების შემდეგ რაგბიდან წასვლას აპირებს. გარდასახვა ფულბეკმა **მარტინ როდრიგესმა** ვერ გაიტანა - 5:3.

არგენტინელები 24-ე წუთამდე იგებდნენ. მასპინძლებმა ანგარიშში დაწინაურება კრადენის საჯარიმოთი შეძლეს - 6:5. ორივე გუნდის მხრიდან დიდი მცდელობის მიუხედავად, ანგარიში 51-ე წუთამდე არ შეცვლილა. „ველინგთონის" სტადიონზე მისული ახალზელანდიელი ქომაგი გაოგნებული შეჰყურებდა მოედანზე განვითარებულ მოვლენებს. სტუმართა გუნდი თავდადებით იბრძოდა და მეტოქეს ჩათვლის მოედანთან მიახლოების საშუალებას არ აძლევდა.

ახალი ზელანდიის ნაკრები მოწინააღმდეგის გატეხვას მისივე ხერხით, მორკინალების მიძალებით ცდილობდა, თუმცა ამან „ოლ ბლექსს" ხეირი ვერ მოუტანა. მატჩის დასკვნით 15 წუთში მასპინძლებმა ტაქტიკა შეცვალეს და უკანახაზელები აამუშავეს. თამაშის ფლანგებზე გაშლამ შედეგი გამოიღო. თითო ლელო **ჯულიან სავეამ** და **ქორი ჯეინმა** მიითვალა.

კიდევ უფრო საინტერესო გამოდგა ავსტრალიისა და სამხრეთ აფრიკის ნაკრებების დაპირისპირება პერთში. „ბოკე" ყველანაირად ეცადა მენდოსაში არგენტინასთან ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგ, შელახული რენომე აღედგინა, მაგრამ არ გამოუვიდა. სამხრეთაფრიკელებმა 19:26 წააგეს.

**ჰეინკე მეიერს**, როგორიც ჩანს, გუნდში გაცილებით სერიოზული პრობლემები აქვს, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. ტრავმირებულთა დიდ არმიას, კიდევ ერთი, მეორეხაზელი **ებენ ესტებესი** დაემატა, რომლის შემცვლელადაც მეიერმა საფრანგეთიდან ბაკის ბოთას გამოძახება გადაწყვიტა.

„ბოკესთან" მატჩის წინ ავსტრალიელთა თავკაცი **რობი დინსი** ცუდ დღეში იყო. ახლა, ძნელი სათქმელია, აპატიეს თუ არა მას „ოლ ბლექსთან" ზედიზედ ორი წაგება, მით უფრო, რომ წინ არანაკლებ რთული მატჩი ელის „პუმებთან", რომელსაც ნებისმიერ მეტოქესთან შეუძლია გამოაჩინოს ბასრი ბრჭყალები.

ერთი სიტყვით, სამი ტურის შემდეგ თამამად შეიძლება ითქვას, რომ არგენტინის ნაკრების დამატებითი ტურნირი ბევრად უფრო საინტერესო გახდა. არგენტინელი მორაგბეები მრისხანე მეტოქეებს არ ეპუებიან და, ალაბათ, შორს აღარ არის ის დრო, როცა მათთან ბრძოლაში გამარჯვებას იზეიმებენ.

## ოთხი ერი

### III ტური

**ახალი ზელანდია-არგენტინა 21:5**

ახალი ზელანდია (15-9) დაგი, ჯეინი, კ. სმითი, ნონუ, სავეა, კრადენი (ბარეტი 75), ა. სმითი (ვიპუ 62). (1-8) ვუდკოქი, მეალამუ (ჰორი 48), ფრენქსი, რომანო, რეტალიკი (ვაითლოქი 68), ვიტო (მესამი 43), მაქოა, რიდი.

2ლ: სავეა, ჯეინი. 3ს,გ: კრადენი.

არგენტინა (15-9) როდრიგესი, კამაჩო, ბოსხი (ლანდახო 77), ფერნანდესი, აგულა, ერნანდესი, ვერგალო. (1-8) რონსერო (აიერსა 51), გუინასუ, ფიგალო (ორლანდი 51), კარისა, ალბასეტე, კაბელო (სენატორე 74), ლეგუსამონი (ლეონარდი 41), ფერნანდეს ლობე.

ლ: რონსერო.

მსაჯი: რომენ პუატი (საფრანგეთი).

**ავსტრალია-სამხ. აფრიკა 26:19**

ავსტრალია (15-9) ბეილი, შიპერლი, ეშლი-კუპერი, ბარნსი (ჰარისი 70), იოანი, კუპერი, გენია (ფიპსი 70). (1-8) რობინსონი (სლიპერი 31), პოლოტა-ნაუ, ალექსანდერი, ტიმანი (გილი 59), შარპი, დენისი, ჰუპერი, სამო (ჰიგინბოთამი 52).

2ლ: ჰიგინბოთამი, ალექსანდერი. 4ს,2გ: ბარნსი

სამხრეთაფრიკა (15-9) კირხნერი (გუსენი 71), ჰაბანა (მვოვო 52), დე ფილიერსი, ფ. სტეინი, ჰუგარი, მ.სტეინი (ლამბიე 71), პინარი. (1-8) მთავარირა, სტრაუსი (ლიბენბერხი 75), დუ პლესი, ესტებესი (ფან დერ მერვე 59), კრუხერი, კუცია (ლოუ 57), ალბერტსი, ვერმულენი.

ლ: ჰაბანა. 4ს: მ. სტეინი, ფ. სტეინი. გ: ფ. სტეინი.

მსაჯი: ნაიჯელ ოუენსი (უელსი)

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ახალი ზელანდია - 12 ქულა, 2. სამხრეთ აფრიკა - 7, 3. ავსტრალი - 4, 4. არგენტინა - 2.

**IV ტური**

ავსტრალია-არგენტინა, ახალი ზელანდია-სამხრეთ აფრიკა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

### ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა

# გადარჩენილი სერენა


სერენა უილიამსი

ნიუ იორკში დასასრულს მიუახლოვდა ამერიკის ღია პირველობა ჩოგბურთში. ჩასატარებელი რჩებოდა მხოლოდ კაცებს შორის ფინალი, რომელიც გუშინ, თბილისის დროით შუაღამეს იწყებოდა.

მანამდე კი ქალების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ დღეისთვის პროფესიული ტურის საუკეთესო ჩოგბურთელები - **სერენა უილიამსი და ვიქტორია აზარენკა.**

ურთიერთშეხვედრებში სერენა 9:1-ს უგებდა აზარენკას, ამასთან, ბოლოს ბელარუსმა ამერიკელს სეტი 2010 წელს, ავსტრალიის ღიაზე მოუგო, როცა 6:4, 4:0 მიჰყავდა ანგარიში და იმ მატჩის წაგება მოახერხა. მომდევნო ხუთი შეხვედრა ორ სეტში დასრულდა და პრინციპში, ბრძოლა მხოლოდ ერთ მატჩში იყო - 2012 წლის უიმბლდონზე, როცა აზარენკა მეორე სეტში თანაბრად ებრძოდა უმცროს უილიამსს.

ამ შეხვედრამდე ამერიკელი ჩოგბურთელი იოლად უსწორდებოდა თავის მეტოქეებს და ფინალიც ასეთივე სტილში დაიწყო. სერენამ თავიდანვე გააკეთა ბრეიკი და შემდეგ დამაჯერებლად ინარჩუნებდა უპირატესობას. პარტიის ბოლოს მან კიდევ ერთხელ აილო მეტოქის მოწოდება და 34 წუთში 6:2 მოიგო. უილიამსს 16 „ვინერსი" ჰქონდა, აზარენკას - მხოლოდ ორი. აღსანიშნავია, რომ ვიქტორიამ ამ სეტში ერთი ბრეიკ-პოინტიც ვერ მოიპოვა.

თამაშის სურათი მეორე სეტში შეიცვალა. ამ პარტიის სცენარი დაახლოებით იგივე იყო, როგორიც პირველის, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამჯერად აზარენკამ გააკეთა პირველივე გეიმში ბრეიკი, შემდეგ მეორედ მოიგო მეტოქის მოწოდება და 4:1 წაიყვანა ანგარიში. ბელარუსს არ გასჭირვებია ამ უპირატესობის შენარჩუნება და სეტი 38 წუთში 6:2 მოიგო.

დაინიშნა გადამწყვეტი, მესამე სეტი, რომელშიც თავიდანვე დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა. მეორე გეიმში სერენამ ბრეიკ-პოინტი ვერ გამოიყენა, შემდეგ კი თავის მოწოდებაზე ცუდად ითამაშა და აზარენკა წინ გავიდა - 1:2. თუმცა ამერიკელმა იქვე დაიბრუნა დაკარგული ბრეიკი, შემდეგ კი დაწინაურება მოახერხა - 3:2.

მესამე სეტი გარდამავალი უპირატესობით მიდიოდა. სულ მალე აზარენკამ „მშრალი" ანგარიშით მოიგო სერენას გეიმი, მომდევნო გეიმში კი ბრეიკ-პოინტი მოიგერია და 5:3 დაწინაურდა. ბელარუსს ერთი გეიმი აშორებდა გამარჯვებამდე. მაგრამ 5:4-ზე, მატჩზე ჩაწოდებისას, ვიქტორიამ ზეწოლას ვერ გაუძლო, ანერვიულდა და თავის გეიმში მხოლოდ ერთი ქულა აიღო - 5:5. ბელარუსი ფსიქოლოგიურად გატყდა და ზედიზედ ორი გეიმის წაგებით, თითქმის მოგებული მატჩი ჩააბარა ამერიკელს. 2 საათსა და 18 წუთში უილიამსმა 6:2, 2:6, 7:5 გაიმარჯვა.

სერენამ მატჩში 13 ეისი ჩააწოდა, აზარენკას არც ერთი ასეთი მოწოდება არ ჰქონია. ამერიკელს 44 „ვინერსი" დაუგროვდა, ბელარუსს - 13, ხოლო უნებლიე შეცდომები სერენას გაცილებით მეტი ჰქონდა - 45 28-ის წინააღმდეგ.

სერენამ წელს მეექვსე, კარიერაში კი 45-ე ტიტული მოიგო. მან მე-15-ედ გაიმარჯვა „დიდი სლემის" ტურნირებზე, აქედან ოთხი ტრიუმფი ამერიკის ღიაზე მოდის. დღეს უმცროსი უილიამსი დომინირებს ქალთა პროფესიულ ტურში - ბოლო ორთვენახევრის განმავლობაში მან ზედიზედ მოიგო სამი დიდი ტურნირი - უიმბლდონი, ლონდონის ოლიმპიადა და ამერიკის ღია პირველობა. გუშინდელი ტრიუმფისთვის სერენამ მილიონ 900 ათასი დოლარი და 2000 სარეიტინგო ქულა დაიმსახურა.

და კიდევ, სერენა უილიამსმა ამერიკის ღიაზე გამარჯვების წყალობით წლის შემაჯამებელ ტურნირზე თამაშის უფლება მოიპოვა, რომელიც 23-28 ოქტომბერს სტამბოლში გაიმართება. უფრო ადრე, წლის მთავარ ჩემპიონატში მონაწილეობა გაინაღდეს აზარენკამ და მარია შარაპოვამ.

ბოლოს გთავაზობთ ქალებს შორის ლიდერებს „დიდი სლემის" ტიტულების რაოდენობით:

| | |
|---|---|
| 1. მარგარეტ კორტი | 24 |
| 2. შტეფი გრაფი | 22 |
| 3. ჰელენ უილს მუდი | 19 |
| 4. კრის ევერტი | 18 |
| 4. მარტინა ნავრატილოვა | 18 |
| 6. სერენა უილიამსი | 15 |
| 7. ბილი ჯინ კინგი | 12 |
| 8. მორინ ქონოლი ბრინკერი | 9 |
| 8. მონიკა სელეში | 9 |
| 10. სუზან ლენგლენი | 8 |
| 10. მოლა ბიურსტედტ მელორი | 8 |

**ფინალი**

სერენა უილიამსი (აშშ, 4)-ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 1) 6:2, 2:6, 7:5.

■ ■ ■

ამავე დღეს, ამერიკის ღიაზე კიდევ ერთი ფინალი გაიმართა - გამარჯვებული გამოვლინდა ქალებს შორის წყვილთა თანრიგში.

ამ სეზონში დიდი სლემის მეორე ტიტული მოიგეს იტალიელებმა - **სარა ერანიმ** და **რობერტა ვინჩიმ**. ფინალში მათ საათი და 16 წუთი დასჭირდათ ჩეხების - **ლუსი ჰრადეცკასა** და **ანდრეა ჰლავაჩკოვას** დუეტის დასამარცხებლად - 6:4, 6:2.

ერანისა და ვინჩის კარიერაში დიდი სლემის ორი ტურნირი აქვთ მოგებული და ორივე ტრიუმფს წელს მიაღწიეს. ამას ემატება წელსვე აღებული ექვსი ტიტული. ამ დამსახურებების გამო, ერანი გუშინდელი დღიდან, წყვილთა რეიტინგის პირველი ნომერი გახდა.

ამერიკის ღია პირველობის შემდეგ, სამმა დუეტმა გაინაღდა წლის შემაჯამებელ ტურნირში თამაში: ერანი-ვინჩი, ჰლავაჩკოვა-ჰრადეცკა და ამერიკელთა წყვილი **ლიზელ ჰუბერისა** და **ლაიზა რეიმონდის** შემადგენლობით.

**გია თვალაბეიშვილი**

# აგასის მორიგი დაფასება


ანდრე აგასი

გასულ უქმეებზე მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, ამერიკელი **ანდრე აგასი** აშშ-ის ღია პირველობის დიდების დარბაზში შეიყვანეს. საზეიმო ცერემონია ქალთა ფინალის წინ გაიმართა.

შეგახსენებთ, რომ აგასი 21-ჯერ მონაწილეობდა ამერიკის ღია პირველობაში, რაც ტურნირის რეკორდი გახლავთ. ამ 21 ცდიდან, ანდრემ ექვსჯერ ითამაშა ფინალში და ორჯერ - 1994 და 1999 წლებში პირველობა მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ 1994 წელს, მან განთესვის გარეშე შეძლო გამარჯვება.

ბოლოს მან ფინალში 2005 წელს გააღწია და 35 წლის ასაკში გადამწყვეტი მატჩი შვეიცარიელ **როჯერ ფედერერს** დაუთმო.

სულ აგასის „დიდი სლემის" რვა ტურნირი აქვს მოგებული.

**გია თვალაბეიშვილი**

## უცხოური სპორტი

● ოლიმპიზმი

# რუს ოლიმპიელებს 20 მილიონი მოპარეს

რუსეთის ფედერაციის საგამომძიებლო კომიტეტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა **ვლადიმერ მარკინმა** განაცხადა, რომ ვანკუვერის 2010 წლის ოლიმპიადისთვის რუს სპორტსმენთა მზადების პროცესში თაღლითობის ფაქტების გამოძიებამ 20 მილიონი მანეთის ოდენობის თანხის მითვისების ფაქტი გამოააშკარავა. ეს თანხა „რუსეთის ნაკრებთა მზადების სპორტულ ცენტრს" ეკუთვნოდა.

*„2009-10 წლებში, კომპანია „ევროპროექტის" დამფუძნებელმა დმიტრი არტიუხოვსკიმ ბიზნესმენებთან - ვალერი უსკოვთან, არტიომ ეფიმცევთან და ანდრეი კისილიოვთან ერთად საკუთარ თავზე აიღო რუსეთის ნაკრების წევრთათვის სავიზო დოკუმენტების გაფორმება, აგრეთვე მოსამზადებელი სპორტული ღონისძიებების საინფორმაციო-ტექნიკური აღჭურვა. ამ გზით მათ მიითვისეს 20 მილიონ მანეთზე მეტი. თაღლითებმა სახელმწიფო დამკვეთს მიაწოდეს ვითომდა შესრულებული სამუშაოს გაყალბებული ოქმები",* - ამბობს მარკოვი.

ამ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და დასახელებულ ბიზნესმენებს განსაკუთრებულად დიდი ოდენობის თანხის მითვისებაში დასდეს ბრალი.

*„გარდა ამისა, ატრიუხოვსკი და კისილიოვი იმ ფულის „გათეთრებაში" არიან ბრალდებულნი, რომელიც მათ დანაშაულებრივი გზით მიიღეს",* - დაამატა გამომძიებელმა.




ბრალდებულები ჯერ არ დაუკავებიათ. ნაყენებული მუხლის მიხედვით, ბიზნესმენებს ათი წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

● მძლეოსნობა

# რეკორდით დასრულდა



არიეს მერიტი

ბრიუსელში დასრულდა "ბრილიანტის ლიგის" კომერციული სერია. ბოლო დღეს გამოვლინდა სეზონის ლაურეატი 15 დისციპლინაში.

ბელგიური ეტაპის მთავარი მოვლენა გახდა მამაკაცებს შორის 110 მეტრზე თარჯრბენი. ლონდონის ოლიმპიური ჩემპიონი, ამერიკელი **არიეს მერიტი** მთელი სეზონის განმავლობაში გვიჩვენებდა, რომ მას შეეძლო **დაირონ რობლესის** მსოფლიოს რეკორდის გაუმჯობესება. ამერიკელს რამდენჯერმე წამის მეასედები დააკლდა ამ წარმატებამდე. და, ბოლოს და ბოლოს, სეზონის ერთ-ერთ ბოლო სტარტზე არიესს გამოუვიდა სარეკორდო გარბენი.

მერიტმა ბრწყინვალე სტარტი აიღო და მთლიანად გარბენიც იდეალური იყო, რამაც ფანტასტიკური შედეგი მოიტანა - 12,80 წამი! მერიტმა შვიდი მეასედი წამი ჩამოაკლო მსოფლიოს რეკორდს. სხვათა შორის, ეს არის "ბრილიანტის ლიგის" ისტორიაში მსოფლიოს პირველი რეკორდი, ასე რომ, ბრიუსელში მართლაც ისტორიულ მომენტს ჰქონდა ადგილი.

არიეს მერიტის შედეგმა ბრიუსელში **უსაინ ბოლტის** გამოსვლაც კი დაჩრდილა. იამაიკელმა კარიერაში პირველად მოიგო ეს კომერციული სერია. ექვსგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა არც ისე კარგი სტარტი აიღო 100 მეტრზე, სამაგიეროდ, დისტანციის მეორე ნახევარზე უმაღლესი ტემპი აკრიფა. შედეგი ნორმალური გამოვიდა - 9,96 წამი, თუმცა ბოლტის საზომით, არც ისე სწრაფი გარბენი ვიხილეთ. მით უმეტეს, რომ ერთი კვირის წინ, **იოჰან ბლეიკმა** ციურიხში 100 მეტრი 9,76 წამში გაირბინა. ბრიუსელში იოჰანმა 200 მეტრი აირჩია. შარშან მან აქ ფანტასტიკური შედეგი აჩვენა - 19,26 და მხოლოდ შვიდი მეასედით ჩამორჩა ბოლტის რეკორდს. ამჯერად, ბლეიკი უფრო მოკრძალებული იყო - 19,56 წამი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ადგილობრივი სპორტსმენების - **კევინ** და **ჯონათან ბორლების** გამოსვლა, რომლებმაც პირველი ორი ადგილი დაიკავეს 400 მეტრზე სირბილში. ამასთან, კევინმა "ბრილიანტის ლიგის" საერთო ჩათვლაში გაიმარჯვა და პირველი ბელგიელი გახდა, ვინც ასეთ წარმატებას მიაღწია. ქალთა შორის სამხტომში ოლიმპიური ჩემპიონი **ოლგა რიპაკოვა** პირველი ყაზახია, ვინც "ბრილიანტის ლიგაზე" მთავარი პრიზი მოიპოვა. ამავე კლუბში უნდა ჩავწეროთ ესტონელი ბადროს მტყორცნელი **გერდ კანტერი**.

### ყველა გამარჯვებული

#### მამაკაცები

100 მ - უსაინ ბოლტი (იამაიკა)
400 მ - კევინ ბორლი (ბელგია)
1500 მ - სილას კიპლაგატი (კენია)
სტიპლჩეზი - პოლ კიპსელე კოეჩი (კენია)
110 მ/თარჯრბენი - არიეს მერიტი (აშშ)
სიგრძე - ალექსანდრ მენკოვი (რუსეთი)
ბადრო - გერდ კანტერი (ესტონეთი)

#### ქალები

200 მ - შარონდა უილიამსი (აშშ)
800 მ - პამელა ჯელიმო (კენია)
5000 მ - ვივიან ჩერუიოტი (კენია)
400 მ/თარჯრბენი - კალის სპენსერი (იამაიკა)
სიმაღლე - შანტი ლოუ (აშშ)
ჭოკი - სილკე შპიგელბურგი (გერმანია)
სამხტომი - ოლგა რიპაკოვა (ყაზახეთი)
შუბი - ბარბორა შპოტაკოვა (ჩეხეთი)

● ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### ევრო 2013

#### Under 21

| | |
|---|---|
| ბელარუსი-სან მარინო | 1-0 |
| ბოსნია-გერმანია | 4:4 |
| საბერძნეთი-კვიპროსი | 1:0 |
| ლიტვა-ფინეთი | 1:3 |
| შვედეთი-უკრაინა | 2:1 |
| ჩეხეთი-უელსი | 5:0 |
| ჩერნოგორია-სომხეთი | 0:0 |
| დანია-ჩრ. ირლანდია | 3:0 |
| სერბეთი-მაკედონია | 5:1 |
| ესპანეთი-ხორვატია | 6:0 |
| შვეიცარია-ესტონეთი | 3:0 |
| პოლონეთი-პორტუგალია | 0:0 |
| რუსეთი-მოლდოვა | 2:2 |
| უნგრეთი-ლიხტენშტაინი | 2:0 |
| იტალია-ირლანდია | 2:4 |
| ბელგია-ისლანდია | 5:0 |
| ინგლისი-ნორვეგია | 1:0 |
| ლატვია-რუმინეთი | 0:4 |
| სლოვაკეთი-ყაზახეთი | 6:0 |
| ავსტრია-შოტლანდია | 3:2 |
| ლუქსემბურგი-ბულგარეთი | 1:3 |

### გერმანია

#### რეგიონალლიგა (ს-დ)

| | |
|---|---|
| ზონენჰოფი-კასელი | 0:1 |

### ირლანდია

| | |
|---|---|
| კორკი-ბრეი | 2:0 |
| დროგედა-დერი | 2:1 |
| სლიგო-დანდალკი | 3:0 |
| შემროკი-ბოჰემიანსი | 0:1 |
| შელბურნი-სტ. პატსი | 0:2 |

### რუსეთი

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ტომი-ენისეი | 2:0 |
| სიბირი-ურალი | 1:3 |
| როტორი-მეტალურგი | 1:0 |
| სალუტი-სკა ენერგია | 0:1 |
| ჩიმკი-შინიკი | 0:0 |
| ბალტიკა-ნეფტეხიმიკი | 0:0 |
| ტორპედო-პეტროტრესტი | 1:0 |
| ვოლგარი-ნალჩიკი | 0:0 |

### არგენტინა

| | |
|---|---|
| უნიონი-ტიგრე | 1:1 |

## ჰოკეი

### კჰლ

| | |
|---|---|
| ამური-ტორპედო | 3:2 (ბ) |
| მეტალურგი (ნ)-ლოკომოტივი | 4:5 (ბ) |
| სიბირი-ატლანტი | 2:3 (ბ) |
| ავანგარდი-ბარისი | 4:3 (ო) |
| ს. იულიაევი-დინამო (მნ) | 6:3 |
| ავტომობილისტი-ტრაქტორი | 0:3 |
| აკ ბარსი-ვიტიაზი | 2:1 |
| ნეფტეხიმიკი-სევერსტალი | 2:1 (ო) |
| სკა-იუგრა | 7:5 |
| ცსკა-დინამო (რ) | 2:1 |
| ლევ პოპრადი-დონბასი | 1:0 |
| სლოვანი-სპარტაკი | 2:1 (ბ) |

## ჩოგბურთი

### ATP. აშშ-ის ღია

| | |
|---|---|
| ჯოკოვიჩი-მიურეი | გვიან დასრულდა |

### WTA. ტაშკენტი

| | |
|---|---|
| უ. რადვანსკა-ტორო ფლორი | 6:4, 7:5 |
| არუაბარენა-ჩეპელოვა | 6:1, 6:2 |
| პანოვა-გაიდოშოვა | 4:6, 6:2, 7:5 |
| ბრატჩიკოვა-კორნე | 1:6, 3:6 |

### WTA. კვებეკი

| | |
|---|---|
| გლეტჩი-მალეკი | 6:7, 3:6 |
| ოპრანდი-ბეკი | 1:6, 6:7 |

● TV პროგრამა

### 11 სექტემბერი. შაბათი

#### I არხი

17:25 კალათბურთი. ევრობასკეტი 2013. შესარჩევი ტურნირი. საქართველო-ჰოლანდია (LIVE).
21:20 მსოფლიოს ჩემპიონატი 2014. შესარჩევი ტურნირი. საქართველო-ესპანეთი.

#### GMG-ფეხბურთი

10:00 პროგრამა - მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
11:00 პროგრამა - საფეხბურთო ღამე.
12:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
13:00 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
14:00 მსოფლიოს ჩემპიონატი 2014. შესარჩევი ტურნირი. ევროპა. ჰოლანდია-თურქეთი.
16:00 გერმანიის ჩემპიონატი. ჰანოვერი-შალკე.
18:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXIII ტურის მიმოხილვა.
18:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-საუთჰემპტონი.
21:00 გერმანიის ჩემპიონატი. ნიურნბერგი-დორტმუნდი.
23:00 ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-მანჩესტერ იუნ.

#### GMG-სპორტი 1

10:00 ფეხბურთი. დინამო ზაგრები - მარიბორი
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. მემფისი-კლიპერსი.
14:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
15:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. აელ-ანდერლეხტი.
17:00 რაგბი. ევროპის სუპერლიგა. 1/2 ფინალი. კლერმონი-ლენსტერი.
19:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
21:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. ფენერბახჩე-სპარტაკი.
23:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
23:30 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. მემფისი-კლიპერსი.

#### GMG-სპორტი 2

10:00 ჩოგბურთი. ATP -ის ტური. ვაშინგტონი. აშშ.
12:30 სპორტ-NEWS.
13:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. უელსი-შოტლანდია.
15:00 კალათბურთი. ევროლიგა. უნიკახა-პანათინაიკოსი.
17:00 სპორტ-NEWS.
17:30 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. კურიტიბა-ფლამენგო.
19:30 კალათბურთი. ევროლიგა. კანტუ-კახა ლაბორალი.
21:30 ჩოგბურთი. ATP -ის ტური. ვაშინგტონი. აშშ.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 17 | 23 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 16 | 26 | (მზე) |
| ბათუმი | 18 | 26 | (მზე) |
| ფოთი | 17 | 27 | (მზე) |
| ზუგდიდი | 16 | 25 | (მზე) |
| გორი | 14 | 25 | (მზე) |
| თელავი | 16 | 20 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 15 | 19 | (მცირე წვიმა) |
| ქობულეთი | 17 | 25 | (მზე) |
| ბაკურიანი | 7 | 22 | (მზე) |
| ბორჯომი | 9 | 24 | (მზე) |
| მესტია | 9 | 20 | (მზე) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1124 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6519 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6427 |
| 100 რუსული რუბლი | 5.2074 |

● ველოსპორტი. ვუელტა

# კონტადორის მეხუთე გრანდტური

ესპანეთში დასრულდა ველომარათონი „ვუელტა". ტრადიციულად, ბოლო ეტაპი სპრინტერული იყო და შესაბამისად, საერთო ჩათვლის ლიდერის - **ალბერტო კონტადორის** პოზიციებს არაფერი ემუქრებოდა.

ამიტომაც დასკვნით რბოლაში მხოლოდ ბოლო კილომეტრები იყო გამოსარჩევი, რადგან ყველას აინტერესებდა - შეძლებდა თუ არა წლევანდელ „ვუელტაზე" კიდევ ერთი ეტაპის მოგებას სპრინტის ახალი ვარსკვლავი, გერმანელი **იონ დეგენკოლბი**. ამ უკანასკნელს თავისი გუნდის - „არგოსის" დახმარებით ოთხი სპრინტერული ფინიში ჰქონდა მოგებული და ბოლო ეტაპზე მეხუთე ტრიუმფს მიაღწია.

ბოლო 500 მეტრზე გერმანელის გუნდმა ყველაზე კარგად იმუშავა და შეტევისთვის შესანიშნავი პოზიცია შეუქმნა დეგენკოლბს, რომელმაც ეს შანსი გამოიყენა და ამ „ვუელტაზე" მეხუთედ გადაკვეთა პირველმა ფინიშის ხაზი.

ბევრს ეცადნენ იტალიელები - **ელია ვივიანი** და **დანიელე ბენატი**, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ და ისინი მეორე-მესამე ადგილებს დასჯერდნენ.

წლევანდელი „ვუელტას" მთავარი გმირი კი, რა თქმა უნდა, ალბერტო კონტადორი იყო, რომელიც დისკვალიფიკაციის შემდეგ, პირველ სერიოზულ რბოლას ატარებდა და კარიერაში მეორედ გაიმარჯვა ესპანურ ველომარათონში. სულ კი ამ ბრწყინვალე ესპანელს გრანდტურებზე ხუთი გამარჯვება აქვს მოპოვებული.

„ვუელტა" დასრულდა, მაგრამ ველოსპორტის სეზონი ჯერ გრძელდება. წინ არის ბრიტანეთის ტური და რაც მთავარია, მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელიც ამ კვირის ბოლოს აილებს სტარტს.

### XXI ეტაპი

1. **იონ დეგენკოლბი** (გერმანია - Argos-Shimano); 2. **ელია ვივიანი** (იტალია - Liquigas); 3. **დანიელე ბენატი** (იტალია - RadioShack-Nissan); 4. **ალან დევისი** (ავსტრალია - Orica-GreenEdge); 5. **კოლდო ფერნანდესი** (ესპანეთი - Garmin-Sharp); 6. **ალეხანდრო ვალვერდე** (ესპანეთი, Movistar)...

### საერთო ჩათვლა

1. **ალბერტო კონტადორი** (ესპანეთი, Saxo Bank); 2. **ალეხანდრო ვალვერდე** (ესპანეთი, Movistar) - +1:16; 3. **ხოაკიმ როდრიგესი** (ესპანეთი, "კატიუშა") - +1:37; 4. **კრისტოფერ ფრუმი** (ბრიტანეთი, Sky) - +10:16; 5. **დანიელ მორენო** (ესპანეთი, „კატიუშა") - +11:29; 6. **რობერტ ჰესინკი** (ჰოლანდია, Rabobank) - +12:33...

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




ალბერტო კონტადორი

ახალი პროფესია


ლეონიდა როსუ

# ტანვარჯიშიდან ბორდელში

## ყოფილი რუმინელი სპორტსმენი მეძავია

ყოფილმა რუმინელმა ტანმოვარჯიშემ, მსოფლიოს 2003 წლის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა **ფლორიკა ლეონიდამ** სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ ახალ პროფესიად პროსტიტუცია აირჩია. ამის შესახებ, რუმინული ტოკ-შოუს ეთერში გამოაცხადა ნაკრებში ფლორიკას ყოფილმა პარტნიორმა **მონიკა როსუმ**.

*„ძალიან სამწუხარო ამბავია. არ ვიცი, რამ გადაადგმევინა მას ეს ნაბიჯი, მაგრამ თუ რუმინეთში ოლიმპიური ოქრო არ გაქვს, შიმშილისთვის ხარ განწირული,* - განაცხადა როსუმ. - *ყოფილ სპორტსმენებს უჭირთ საზოგადოებაში ინტეგრირება, ნორმალური სამსახურის შოვნა“.*

გაირკვა, რომ 25 წლის ყოფილი სპორტსმენი გერმანულ ვებგვერდებზე სთავაზობს კლიენტებს მომსახურებას. კარიერის დასრულების შემდეგ, ფლორიკა სწორედ გერმანიაში გადავიდა საცხოვრებლად და ფიტნეს-ინსტრუქტორად დაიწყო მუშაობა, მაგრამ ფინანსურად გაუჭირდა.

გოგონა ვებგვერდზე ფსევდონიმით („ინა“) არის წარმოდგენილი, მისი „ღირსებებიდან“ კი „კოცნას“ და „მოფერებას“ გამოარჩევენ.

ლეონიდამ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია სპორტულ ტანვარჯიშში. 2003 წელს ვერცხლი მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატზე გუნდურ ასპარეზობაში და 2006 წელს ევროპის ჩემპიონატზეც ასეთივე სინჯის მედალი აიღო.

კალათბურთი

# უეიდს ჩინელები შეამოსავენ

## რიკი რუბიომ ადიდასთან გააფორმა კონტრაქტი და თამაშს დეკემბერში განაახლებს

„მაიამი ჰიტის“ მცველმა **დუეინ უეიდმა** ვარსკვლავი კალათბურთელებიდან პირველმა გააფორმა კონტრაქტი სპორტული ფორმის მწარმოებელ ჩინურ ფირმასთან Li-Ning-თან. როგორც იტყობინებიან, 2008 წლის ოლიმპიური ჩემპიონი შეწყვეტს თანამშრომლობას კომპანია “ჯორდანთან” და ჩინური ფირმის სპორტული ფეხსაცმლით ითამაშებს. კონტარქტის დეტალები არ სახელდება, თუმცა, არაოფიციალური ინფორმაციით, თანხა ოთხი სეზონისთვის 60 მილიონ დოლარს შეადგენს.

გარდა ამისა, გერმანულმა “ადიდასმა” კონტრაქტი გააფორმა NBA-ის 10 ახალგაზრდა მოთამაშესთან. როგორც იტყობინებიან, ამ ათ კალათბურთელს შორის არის ესპანელი ვარსკვლავი **რიკი რუბიო** და “ნიუ ორლეანის” სნაიპერი **ოსტინ რივერსი**.

■ ■ ■

ამასობაში, გაირკვა “მინესოტას” 21 წლის გამთამაშებლის რიკი რუბიოს მოედანზე დაბრუნების სავარაუდო თარიღი. ესპანელმა მარტში მუხლზე მძიმე ოპერაცია გადაიტანა და სარეაბილიტაციო კურსს გადის.

*“ძალიან მალე სირბილს დავიწყებ და ვფიქრობ, მზად ვიქნები დეკემბერში სათამაშოდ”,* - ამტკიცებს ესპანელი.

# დიდების დარბაზში შევსებაა

შაბათს მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ სპრინგფილდში **ჯეიმს ნეისმიტის** სახელობის დიდების დარბაზში ახალი წევრების შეყვანის ცერემონია გაიმართა. ეს პატივი წილად ხვდა 11 ადამიანს, რომელთა შორის იყვნენ “ინდიანას” მცველი **რეჯი მილერი**, “გოლდენ სტეიტის” ყოფილი მწვრთნელი **დონ ნელსონი** და “ლეიკერსის”, “უორიორზისა” და “კლიპერსის” ყოფილი მოთამაშე – **ჯამაალ უილქსი**. სიაში ასევე ვხედავთ სსრკ-ის ქალთა ნაკრების ლეგენდარულ მწვრთნელს **ლიდია ალექსეევას**.

აი, როგორ გამოიყურება 2012 წელს დიდების დარბაზის ახალ წევრთა სია:

1. რეჯი მილერი
2. დონ ნელსონი
3. ჯამაალ უილქსი
4. ჩეტ უოკერი
5. მელ დენიელსი
6. ლიდია ალექსეევა
7. დონ ბარკსდეილი
8. ფილ ნაითი
9. რალფ სემპსონი
10. ჰენკ ნიკოლსი
11. კატრინა მაკლეინი

დიდების დარბაზის კიდევ ერთი წევრი გახლა ქალთა პირველი პროფესიული კლუბი – “რედ ჰედსი”.

ავტოსპორტი

# კუბიცა ოფიციალურად დაბრუნდა

ფორმულა 1-ის ყოფილმა პილოტმა **რობერტ კუბიცამ** კვირას პირველი ოფიციალური რბოლა ჩაატარა ცნობილი ავარიის შემდეგ, რომლის დროსაც მან უმძიმესი ტრავმები მიიღო და რეაბილიტაციას წელიწადნახევარი მოანდომა.

კუბიცა ავტოსპორტს იტალიაში, რეგიონალური მნიშვნელობის რალიში დაუბრუნდა. მან დისტანციის ოთხივე მონაკვეთზე გაიმარჯვა და წუთზე მეტით გაუსწრო უახლოეს მდევარს.

*„რა თქმა უნდა, სხვანაირ დაბრუნებას ვისურვებდი, მაგრამ ესეც რბოლაა, რაც აქტიური რეაბილიტაციის საშუალებას მაძლევს,* - განაცხადა კუბიცამ. - *იმედია, შევძლებ ფორმულა 1-ში დაბრუნებას. სწორედ ეს მიზანი დავისახე. უკვე კარგია, რომ 20 თვის შემდეგ შემიძლია რალიში მოვსინჯო ძალები“.*

თავის მომავალ კარიერაზე კუბიცა სიფრთხილით საუბრობს: *„თავად არ ვიცი, რა იქნება მომავალში. რა თქმა უნდა, შევეცდები ბოლომდე მზად ვიყო ახალი სეზონისთვის, მაგრამ ჯერ კიდევ გასარკვევია, მართლა შემიძლია თუ არა „სამეფო რბოლებში“ დაბრუნება. სავარაუდოდ, ამის გაკეთებას 2014 წელს შევძლებ, მაგრამ მირჩევნია, ახლა ამაზე არ ვიფიქრო“.*

ამბები

## ტომასს ნიქსში აბრუნებენ

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელი **აიზია ტომასი**, შესაძლოა, ისევ დაბრუნდეს “ნიუ იორკ ნიქსში”. ბოლოს მან ამ კლუბში 2010 წელს, მთავარი მწვრთნელის კონსულტანტად იმუშავა. სახელოვანი კალათბურთელი გუნდის მფლობელებს შეხვდა და სავარაუდოდ, “ნიქსში” პრეზიდენტის ასისტენტის პოსტს დაიკავებს სპორტულ საკითხებში.

ალსანიშნავია, რომ რამდენიმე წლის წინ, ტომასი “ნიქსიდან” იმ მიზეზით გაათავისუფლეს, რომ გუნდი ვერცერთხელ ვერ გავიდა პლეი ოფში. აიზია აგრეთვე “ნიუ იორკის” დამრიგებელი იყო 2006-07 და 2007-08 წლების სეზონში.

## ბოში ცენტრში ითამაშებს

“მაიამი ჰიტის” ფორვარდმა **კრის ბოშმა** განაცხადა, რომ ძალიან მონდომებით ივარჯიშა სატრენაჟორო დარბაზში და კუნთების მასა 2.7 კილოგრამით მოიმატა. ეს იმისთვის, რომ მთელი მომავალი სეზონის განმავლობაში ცენტრის პოზიციაზე ითამაშოს, - წერს ამერიკული პრესა. ოფიციალური განაცხადით, გასულ წელს ბოშის წონა 107 კილოგრამი იყო,

კრისის ცენტრის პოზიციაზე გადაყვანა იმას ნიშნავს, რომ “ჰიტის” მთავარი მწვრთნელი **ერიკ სპოელსტრა** უფრო მეტად გამოიყენებს **ლებრონ ჯეიმსს** მძიმე ფორვარდის პოზიციაზე.

## ტი-მაკი წასვლას არ აპირებს

“ატლანტა ჰოქსის” 33 წლის მცველმა **ტრეისი მაკგრეიდიმ** გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ ჯერ მზად არ არის კარიერის დასასრულებლად. ლიგაში ჩატარებული 16 სეზონის განმავლობაში, ტი-მაკი საშუალოდ მატჩში 19.6 ქულას აგროვებდა.

*“გეთანხმებით, რომ ბოლო სეზონებში ისე კარგად ვერ ვითამაშე, როგორც ამას ადრე ვაკეთებდი,* - ამბობს მაკგრეიდი, რომელსაც ბოლო წლებში მუხლებთან დაკავშირებული პრობლემები აწუხებდა. – *მაგრამ ახლა, ჩემი ფეხები თითქმის წესრიგშია. ვგრძნობ, რომ შემიძლია სასარგებლო ვიყო და მნიშვნელოვანი ნაწილი გავხდე გუნდის მექანიზმში. დარწმუნებული ვარ, NBA-ში კიდევ რამდენიმე სეზონს ჩავატარებ. რამდენს? ჯერ ამაზე არ ვფიქრობ”.*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**






ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **გია თვალაბეიშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge* ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:25
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608